http://www.tsu.ge/newspaper

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

„კოკოითი ფანდარასტ!“-ის შეძახილით გაჩაღებული სტუდენტური ვაშლის კრეფა

ჟურნალისტების ქვეყანა

ალმა მატერ

უნივერსიტეტი

9 ნოემბერი, პარასკევი, 2007 წ. №19 (2064)

ფასი 30 თეთრი



ბობ სტანეკი თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმში

ქვევრიდან დანახული სამყაროს უსასრულობა

კონფერენცია – „ფიზიკა მომავალ კოლაიდერებზე“

ფიზიკოსები ეძებენ სამყაროს „აგურს“ — იმ ელემენტარულ ნაწილაკს, რომლისგანაც სამყარო აშენდა...

ფიზიკოსები ეძებენ დამატებით განზომილებებს, რომლებიც, ჯერჯერობით, თავს არ ამჟღავნებენ...

ფიზიკოსები ეძებენ სამყაროდან გასახედ სარკმელს, რომ შეცნობადი გახადონ უსასრულობა...

დღეს ეს შეიძლება უტოპიაა, მაგრამ ასეთივე უტოპია იყო თავის დროზე დემოკრიტეს მიერ შემოტანილი ატომის იდეა, რომელიც თსუ-ში ჩატარებულ ფიზიკოსთა საერთაშორისო კონფერენციაზე ბერძენმა ფიზიკოსმა ნიკოს გიოკარისმა შეგვახსენა.

მაია ტორაძე

1945 წელს, როცა ხიროსიმაში ატომური ბომბი აფეთქდა, მსოფლიო პირველად დაფიქრდა იმაზე, თუ რა საშიშია, როცა ასეთი ენერგია შეიძლება უკონტროლოდ არსებობდეს.. მაშინ სამეცნიერო საზოგადოებამ სერიოზულად დასვა საკითხი მაღალი ენერგიების ფიზიკის ერთიანი ძალებით გაკონტროლების აუცილებლობის შესახებ. მომდევნო წლებში დიდი სამეცნიერო ექსპერიმენტები ძვირად ღირებული ფუფუნება გახდა და ერთი, თუნდაც განვითარებული ქვეყნისთვისაც კი, მისი ჩატარება გაძნელდა. ამიტომ, ფინანსური და ინტელექტუალური ძალების გაერთიანების შედეგად შეიქმნა საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობები, რომლებმაც ექსპერიმენტების დაფინანსებასთან ერთად გზა გაუხსნა პატარა ქვეყნებს, მონაწილეობა მიეღოთ იმ მოწინავე სამეცნიერო იდეების განხორციელებაში, რომელსაც დამოუკიდებლად ვერ შეძლებდნენ.

ასე ჩაერთო საქართველო კოლაბორაცია ATLAS-ში, კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვან და ძვირად ღირებულ ექსპერიმენტში. ეს უდიდესი მიღწევა მეცნიერ-ფიზიკოსთა იმ მცირე ჯგუფის დამსახურებაა, რომლებმაც ფეხი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აიდგეს და შემდეგ თსუ მაღალი ენერგიების ფიზიკისა და ინფორმატიზაციის ინსტიტუტსა და ე. ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტში განაგრძეს მოღვაწეობა. აქედან გაეხსნათ მათ გზა თანამედროვე ფიზიკის უდიდესი ექსპერიმენტებისკენ. დღეისათვის ამ დარგში ათეულობით ქართველი მეცნიერი მონაწილეობს. ისინი სხვებთან ერთად აშენებენ და ელიან CERN-ის ადრონული კოლაიდერის (ამაჩქარებლის) ექსპლუატაციაში გაშვებას, რომელიც 2008 წლის ზაფხულისთვის იგეგმება. ამ ეტაპზე ძირითადი სამუშაოები უკვე დასრულებულია. ახლა მეცნიერთა თითოეული ჯგუფი კიდევ ერთხელ აანალიზებს უკვე ჩატარებულ სამუშაოებსა და მომავალში გასაკეთებელ საქმეს.

ანალოგიური მიზანი ჰქონდა მაღალი ენერგიების ფიზიკის თბილისის IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას — „ფიზიკა მომავალ კოლაიდერებზე“, რომელიც 22—26 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა.

ორგანიზატორთა აზრით, მეცნიერთა მიერ წარმოდგენილი თემატიკა მაღალი დონის სამეცნიერო კვლევებს ეხებოდა. საინტერესოდ იყო განხილული ექსპერიმენტის მომავალი და სხვადასხვა ჯგუფის მიერ გაწეული სამუშაოები.

უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ თავის გამოსვლაში მადლობა გადაუხადა კონფერენციის ორგანიზატორს, პროფესორ ჯემალ ხუბუას და აღნიშნა, რომ ასეთი დონის სამეცნიერო შეკრებები უნივერსიტეტში სტუდენტთა და მეცნიერთა უდიდესი ინტერესის საგანი უნდა იყოს, რადგან ის ხელს უწყობს სწავლის, სწავლებისა და სამეცნიერო კვლევების ერთიანობას.

კონფერენციის მონაწილეთათვის დაიგეგმა კულტურული პროგრამა, რომელსაც საოცრად დადებითი გამოძახილი მოჰყვა. სტუმრებმა დაათვალიერეს უფლისციხე, მცხეთა, თბილისის ეთნოგრაფიული მუზეუმი, დაესწრნენ ქართველ ხელოვნების მოღვაწეთა კონცერტს. განსაკუთრებული ემოცია გამოიწვია ანსამბლ „ერისიონის“ რეპეტიციებმა. მეცნიერები გულიანად ხარხარებდნენ მოკლემეტრაჟიანი ფილმის „ქვევრის“ ცქერისას, ხოლო ცნობილი მეცნიერის ბობ სტანეკის ბავშვურმა ცნობისმოყვარეობამ და ქართული ქვევრის შიგნიდან დათვალიერების მცდელობამ ჩვენც ღიმილი მოგვგვარა.

კონფერენციის დასრულებისას კომენტარები ვთხოვეთ მონაწილეებს:

□□-13 □□□□□□□

Press

მე- 7–10 გვ.

მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსებს შრომითი ანაზღაურება გაეზრდებათ?

მე- 2 გვერდზე

თსუ-სთან ყველა უმაღლესი სასწავლებელი „ვალშია“

მე- 3 გვერდზე

აფხაზეთმცოდნეობის ინსტიტუტი გარკვეულ როლს ითამაშებს ჩატეხილი ხიდის აღდგენაში

მე- 4 გვერდზე

ფრანგები და ქართველები კონფერენციაზე ღვინომ გააერთიანა

მე- 5 გვერდზე

სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფები ამაოდ ცდილობენ უნივერსიტეტში ვითარების ხელოვნურად დაძაბვას

მე- 7 გვერდზე

კავკასიოლოგთა პირველი საერთაშორისო კონგრესი

მე- 11 გვერდზე

მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსებსა და წევრ-კორესპონდენტებს შრომითი ანაზღაურება გაეზრდებათ

2008 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება მეცნიერების სოციალური გარანტიების ახალი მექანიზმი, რომელიც მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსებისა და წევრ-კორესპონდენტებისთვის შრომითი ანაზღაურების გაზრდას ითვალისწინებს.

განათლებისა და მეცნიერების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ ნოდარ გრიგალაშვილმა კანონპროექტის „მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ" საკუთარი ვარიანტი მოამზადა, რომელიც დაინტერესებულ პირებს გასაცნობად უკვე დაურიგდათ. მის ოფიციალურ განხილვას ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო მომავალი კვირიდან შეუდგება.

ხათუნა ხატიაშვილი

როგორც ნოდარ გრიგალაშვილი განმარტავს, კანონპროექტი მთლიანობაში იმ ვარიანტების შეჯერებულ დოკუმენტს წარმოადგენს, რომელიც ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული სახით მეცნიერებათა აკადემიასა და განათლების სამინისტროებს ცალ-ცალკე ჰქონდათ შემუშავებული. მას შემდეგ, რაც რამდენიმე თვის წინ, პარლამენტში აკადემიისა და სამინისტროს წარმომადგენლები ერთმანეთს შეხვდნენ, გადაწყდა, რომ ყველა სამუშაო ვარიანტიდან მნიშვნელოვანი და თანხვედრილი პრინციპები გაერთიანებულიყო ერთ საერთო კანონპროექტში, რომელსაც განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე ნოდარ გრიგალაშვილი უხელმძღვანელებდა.

„კანონპროექტის საბოლოო ვარიანტმა ცალსახა მოწონება დაიმსახურა როგორც მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, ასევე განათლების სამინისტროს მხრიდან. დოკუმენტზე მუშაობისას იმ რაციონალურ მარცვალს ვიყენებდი, რომელიც ორივე მხარისთვის მისაღებ სხვადასხვა ვარიანტებში იყო ჩადებული. კანონპროექტზე საბოლოო კონსესუსი უკვე მიღწეულია. ის ერთნაირად მოიწონა როგორც მეცნიერებათა აკადემიამ, ასევე განათლების სამინისტრომ. ადამიანი, რომელმაც აკადემიკოსობას მიაღწია, ადეკვატურ ანაზღაურებას იმსახურებს", — აღნიშნა ნოდარ გრიგალაშვილმა.

კანონპროექტის სამუშაო ვარიანტის თანახმად, აკადემიკოსს მთელი სიცოცხლის მანძილზე ენიშნება ყოველთვიური ანაზღაურება 1600 ლარის ოდენობით, ხოლო აკადემიის წევრ-კორესპონდენტს 1000 ლარი.

„აკადემიკოსი, რა თქმა უნდა, ყველა ვერ ხდება, მაგრამ თუკი მეცნიერის ღვაწლი საყოველთაოდ აღიარებულია და მას აკადემიკოსის წოდება აქვს მინიჭებული, ეს სათანადო ანაზღაურებაშიც უნდა გამოიხატებოდეს. აკადემიკოსს ისეთი შემოსავალი უნდა ჰქონდეს, რომ საჭიროების შემთხვევაში თავი სწორედაც თავისი წოდებით ირჩინოს, — მიაჩნია კანონპროექტის ავტორს, რომელიც არ გამორიცხავს მის საავტორო კანონპროექტთან დაკავშირებულ შესაძლო კრიტიკული მოსაზრებების არსებობასაც. ამის მიუხედავად, პარლამენტში „მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ" კანონპროექტის მსვლელობას წინააღმდეგობა არ შეხვდება.

განათლების დარგის ხელმძღვანელებს იმედი აქვთ, რომ მეცნიერების სოციალური გარანტიების ახალი წესით დარეგულირება „საპნის ბუშტივით გააქრობს" წლების განმავლობაში გავრცელებულ მითქმა-მოთქმას იმის შესახებ, რომ ხელისუფლება ებრძვის მეცნიერებას, საზოგადოების განათლებას და ანგრევს აკადემიას. ნოდარ გრიგალაშვილი ირწმუნება, რომ თავად მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ხელმძღვანელობის მიერ მხარდაჭერილი საკანონმდებლო ინიციატივა სწორედ მეცნიერების ინტერესებსა და ამ სფეროს უკეთ განვითარებაზეა ორიენტირებული.

მრჩეველთა საბჭოს დებულება დამტკიცდა

მრჩეველთა საბჭოს 2007 წლის 5 ოქტომბრის სხდომაზე დამტკიცდა მრჩეველთა საბჭოს დებულება. მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი ვაჟა ოკუჯავა.

გასულ წელს უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ გიორგი ხუბუას ინიციატივით შეიქმნა რექტორის მრჩეველთა საბჭო, რომელშიც უნივერსიტეტის ღვაწლმოსილი პედაგოგები და მეცნიერები მიიწვიეს.

მრჩეველთა საბჭო, რომელიც, დებულების თანახმად, რექტორთან არსებული კოლეგიური ორგანოა, აქტიურ მონაწილეობას მიიღებს რექტორატისა და აკადემიური საბჭოს მიერ შემუშავებული წინადადებების, პროექტების, უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმის განხორციელებაში. ასევე აქტიურად ითანამშრომლებს უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან, დაეხმარება მათ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში, კონფერენციების ჩატარებასა და სამეცნიერო კრებულების გამოცემაში. საბჭო თვალყურს მიადევნებს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, მონაწილეობას მიიღებს სასწავლო პროგრამების შედგენაში.

რექტორის მრჩეველთა საბჭო უფლებამოსილია, უნივერსიტეტის რექტორის დავალებით შეიმუშაოს და წარუდგინოს მას წინადადებები და დასკვნები ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით, უნივერსიტეტის ინტერესებიდან გამომდინარე მოითხოვოს უნივერსიტეტის სამსახურებისა და ქვედანაყოფებიდან სათანადო ინფორმაცია.

დებულების მიხედვით, მრჩეველთა საბჭოს მიზანია წარმართოს უნივერსიტეტში დაგეგმილი ცვლილებები თაობათა აქტიური დიალოგის ფორმატში, წამოაყენოს წინადადებები უნივერსიტეტის მართვისა და საქმიანობის შესახებ.

რა კონკრეტული გეგმები აქვს მრჩეველთა საბჭოს, რა როლი უნდა შეასრულოს მან უნივერსიტეტის რეფორმირების პროცესში? — ამ საკითხებზე გვესაუბრება მრჩეველთა საბჭოს ახლად არჩეული თავმჯდომარე, აკადემიკოსი **ვაჟა ოკუჯავა**:

— დებულება, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ შემუშავდა, ოფიციალურად გვაძლევს უფლებას, ჩვენი წვლილი შევიტანოთ უნივერსიტეტის განვითარებაში.

დებულების მიხედვით, თვეში ერთხელ შევიკრიბებით და განვიხილავთ როგორც რექტორატის შემოთავაზებულ საკითხებს, ისე ჩვენი კოლეგებისა და სტუდენტების მიერ დასმულ კონკრეტულ პრობლემებს. სხდომებზე განვსაზღვრავთ სამომავლო გეგმებს.

ერთი სხდომა უკვე ჩავატარეთ. რექტორს გავაცანით ჩვენი სურვილი ბიბლიოთეკის თაობაზე, რომელიც უნივერსიტეტის პირველ კორპუსში განთავსდება და ჰუმანიტარულ მიმართულებას მოემსახურება. ჩვენი აზრით, იგი არა მხოლოდ მდიდარი წიგნადი ფონდით უნდა შეივსოს, არამედ თანამედროვე კომპიუტერული საშუალებებით, ელექტრონული კატალოგებით, ლექსიკონებით და ელექტრონული ბიბლიოთეკით უნდა აღიჭურვოს, რადგანაც ამგვარი მომსახურება გაცილებით იაფი და ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პროფესორ მასწავლებლებისთვის.

ამ დებულებით გარკვეული დამოუკიდებლობაც მოგვენიჭა. ამიტომ ვეცდებით, რექტორის ყურადღება მივაპყროთ პროფესორ-მასწავლებლების მიერ დასმულ პრობლემებს. მომდევნო სხდომაზე განზრახული გვაქვს განვიხილოთ ბაკალავრიატის საკითხი. მიგვაჩნია, რომ უნივერსიტეტის ბაკალავრიატის კურსდამთავრებული უფლებამოსილია ასწავლოს სკოლაში. ამის გათვალისწინებით, რა თქმა უნდა, საჭირო იქნება სასწავლო პროგრამაში გარკვეული კორექტივების შეტანა. ჩვენ ამ საკითხს საფუძვლიანად განვიხილავთ, შევისწავლით, შემდეგ ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ვითათბირებთ და ბატონ გიორგი ხუბუას კონკრეტულ წინადადებებს შევთავაზებთ.

ასევე გვსურს, უნივერსიტეტის სწავლების პროცესს უფრო აქტიურად დაერთოს მეცნიერული კვლევები. მიგვაჩნია, რომ სტუდენტმა სწავლების პროცესში უნდა აითვისოს არა მხოლოდ ის ცოდნა, რაც მის დარგშია, არამედ კვლევითი მეთოდებიც. ამიტომ შევიმუშავებთ კონკრეტულ წინადადებებს, რომლითაც ხელი შეეწყობა მეცნიერული მუშაობის საუნივერსიტეტო განათლებასთან შერწყმას.

ლექციების გაცდენისთვის ჯარიმები დაწესდა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2007 წლის 15 მაისის ბრძანებაში, რომელიც შეეხებოდა უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და საათობრივი ანაზღაურებით მოწვეული პედაგოგების მიერ შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფისათვის გასატარებელ ღონისძიებებს, ცვლილება შევიდა.

აღნიშნული ცვლილება გამოიწვია გასულ სასწავლო წელს დაფიქსირებულმა ლექციების გაცდენის ფაქტებმა როგორც სტუდენტთა, ასევე ლექტორების მხრიდან, რის გამოც უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ გაამკაცრა მოთხოვნები აკადემიური პერსონალისა და საათობრივი ანაზღაურებით მოწვეული პედაგოგების მიმართ.

"ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და საათობრივი ანაზღაურებით მოწვეული პედაგოგების მიერ შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესულების უზრუნველყოფისათვის გასატარებელ ღონისძიებათა" რექტორის 2007 წლის 15 მაისის №43/01-01 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის; უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ნაწილობრივი ცვლილება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2007 წლის 15 მაისის 43/01-01 ბრძანების პირველ ნაწილში და

მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. პედაგოგის მიერ მეცადინეობის გაცდენის თითოეულ ფაქტზე მონიტორინგის სამსახური ადგენს წერილობით ოქმს, რომელშიც ფიქსირდება პედაგოგის სახელი და გვარი, ფაკულტეტის დასახელება გაცდენილი აკადემიური საათი. ოქმის ჩანაწერის სისწორე დასტურდება შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატის წარმომადგენლის ან თსუ სხვა თანამშრომლის ხელმოწერით".

მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. მონიტორინგის სამსახურის მოთხოვნის საფუძველზე პედაგოგი ვალდებულია ერთი კვირის ვადაში წარმოადგინოს განმარტება მეცადინეობის გაცდენის მიზეზების შესახებ".

მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. პედაგოგის მიერ სასწავლო პროცესის არასაპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს, რომლითაც განისაზღვრება:

ა) პირველი გაცდენისათვის — ჯარიმა 25 ლარის ოდენობით, ხელფასიდან დაქვითვით;

ბ) მეორე გაცდენისათვის — ჯარიმა 50 ლარის ოდენობით, ხელფასიდან დაქვითვით;

გ) მესამე გაცდენისათვის — ხელშეკრულების შეწყვეტა".

2. ბრძანების პირველ ნაწილს დაემატოს მე-7 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„7. სასწავლო ცხრილის გათვალისწინებულ საათებში სტუდენტთა გამოუცხადებლობის შემთხვევაში, პედაგოგის მიერ ლექციის გაცდენა ჩაითვლება საპატიოდ, თუკი ის ყოველი სალექციო კურსის პირველი 20 წუთი იმყოფებოდა აუდიტორიაში".

3. დაევალოს საერთო განყოფილებას (ნ. ოვსიანიკოვა) უზრუნველყოს ამ ბრძანების გადაცემა უნივერსიტეტის ფაკულტეტებისა და სტრუქტურული ერთეულებისათვის. ბრძანება საჯარო გაცნობისათვის გამოქვეყნდეს გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში", უნივერსიტეტის ვებგვერდზე და განთავსდეს ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სასწავლო დეპარტამენტს (მ. სვანაძე).

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი გ. ხუბუა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №109/02-01

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2007 – 2008 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში დოქტორანტურის სტუდენტთა რეგისტრაციისათვის გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივესიტეტში 2007-2008 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში დოქტორანტთა ადმინისტრაციული რეგისტრაცია განხორციელდეს 2007 წლის 9 ნოემბრამდე.

2. დოქტორანტებს, რომლებსაც წინა სემესტრში გადახდილი აქვთ სწავლის საფასური და არ მიუღიათ შესაბამისი მომსახურება, შეუნარჩუნდეთ გადახდილი თანხა.

3. ფაკულტეტებმა უზრუნველყონ ბრძანების გაცნობა დოქტორანტებისათვის.

4. დაევალოს საერთო განყოფილებას (ნ. ოვსიანიკოვა) უზრუნველყოს ამ ბრძანების გადაცემა უნივერსიტეტის ფაკულტეტებისა და სტრუქტურული ერთეულებისათვის, ბრძანება საჯარო გაცნობისათვის გამოქვეყნდეს გაზეთ ,,თბილისის უნივერსიტეტში", უნივერსიტეტის ვებ გვერდზე და განთავსდეს ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე.

5. ბრძანების შესრულების უზრუნველყოფა დაევალოს სასწავლო დეპარტამენტს (მ. სვანაძე).

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გ. გალდავა

თსუ-სთან ყველა უმაღლესი სასწავლებელი „ვალშია“, რადგან მისი პროფესურით და სასწავლო პროგრამებით „იკვებება“

ინტერვიუ თსუ-ის ჟურნალისტიკის დეპარტამენტის დირექტორთან დავით პაიჭაძესთან

ბოლო პერიოდში ჟურნალისტიკისა და ჟურნალისტებისადმი ინტერესი ერთი-ორად გაღრმავდა. პოლიტიკურმა ბატალიებმა კი თვალნათლივ დაგვანახა — დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში „მეოთხე ხელისუფლებას“ იმდენად დიდი როლი აკისრია, რომ ზოგიერთი პოლიტიკოსი თავის შეცდომას ლამის მთელ ქართულ ჟურნალისტიკას აბრალებს.

ამ ფონზე არაერთხელ გაისმა საყვედური, რომ მედია „არაპროფესიონალების“ ხელშია, უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები კი ვერ უზრუნველყოფენ თანამედროვე ცოდნით აღჭურვილი ეთიკური ჟურნალისტური კადრების აღზრდას. განსაკუთრებული აქცენტი კეთდებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულებაზე. აქა-იქ ისიც ითქვა, რომ ჟურნალისტიკის მიმართულებამ უნივერსიტეტში „პრესტიჟი“ დაკარგა და აბიტურიენტები ამ პროფესიის დაუფლებისთვის სხვა უმაღლეს სასწავლებლებში სწავლას ამჯობინებენ. ამ მოსაზრებას კატეგორიულად არ ეთანხმება თსუ-ის ჟურნალისტიკის დეპარტამენტის დირექტორი დავით პაიჭაძე, რომელიც მიიჩნევს, რომ ყველა უმაღლესი სასწავლებელი „ვალშია“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, რადგან მისი პროფესურით და სასწავლო პროგრამებით „იკვებება“.

მაია ტორაძე

— ბატონო დავით, რამდენიმე თვის წინ ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში საუბარი იყო იმაზე, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის მიმართულებაზე სწავლა მიზეზთა გამო პრესტიჟული აღარ არის. დღეს, ვინაიდან ასე აქტუალურია თავისუფალი მედიის როლი საქართველოში განვითარებული პოლიტიკური პროცესების კვალდაკვალ, ჩვენ ისევ დავუბრუნდით ამ თემას. თქვენი აზრით, ხომ არ არის იმის მცდელობა, რომ კონკურენტი უნივერსიტეტების ფონზე ჟურნალისტიკის მიმართულება თსუ-ში დააკნინონ?

— სიმართლე გითხრათ, რას ნიშნავს პრესტიჟული სწავლა, არ მესმის. სტუდენტები ჟურნალისტიკის დეპარტამენტს არ აკლია, პირიქით, სხვადასხვა ბარიერის მოფიქრება გვიწევს, რადგან მსურველებს ვერ ავუდივართ.

რაც შეეხება კონკურენტ უნივერსიტეტებს, მე მათ ვერ ვხედავ. ყველა სახელმწიფო და ზოგიერთ კერძო უმაღლეს სასწავლებელში ჟურნალისტიკის პროგრამები შექმნილია ხატად და მსგავსად ჩვენი პროგრამისა. ყველაზე თვალსაჩინო გამონაკლისია საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი. იქ მოქმედებს ჟურნალისტიკის ორწლიანი მაგისტრატურა, განსხვავებული პროგრამით, თანაც სტუდენტთა რაოდენობას კარგად უხამებენ ტექნიკურ შესაძლებლობებს. სხვა საქმეა, თუ თავად ჟურნალისტის პროფესიას აკლდება პრესტიჟი. ეგებ „იმედის“ ეთერში ეს იგულისხმეს?

— უდავოა, რომ პროფესიონალი ჟურნალისტის აღზრდას თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სჭირდება. რამდენად გეხმარებათ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი მუშაობაში და ბიუჯეტიდან რა წილი აქვს ჟურნალისტიკის მიმართულებას იმისთვის, რომ სათანადო აკადემიური და სასწავლო გარემო შეიქმნას?

— ბიუჯეტის წილი საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას არ ჰყოფნის. უნივერსიტეტმა გაარემონტა ერთი რადიოსტუდია, გვაძლევს 1700 ლარს წიგნების შესაძენად, გვიწერს პრესას... წელს, გაზაფხულზე, წლების შემდეგ, პირველად გათბა უნივერსიტეტის VI კორპუსი. მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე ჯერ მეტს ვერაფერს მოგახსენებთ.

სწავლების გაუმჯობესებას სჭირდება სხვაგვარი ძალისხმევაც — ესაა აკადემიური პერსონალის სურვილი და უნარი, გაიმდიდროს ცოდნა, ისწავლოს, გაეპასუხოს თანამედროვეობას. დღეს ჟურნალისტიკის დეპარტამენტში აკუმულირებული ცოდნა დამოგზაურობს უნივერსიტეტიდან უნივერსიტეტში, რადგან ერთი და იგივე ადამიანები ასწავლიან სხვადასხვა ადგილას. ასეთ შემთხვევაში ცოდნის მოდერნიზების ალბათობა დაბალია. თუმცა, არა ერთ ჩემს კოლეგას აქვს წრფელი ინტერესი, ეზიაროს სიახლეებს. ისიც უნდა ითქვას, რომ პროფესორებს სტუდენტთა დიდ რაოდენობასთან უწევთ მუშაობა, რაც სწავლების ხარისხს არ ამაღლებს. ჩვენ ყველას გვაკლია ცოდნა, როგორ მივაღწიოთ პოზიტიურ შედეგს დიდ აუდიტორიასთან მუშაობის დროს.

— ჟურნალისტიკის მიმართულებაზე, ტრადიციულად, პოპულარული იყო ტელე-რადიო ჟურნალისტიკა. რამდენად ექცევა ამ სფეროს ყურადღება თქვენს მიმართულებაზე?

— ტელესა და რადიოს გავმიჯნავ: ტელეჟურნალისტიკის სასწავლებლად თითქმის არაფერი გვაქვს. ორი კამერა, სამი სამონტაჟო მაგიდა და მორალურად უიმედოდ დაძველებული სტუდია ასობით სტუდენტს ვერ აუდის. შედარებით უკეთესი მდგომარეობაა რადიოში: გვაქვს ორი, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი სტუდია და რამდენიმე კომპიუტერი, რათა სტუდენტებმა სიუჟეტები აკეთონ, ჩაწერონ, ამონტაჟონ, მეტყველება დახვეწონ და პირდაპირი ეთერის სიმულაცია გასწიონ. იძულებულნი ვართ, პრაქტიკული რადიოჟურნალისტიკა მცირე ჯგუფებს ვასწავლოთ, რათა ნამდვილ შედეგს მივაღწიოთ.

— ეს ხომ არ განაპირობა თქვენი რადიოჟურნალისტიკისადმი განსაკუთრებულმა ინტერესმა? ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტები გამოთქვამენ სურვილს, რომ ტელეჟურნალისტიკა უფრო სერიოზულად ისწავლებოდეს. მხოლოდ მატერიალური ბაზის არქონა განაპირობებს რადიოჟურნალისტების მომზადების სურვილს?

— ეს განაპირობა იმან, რომ რადიოაღჭურვილობა სატელევიზიო ტექნიკაზე იაფი ღირს და დონორმა ორგანიზაციამ, საერთაშორისო კვლევებისა და გაცვლების საბჭომ, სრულად დააფინანსა ჩემი პროექტი, რომელიც თსუ-ში პრაქტიკული რადიოჟურნალისტიკის სწავლების დასაფუძნებლად გავმიზნე. მართალია, რადიო უკეთ მესმის, ვიდრე ტელევიზია და ამანაც გარკვეული როლი შეასრულა.

— როგორია თქვენი დამოკიდებულება დარგობრივი ჟურნალისტიკისადმი? როგორ ფიქრობთ, სტუდენტი ჯერ ჟურნალისტი უნდა გახდეს და მერე დასპეციალდეს ერთი კონკრეტული მიმართულებით თუ პირიქით — რომელიმე დარგის სპეციალისტი უნდა გახდეს ჟურნალისტი?

— ჟურნალისტი შეიძლება გახდეს ყველა – ეს არის, ალბათ, ყველაზე ღია პროფესია. მომავალი წლიდან, ვფიქრობ, შევცვალოთ სასწავლო პროგრამა, მოვაკლოთ რამდენიმე ე.წ. თეორიული საგანი სპეციალობაში და მას საერთო, ფუნდამენტური საუნივერსიტეტო განათლებისათვის აუცილებელი დისციპლინები შევმატოთ. საფუძვლიანი განათლება, პროფესიული ეთიკისა და თვითგამოხატვის ნორმების ცოდნა და ჟურნალისტიკის, როგორც ხელობის დაუფლება — ძალიან მარტივად რომ ვთქვა, ეს სამი ელემენტი მესახება ჟურნალისტური განათლების კომპონენტებად. არ გამოვრიცხავ, შევიმუშავოთ არა აკადემიური, არამედ პროფესიული განათლების მოდული ჟურნალისტიკაში.

> საფუძვლიანი განათლება, პროფესიული ეთიკისა და თვითგამოხატვის ნორმების ცოდნა და ჟურნალისტიკის, როგორც ხელობის დაუფლება – ძალიან მარტივად რომ ვთქვა, ეს სამი ელემენტი მესახება ჟურნალისტური განათლების კომპონენტებად. არ გამოვრიცხავ, შევიმუშავოთ არა აკადემიური, არამედ პროფესიული განათლების მოდული ჟურნალისტიკაში.

— ანუ დარგობრივი ჟურნალისტიკის განვითარების იდეა, თქვენი აზრით, პრიორიტეტული არ არის?

დავით პაიჭაძე

— დარგობრივი ჟურნალისტი, სჯობს, მოამზადონ მედია ორგანიზაციებმა: გაამწესონ ჟურნალისტი ამა თუ იმ სფეროში სტაბილური მუშაობისათვის და ხელი შეუწყონ მის სპეციალიზაციას. იდეა კარგია, მაგრამ ერთ-ორ წელიწადში მის სრულფასოვნად განხორციელებას ვერ შევძლებთ.

— თსუ ჟურნალისტიკის მიმართულებაზე დაიწყო ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტთა სწავლება. რას ეფუძნება ეს — მობილობას, რაიმე კონკრეტულ ხელშეკრულებას თუ უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის რომელიმე ფორმას. როგორ მოხდება ჩვენი პროფესურის შრომის და უნივერსიტეტის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურება?

— ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის სპეციალობის მესამე და მეოთხე კურსის სტუდენტები თსუ-ში გააგრძელებენ სწავლას და ეს სწავლა ეფუძნება ორი უნივერსიტეტის რექტორთა შეთანხმებას. მზად არის ხელშეკრულების პროექტი, რომლის ძალითაც, ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი თსუ-ის გადაურიცხავს სტუდენტთა მიერ გადახდილ სწავლის საფასურს, ამასთან, აღიარებს თსუ-ში ამ სტუდენტების მიღებულ შეფასებებსა და კრედიტებს.

თსუ-ის სოხუმის ფილიალს უნივერსიტეტის სტატუსი მიენიჭა

ინტერვიუ სოხუმის უნივერსიტეტის რექტორთან, პროფესორ ჯონი აფაქიძესთან

შურთხია ბეროშვილი

— ბატონო ჯონი, თსუ-ის რვა ფილიალიდან მხოლოდ სოხუმის ფილიალს მიენიჭა პრიორიტეტი და მიიღო უნივერსიტეტის სტატუსი. როგორ ფიქრობთ, რა იყო ამის მიზეზი?

— ქვეყნის მთავრობის გადაწყვეტილება თსუ-ის სოხუმის ფილიალისთვის უნივერსიტეტის სტატუსის მინიჭების თაობაზე, ჩემი აზრით, სამართლიანი და ობიექტურია თუნდაც იმ უმთავრესი ფაქტორის გამო, რომ ამ სასწავლებელს შეუძლია სამივე დონის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა) მომსახურება. უნივერსიტეტში ბევრი მაღალკვალიფიციური პროფესორი მუშაობს. ვიმედოვნებთ, რომ ახლო მომავალში გამოჩნდებიან ახალი საინტერესო სახეებიც.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ფილიალის საკითხის საფუძვლიანი შესწავლის შემდეგ მხარი დაუჭირეს სოხუმის უნივერსიტეტის ფორმირებას.

— სოხუმის უნივერსიტეტი, ადრე, აფხაზეთის ტერიტორიაზე ფუნქციონირებდა. დღეს უნივერსიტეტი ამ სახელწოდებით, ჯერჯერობით, თბილისში რჩება. როგორ ფიქრობთ, მომავალშიც შეინარჩუნებს იგი ამ სახელწოდებას?

— 1993 წლის სექტემბრამდე უნივერსიტეტი მდებარეობდა და ფუნქციონირებდა ქალაქ სოხუმში. სექტემბრის ცნობილი მოვლენების შემდეგ სასწავლებელმა თბილისში გადმოინაცვლა. მან თავისი არსებობის მანძილზე მართლაც მძიმე და რთული გზა განვლო. იმ მძიმე პერიოდში სწავლება თბილისის სხვადასხვა სკოლებში მიმდინარეობდა. უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტობამ ყველა განსაცდელსა და პრობლემას ღირსეულად გაუძლო და, დღეს, მათი წყალობით გვაქვს სოხუმის უნივერსიტეტი. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სოხუმის ფილიალს ყოველთვის ერთგულად ედგა გვერდში და ეს ტრადიცია კვლავაც გაგრძელდება. ვგეგმავთ სხვა უნივერსიტეტებთან თანამშრომლობასაც. მომავალში რომელი მეცნიერის თუ საზოგადო მოღვაწის სახელი მიენიჭება უნივერსიტეტს, ამაზე ახლა ვერ გიპასუხებთ, რადგან ეს მოითხოვს სათანადო კონსულტაციებს. პირადად მე, ამ საკითხის დასმა ნაადრევად მიმაჩნია

— ბუნებრივია, ფილიალის უნივერსიტეტად გარდაქმნას მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილებები მოჰყვება. როგორი ფორმით განხორციელდება რეორგანიზაცია?

— ყველა ცვლილება გეგმის მიხედვით და სკურპულოზური ანალიზის საფუძველზე განხორციელდება, რაც არასწორი ან არაკომპეტენტური გადაწყვეტილებების მიღებას სრულიად გამორიცხავს. ერთერთი მნიშვნელოვანი საკითხი იმ კადრების დაწინაურებაა, რომლებიც მაღალი პროფესიონალიზმით, პატიოსნებით, პრინციპებითა და უნივერსიტეტის იდეების ერთგულებით გამოირჩევიან. ჩვენ ვერ შევეგუებით დაბალკვალიფიციურ კადრებს. შესაბამისად, მხარს დავუჭერთ ყველაფერს, რაც უნივერსიტეტის განვითარებას ხელს შეუწყობს. დარწმუნებული ვარ, რომ სწორი რეორგანიზაცია დიდად წაადგება უნივერსიტეტის განვითარებასა და წინსვლას.

— რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, თქვენ აპირებთ აფხაზეთმცოდნეობის ინსტიტუტის გახსნას. გვიამბეთ ამის შესახებ...

— სოხუმის უნივერსიტეტის აფხაზეთმცოდნეობის ინსტიტუტი დაკომპლექტდება კომპეტენტური და კეთილსინდისიერი მეცნიერებით, რაც, თავისთავად, გამორიცხავს ყოველგვარ პროვინციალიზმს ან მიკერძოებას კვლევების პროცესში. ინსტიტუტი მრავალპროფილიანი იქნება, ანუ, ვასწავლით როგორც აფხაზურ ენას და ლიტერატურას, ისე არქეოლოგიას, ეთნოლოგიასა და სხვა დისციპლინებს. ინსტიტუტის შექმნა მარტივი საკითხი არ გახლავთ, საჭიროა დიდი მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება, აუცილებელია ექსპერტებთან კონსულტაციებიც. მიგვაჩნია, რომ ეს ინსტიტუტი გარკვეულ როლს ითამაშებს ქართველი და აფხაზი ხალხების დაახლოებასა და ჩატეხილი ხიდის აღდგენაში.

— სხვა რა სიახლეებია დაგეგმილი სამეცნიერო მუშაობის თვალსაზრისით?

— უნივერსიტეტის ერთერთი პრიორიტეტული მიმართულება სამეცნიერო მუშაობა იქნება. პროფესორი, რომლის ნაშრომები ვერ ქვეყნდება ადგილობრივ და უცხოეთის რეფერირებად გამოცემებში, სამწუხაროდ, ვერ დაიმსახურებს სტუდენტების მხრიდან აღიარებას. ჩვენი პროფესორების გარკვეული ნაწილი საერთაშორისო სამეცნიერო წრეებში ცნობილი მეცნიერებიც იქნებიან. ამის გარეშე უნივერსიტეტის ავტორიტეტი ვერასოდეს იქნება ისეთი, რომ ის სტუდენტებისთვის მიმზიდველი გახდეს.

სამეცნიერო მუშაობის განვითარებისთვის მრავალი აუცილებელი მოთხოვნა არსებობს. მაგალითად, გერმანიის უნივერსიტეტებში სავალდებულოა, რომ პროფესორმა წელიწადში რამდენიმე მოხსენება გააკეთოს როგორც ადგილობრივ, ისე სხვა უნივერსიტეტებში, სადაც თავისი სამეცნიერო საქმიანობის შედეგებს წარმოადგენს. ჩვენი სურვილია, უნივერსიტეტში ხშირად გაიმართოს საერთაშორისო სემინარები, კონფერენციები, სიმპოზიუმები, კონგრესები.

— რამდენი სტუდენტი სწავლობს ამჟამად უნივერსიტეტში და იგეგმება თუ არა მომავალში მათი რაოდენობის გაზრდა?

— ამჟამად სოხუმის უნივერსიტეტში, დაახლოებით, 4500 სტუდენტი სწავლობს. ეს რაოდენობა გარკვეულად გაიზრდება, რადგანაც უნივერსიტეტის განვითარების გეგმა, რომელზეც ამჟამად ვმუშაობთ სტუდენტების რაოდენობის ზრდასაც ითვალისწინებს. მაგალითად, აკრედიტაციის გავლისა და ლიცენზიის მიღების შემთხვევაში ვგეგმავთ, სტუდენტების მიღებას უმაღლესი პროფესიული განათლების სხვადასხვა სპეციალობებზე. ამ მიმართულებით უკვე შემუშავებული გვაქვს 16 სპეციალობის პროგრამა. მომავალი სასწავლო წლიდან ვგეგმავთ სტუდენტების მიღებას ბაკალავრიატის სხვადასხვა სპეციალობებზე. მიმდინარე წლის დეკემბერში გვექნება მიღება მაგისტრატურასა და დოქტორანტურაშიც.

— როგორ მიმდინარეობს ამ ეტაპზე სასწავლო პროცესი?

— ჩვენ უმოკლეს ვადებში შევძელით სასწავლო პროცესის განახლება. ფაკულტეტზე შედგენილია ცხრილები, განაწილებულია სასწავლო დატვირთვები და ა.შ. სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით უკვე ყველა საჭირო ღონისძიება გავატარეთ. სიახლე იქნება მონიტორინგის ჯგუფის შექმნაც, რომელსაც ლექცია-სემინარების მიმდინარეობის შემოწმების კონტროლი დაევალება. თუმცა ლექციების გაცდენის შემთხვევაში შესაბამის ზომებს დეკანატი და ადმინისტრაცია მიიღებს.

— ძირითადად, რა სიძნელეების გადალახვა გიწევთ, რა არის ამჟამად ახლად შექმნილი უნივერსიტეტის მთავარი პრობლემა?

— სოხუმის უნივერსიტეტს, ამ ეტაპზე, რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი აქვს გადასაწყვეტი. მათ შორის უმთავრესია: უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის მიღება, რეორგანიზაცია, ახალი საშტატო განრიგის დამტკიცება, ზამთრისთვის მზადება. ვცდილობთ, ყველა საკითხი დადგენილ ვადებში მოვაგვაროთ.

— სამომავლო გეგმებზე რას გვეტყვით?

— ნებისმიერი უნივერსიტეტის უმთავრესი ღირებულებაა ბეჯითი, ნიჭიერი და განათლებული სტუდენტებისა და მაღალკვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლების ყოლა, რომლებიც თავიანთ მოვალეობას გულმოდგინედ და კეთილსინდისიერად ასრულებენ. პროფესორი თავისი ცხოვრების წესითა და პროფესიონალიზმით მაგალითის მიმცემი უნდა იყოს სტუდენტებისთვის. დიდი ყურადღება დაეთმობა სტუდენტებისა და პროფესორების გაცვლით პროგრამებს დასავლეთის უნივერსიტეტებთან. ჩვენი მიზანია, რომ მოვხვდეთ ინტერნაციონალური მეცნიერების მაღალ წრეებში, აქტიურად ჩავერთოთ სამეცნიერო პროცესებში, ევროპის კავშირის მნიშვნელოვან პროექტებში, რაც სოხუმის უნივერსიტეტს დაფასებასა და აღიარებას მოუტანს. ამავე დროს დაეხმარება სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტაში. მთავარია ბოლონიის პროცესიის სწორი გაგება, მისი განხორციელება და რეფორმების თანმიმდევრული გატარება. ჩვენი სახელმძღვანელო დოკუმენტებია: საქართველოს კონსტიტუცია, ზოგადადმინისტრაციული კოდექსი, კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, კანონი საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებები და სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

ვგეგმავთ ლექციების და სემინარების ჩასატარებლად ევროპის ქვეყნებიდან სხვადასხვა დარგის ცნობილი სპეციალისტების მოწვევას. დასავლელ კოლეგებთან ამგვარი თანამშრომლობა უდავოდ ხელს შეუწყობს სოხუმის უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის გამდიდრებასა და, ზოგ შემთხვევაში, თვით სწავლების კონცეფციებისა და მეთოდების დახვწესაც. გერმანიის სასწავლო აკადემიური გაცვლების სამსახურთან, გერმანიის კვლევით საზოგადოებასთან, ალექსანდრე ფონ ჰუმბოლდტის თუ სხვა ქვეყნების სასწავლო და სამეცნიერო ფონდებთან თანამშრომლობით სოხუმის უნივერსიტეტი შეძლებს ბევრი ახალი და სასიცოცხლოდ აუცილებელი ამოცანებისა და მიზნების განხორციელებას.

ჩემი, როგორც უნივერსიტეტის ხელმძღვანელის უპირველესი მიზანია, სტუდენტებსა და პროფესორებს კარგი სამუშაო პირობები შევუქმნა, რათა სოხუმის უნივერსიტეტი მიმზიდველი გახდეს არა მარტო ქართველებისთვის, არამედ უცხოელებისთვისაც. რა თქმა უნდა, სოხუმის უნივერსიტეტის კარი ეთნიკური აფხაზებისთვის ყოველთვის ღია იქნება. ჩვენ დავეხმარებით მათ და თანადგომას აღმოვუჩენთ. ურთიერთპატივისცემა წარმატების მიღწევის ერთერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

სოხუმის უნივერსიტეტი, ახლა, დიდი გზის დასაწყისში დგას და ის ნელ-ნელა განვითარების ახალ საფეხურზე გადადის. მჯერა, სოხუმის უნივერსიტეტის სტუდენტებთან და პროფესორებთან ერთად დასახულ მიზნებს აუცილებლად მივაღწევთ.

ქართველ მწერალთა ვიზიტი ბარსელონაში

შურთხია ბეროშვილი

ოქტომბერში ქართველ მწერალთა ერთი ჯგუფი ესპანეთში არსებული შემოქმედებითი ასოციაცია „იბერიის“ მიწვევით ბარსელონაში გაემგზავრა. ოტია იოსელიანი, ვანო იბერი, ქეთევან შენგელია, გურამ ოდიშარია და ბაღათურ არაბული შემოქმედებითი ასოციაციების: „ლომისის“ და „ქიმერიონის“ ეგიდით სერვანტესის სამშობლოს სტუმრობდნენ. მათ მთავარ მიზანს ახალი კულტურული კავშირების დამყარება და ქართველ დიასპორასთან შეხვედრა წარმოადგენდა.

ქართველმა მწერლებმა მასპინძლებთან ერთად რამდენიმე კულტურულ ღონისძიებაში მიიღეს მონაწილეობა. დაათვალიერეს ქვეყნის ღირსშესანიშნაობები, უფრო ახლოს გაეცვნენ კატალონიურ კულტურას, მოინახულეს გაუდის უბადლო არქიტექტურის ნიმუშები, დაესწრნენ კონცერტს, სადაც შესრულდა ესპანური ნაციონალური ცეკვები.

მადრიდიდან სპეციალურად მათთან შესახვედრად ჩამოვიდა ქართული სათვისტომოს წევრი, შემოქმედებითი გაერთიანება „იბერიის“ წარმომადგენელი ქალბატონი ქეთევან გორდელაძე. მან ქართველ მწერლებს შესთავაზა ქართულ-ესპანური ჟურნალის გამოცემა, სადაც ორივე ქვეყნის თანამედროვე მწერლების ნაწარმოებები, საუკეთესო თარგმანები დაიბეჭდება. იდეა სასიამოვნო სიურპრიზი იყო ორივე მხარისთვის. აღინიშნა, რომ ამგვარი გამოცემები ხელს შეუწყობს ქართულ-ესპანური ურთიერთობების განვითარებას და ორი მონათესავე კულტურის დაახლოებას.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტისა და კულტურის ცენტრის თანამშრომელი, მწერალთა ასოციაცია „მნათობის“ წევრი, შემოქმედებითი ასოციაცია „იბერიონი — 2001“-ის წევრი, პოეტი ქეთევან შენგელია აღნიშნავს, რომ თითოეული მწერლისთვის ესპანეთში გატარებული ყოველი დღე დაუვიწყარი და ამასთან, შემოქმედებითად დატვირთული იყო. განსაკუთრებული ემოციით იგი ქართველ სათვისტომოსთან შეხვედრას იხსენებს: „ქართველებს მათ მიერ დაარსებულ სამლოცველოში შევხვდით. იქ ყოველდღიურად ქართულ ენაზე აღევლინება ღვთისმსახურება, ჰყავთ მგალობელთა გუნდი და საქართველოდან მიწვეული მოძღვარი — მამა ლუკა, რომელიც ძალიან ბევრ სასიკეთო საქმეს აკეთებს თავისი მრევლისთვის. ქართული სათვისტომოს წარმომადგენლებმა: რევაზ და ბესო ლიპარტელიანებმა და ჯონდი მეშველიანმა ერთი წლის წინ მოიძიეს შენობა და იქ სამლოცველო დაარსეს. მათი ინიციატივით ახალი ტაძრის მშენებლობაც დაიგეგმა. ქართველებმა ძალიან თბილად მიგვიღეს. ლოცვას ჩვენც დავესწარით. შემდეგ კი საქართველოდან სპეციალურად მათთვის ჩამოტანილი წმინდა გიორგის ხატი და წიგნები გადავეცით“.

ვიზიტის დროს პოეტ ქეთევან შენგელიას ოცნება აუხდა. დაათვალიერა პიკასოს მუზეუმი. იგი დიდი ხანია დაინტერესებულია მხატვრის შემოქმედებით. მისი წერილი „მზისფერი ქუდი“ პიკასოს ეძღვნება. იგი ესპანურ-ქართული ჟურნალისთვის მხატვრის შემოქმედების პირველი პერიოდის მიმოხილვას აპირებს. „იმდენად ძლიერი სურვილი მქონდა, პიკასოს ნახატები ორიგინალში მენახა, ჯგუფს გავეპარე და მარტო წავედი მუზეუმში“, — გაგვიმხილა ქალბატონმა ქეთევანმა.

მისი თქმით, ესპანეთში ქართველი მწერლების ვიზიტი მართლაც ნაყოფიერი გამოდგა. სამომავლოდ მრავალი ღონისძიება დაიგეგმა. ქეთევან შენგელია და გურამ ოდიშარია აპრილში კვლავ გაემგზავრებიან ესპანეთში, სადაც მონაწილეობას მიიღებენ ესპანურ-ქართული პოეზიის საღამოზე. „კიდევ ერთი ოცნება მაქვს განსახორციელებელი. ჩემი მიზანია, ახლად დაარსებულ ჟურნალში უნივერსიტეტის შემოქმედ სტუდენტთა ნაწარმოებებიც დაიბეჭდოს, მინდა, ახალგაზრდებს ხელი შევუწყო შემოქმედებითი კონტაქტების დამყარებაში“, — აღნიშნა ქეთევან შენგელიამ.

ღვინის ორი ცივილიზაცია

29 ოქტომბერიდან 4 ნოემბრამდე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საფრანგეთის წარმომადგენლობით დელეგაციას მასპინძლობდა. ვიზიტი ორი ქვეყნის დაახლოებას და მათ შორის ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ აკადემიურ ასპექტში გამოცდილების გაზიარებას, მსოფლიოში ქართული ღვინის პოპულარიზაციას, ქართველ და ფრანგ მეწარმეებს შორის ახალი საქმიანი კონტაქტების დამყარებას ისახავდა მიზნად. ფრანგულ დელეგაციას სორბონის უნივერსიტეტის რექტორი ჟან-რობერ პიტი ხელმძღვანელობდა. ვიზიტის ფარგლებში კახეთსა და რაჭაში გასვლითი სამუშაო ტურები მოეწყო.

მაკა ლდოკონენი

ფრანგული კულტურის ინტერვენციის დასაწყისი

29 ოქტომბერს საფრანგეთის დელეგაცია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს გიორგი ხუბუას შეხვდა. საუბარი ქართული მეცნიერების საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების პერსპექტივებს შეეხო. ამ მიზნით თსუ-ში ახალი მიმართულებების განვითარება დაიგეგმა: ღვინის სამართალი, მარკეტინგი და ღვინის გეოგრაფიულ-ლანდშაფტური თავისებურებების კვლევა.

ამავე შეხვედრაზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პარიზის აღმოსავლური ენებისა და ცივილიზაციების ნაციონალურ ინსტიტუტს შორის თანამშრომლობის ხელშეკრულება გაფორმდა, რომელიც ორ მხარეს შორის სამეცნიერო და პედაგოგიური გაცვლითი პროგრამების ორგანიზებას ითვალისწინებს და ქართული, კავკასიური, ფრანგული, რუსული და აღმოსავლური ენების შესწავლის ხელშეწყობას ისახავს მიზნად.

თსუ-ის რექტორმა გიორგი ხუბუამ ქართულ-ფრანგული ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეში პროფესორ ნიკოლოზ ბერუჩაშვილის დამსახურებაზე ისაუბრა. სწორედ ამ მეცნიერის ნაშრომებისა და საფრანგეთის უნივერსიტეტებთან აქტიური კონტაქტების წყალობით ჩაეყარა საფუძველი თსუ-სა და სორბონის უნივერსიტეტებს შორის ოფიციალურ ურთიერთობებს.

„დღეიდან ჩვენს უნივერსიტეტში ფრანგული კულტურის ხელახალი ინტერვენცია იწყება. მოხარული ვარ, რომ ამ ისტორიული წამოწყების ინიციატორები ქართველებთან ერთად დემოკრატიის ფუძემდებელი ფრანგები არიან“, — განაცხადა გიორგი ხუბუამ.

განხილვას ემსახურება, არამედ გაცილებით შორეულ მიზნებს ისახავს და იგი ქართულ-ფრანგულ ურთიერთობებში გარდატეხად შეგვიძლია ჩავთვალოთ. კონფერენციის მნიშვნელობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მონაწილეებს სპეციალური მიმართვის წერილი საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გამოუგზავნა.

„ერთი შეხედვით ბანალური, თუმცა, განსაკუთრებული და ღრმა თემის – მეღვინეობის შესახებ სასაუბროდ შევიკრიბეთ. ღვინოს სად არ შეხვდება ადამიანი: ოჯახში, მაღაზიაში, ბაზარში, რესტორანში, მაგრამ არა უნივერსიტეტში. მიხარია, რომ საქართველოსა და საფრანგეთს შორის ურთიერთობები მეღვინეობის დამსახურებით აღდგა და ხელახლა სწორედ ღვინომ შეგვკრიბა. იმედს გამოვთქვამ, სემინარი ორ ქვეყანას შორის დიალოგის გაღრმავებას, კულტურულ, სამეცნიერო თუ პოლიტიკურ სფეროში თანამშრომლობას კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს“, - განაცხადა საფრანგეთის ელჩმა.

„მართალია, ქართულად არ ვსაუბრობ, მაგრამ შევეცდები, ღვინის ენაზე გესაუბროთ - ენაზე, რომელსაც ნებისმიერი ქართველი ფლობს. ამგვარი დიალოგით, ვფიქრობ, ჩვენი ურთიერთთანამშრომლობის საუკეთესო ასპექტებს გამოვნახავთ და საინტერესო პროექტებსაც ჩავუყრით საფუძველს“, — დასძინა სორბონის უნივერსიტეტის რექტორმა ჟან-რობერ პიტმა.

კონფერენციის ფარგლებში ჟან-რობერ პიტს საქართველოსა და საფრანგეთის უნივერსიტეტებს შორის ურთიერთობების გაღრმავების საქმეში შეტანილი წვლილისთვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა.

კონფერენციის სპიკერმა, INACO-ს პროფესორმა ჯან რადვანმა ჟან-რობერ პიტთან ერთად საქართველოში თავისი პირველი ვიზიტი გაიხსენა: რამდენიმე წლის წინ ორ მეცნიერს მოწვევა ნიკოლოზ ბერუჩაშვილისგან მიუღია. ისინი ჩამოსვლისთანავე მოხიბლულან საქართველოს უძველესი ისტორიით, მევენეხეობის მრავალფეროვნებით და როგორც გეოგრაფებს გასჩენიათ იდეა, ისეთი კონფერენცია ჩაეტარებინათ, რომელიც დასავლეთ ევროპის მეღვინეობის ქვეყნებსა და საქართველოს შორის ურთიერთობებს შეუწყობდა ხელს. ეს პროექტი მეღვინეობით დაინტერესებულმა სხვადასხვა მეცნიერული დისციპლინის წარმომადგენლებმა სიხარულით აიტაცეს. უდიდესი ინტერესი და მხარდაჭერა გამოითქვა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლების მხრიდანაც. თსუ-ის რექტორი გიორგი ხუბუა და პროფესორი იაგო კალანდაძე ხანგრძლივად მუშაობდნენ ამ იდეის ხორცშესასხმელად. კონფერენციის ჩატარებას არანაკლებ შეუწყო ხელი საფრანგეთისა და საქართველოს საელჩოებისა თუ ორი ქვეყნის სოფლის მეურნეობის სამინისტროების მხარდაჭერამ.

ფრანგები და ქართველები კონფერენციაზე ღვინომ გააერთიანა

30 ოქტომბერს თსუ-ის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სხდომათა დარბაზში საერთაშორისო კონფერენცია — „საქართველო და საფრანგეთი: ღვინის ორი ცივილიზაცია“ გაიხსნა. კონფერენციას საფრანგეთის ელჩი საქართველოში ერიკ ფურნიე, საქართველოს მეცნიერებისა და განათლების მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დიდებულიძე, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ლილი ბეგიაშვილი, სორბონის უნივერსიტეტის რექტორი ჟან-რობერ პიტი, ფრანგი და ქართველი მეცნიერები, ექსპერტები და ტექნოლოგები ესწრებოდნენ.

კონფერენცია თსუ-ის რექტორმა გახსნა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მსგავსი კონფერენცია ქართულ სინამდვილეში არ ჩატარებულა. „ღვინის ორი ცივილიზაცია“ არა მხოლოდ უბრალო, ლოკალური ფაქტია, რომელიც ღვინის კულტურასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ასპექტების

ღვინის ახალი და ძველი სამყარო

კონფერენციაზე საუბარი ანტიკური მევენახეობის წარმოშობა-განვითარებას, ფრანგულ მევენახეობაში არსებულ „შიდა იერარქიულობას“, მარკეტინგის სფეროს თავისებურებებს და ფრანგი მეღვინეების გამოცდილებას შეეხო. განიხილეს ღვინის წარმოების როლი საფრანგეთის ეკონომიკაში, ასევე ფრანგული ღვინოების ღირებულება და სახეობები მსოფლიო ეკონომიკაში, ღვინომასალების მოხმარების ინტენსიურობა, გეოგრაფიული თავისებურებები და ღვინოების დასახელებები. ქართველმა სპეციალისტებმა ყურადღება იმ პრობლემატურ საკითხებზე გაამახვილეს, რის წინაშეც დღეს ქართული ღვინის წარმოება დგას. საუბარი ქართული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოებსაც შეეხო. პროფესორმა ვახტანგ ლიჩელმა საზოგადოებას უახლეს ქართულ არქეოლოგიურ აღმოჩენებზე მოუთხრო. მან კიდევ ერთხელ, სიამაყით შეახსენა კონფერენციის მონაწილეებს, რომ საქართველოს მეღვინეობას 7000 წლიანი ისტორია აქვს, რომ ძველი წელთაღრიცხვით VI-V ათასწლეულების სამარხები ადასტურებს, რომ საქართველოში ვაზის მოშენება ადრესამიწათმოქმედო პერიოდში დაიწყეს, II ათასწლეულიდან კი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გავრცელდა ვაზის კულტურული ჯიშები. თვითმყოფადობით გამოირჩევა ძველი წელთაღრიცხვის I ათასწლეულში საქართველოში გავრცელებული დაკრძალვის წესი – მიცვალებულს საღვინე ქვევრებში მარხავდნენ.

ქართული ღვინის პოპულარიზაციასა და ღვინის ტურიზმის განვითარების პროგრამაზე GTZ-ის პროექტის ხელმძღვანელმა კნუტ გერბერმა ისაუბრა. მან ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების საქმეში ღვინის კულტურასთან დაკავშირებული ტურიზმის ხელშეწყობაზე გაამახვილა ყურადღება.

ინტერესი გამოიწვია „პარიზი 4“ უნივერსიტეტის დოქტორის ჟილ ფიუმეის ორიგინალურმა მოხსენებამ „ღვინოები და ყველი, ფრანგული წყვილის დაბადება“.

„ისტორიული, გეოგრაფიული, პოლიტიკური თუ სხვა უამრავი მიზეზის გამო საფრანგეთი ღვინის უდიდესი ცივილიზაციის ქვეყნად ჩამოყალიბდა. ღვინო პოლიკულტურაა და იგი სხვა დარგების განვითარებასაც უწყობს ხელს. მაგალითად ღვინო ამა თუ იმ კერძთან ერთად გაცილებით კარგ თვისებებს იძენს - სწორედ ღვინის პოლიკულტურულმა ხასიათმა განაპირობა საფრანგეთში ყველის სახეობათა მრავალფეროვნება. დღეს საფრანგეთში გეოგრაფიული თვალსაზრისით ღვინისა და ყველის წარმოება, გარკვეულწილად, ეხამება და ეხმარება ერთმანეთს. ყველი ის პროდუქტია, რომელიც წყურვილს იწვევს. ზოგჯერ ფრანგები იმის გამო სვამენ ღვინოს, რომ ზოგიერთი სახეობის ყველის ამა თუ იმ თვისებას გაუსვან ხაზი ან პირიქით - როდესაც სურთ ყველის ცხიმიანობის გაბათილება, შესაბამის ღვინოს აგემოვნებენ, თხის ყველი კი მშრალია და გარკვეული ტიპის ღვინოს ითხოვს“, - განაცხადა ჟილ ფიუმეიმ და იქვე გამოხატა თავისი გაოცება, რომ საქართველოში, ღვინის ამ უძველესი ცივილიზაციის ქვეყანაში, ყველის ესოდენ მცირე სახეობებს ვხვდებით.

კონფერენციაზე ჟურნალ „Revu du Vin de France“-ს რედაქტორმა დენიზ სავერომ იმ გამოცემების თავისებურებებზე ისაუბრა, რომლებიც ღვინის თემატიკას ასახავს:

„Revu du Vin de France“ საფრანგეთის ყველაზე ძველი ჟურნალია, რომელიც ღვინოსა და მასთან დაკავშირებულ საკითხებს აშუქებს. მისი ტირაჟი თვეში 40 000-ია და მას მრავალრიცხოვანი მკითხველი ჰყავს არა მხოლოდ საფრანგეთში, არამედ ბელგიაში, შვეიცარიასა და კანადაში“.

დენიზ სავერო საფრანგეთის თანამედროვე მეღვინეობაში არსებულ იმ ახალ ტენდენციებს შეეხო, რომელთა გაშუქებას დიდი ადგილი ეთმობა „Revu du Vin de France“-ს გვერდებზე. ერთერთი მთავარი საკითხი ღვინის მომხმარებელია: უკანასკნელ ხანს ევროპაში უცნაური ტენდენცია შეინიშნება — ღვინის მწარმოებელ ქვეყნებში ღვინის მომხმარებლის რიცხვი კლებულობს. გარდა ამისა, მომხმარებელი უფრო მომთხოვნი ხდება: ბევრისთვის ღვინო ფუფუნების პროდუქტია, ზოგიერთისთვის კი ენერგიის წყარო, თუმცა, ღვინის მომხმარებელთა რიგებში ბევრი მოდას აყოლილი ადამიანიც არის. მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ალკოჰოლის შემცველობასაც – ევროპულ ღვინოებში ალკოჰოლის შემცირების ტენდენცია შეინიშნება.

უკანასკნელ ხანს ღვინით დაინტერესდნენ ქალებიც და დენიზ სავეროსთვის ამგვარი ტენდენცია აქტუალურად იქცა. ქალები უფრო მგრძნობიარენი არიან და ამიტომ ღვინის გემოსაც უფრო დელიკატურად აღიქვამენ. გარდა ამისა, ქალი ცდილობს, სუფრა ღვინის ორიგინალური ბოთლით დაამშვენოს. ამ ფაქტორმა ღვინის მწარმოებლები ახალი მოთხოვნის წინაშე დააყენა — ისინი ცდილობენ ღვინისთვის ხარისხიანი და ლამაზი დიზაინის ჭურჭელი შექმნან.

„Revu du Vin de France“-ს მკითხველი უკანასკნელ ხანს გაცილებით პრეტენზიული გახდა, მათ უკვე ნაკლებად აინტერესებთ ღვინის ტექნოლოგიასთან დაკავშირებული თემები და ცდილობენ ღვინოზე საუბრისას სიამოვნება საინტერესო ამბების მოსმენით მიიღონ.

„საქართველო ის ქვეყანაა, სადაც ღვინის ხანგრძლივი ტრადიცია არსებობს, ამიტომ ის უფრო მიმზიდველი იქნება ჩვენი მკითხველისთვის, ვიდრე ჩინეთისა და სამხრეთ აფრიკის მეღვინეობა, რომელიც ძალზე ახალგაზრდაა“, — განაცხადა დენიზ სავერომ.

კონფერენციის მსვლელობაში ქართული ღვინის წარმოებაში არსებული პრობლემები გამოიკვეთა. ეს გახლავთ ღვინის თანამედროვე ტექნოლოგიების სიმცირე, ხარისხის არასტაბილურობა, ღვინის კანონმდებლობის არარსებობა, არაეფექტური მარკეტინგი და ტექნიკური კადრების დეფიციტი. ისიც აღინიშნა, რომ პრობლემების დაძლევის პარალელურად ქართველმა მეღვინეებმა ღვინის ხარისხის გაუმჯობესებაზე, სათანადო კანონმდებლობის შემუშავებასა და ახალი ბაზრების ათვისებაზეც უნდა იზრუნონ, ვინაიდან ქართული მეღვინეობის კულტურის უძველეს ცივილიზაციას უდიდესი პოტენციალი და პერსპექტივები გააჩნია ევროპულ ბაზარზე მნიშვნელოვანი ადგილის დასამკვიდრებლად.

მარნეულის ფილიალში აღმოჩენილი კანონდარღვევის ფაქტები სამართალდამცავი ორგანოების რეაგირებას საჭიროებს

ხათუნა ხატიაშვილი

უმაღლესი განათლების სფეროში კორუფციული სისტემის აღმოფხვრა საგანმანათლებლო პოლიტიკის წარმატების მთავარ არგუმენტად მიიჩნევა, თუმცა ხდება ისეც, რომ პერიოდულად თავს იჩენს კანონდარღვევის ლოკალური შემთხვევები, რომელთა დანაშაულებრივი ხარისხიც ამ დარგის რეფორმატორებს თავის დამშვიდების საშუალებას, სავარაუდოდ, კიდევ დიდხანს არ მისცემს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მარნეულის ფილიალში აღმოჩენილი კანონდარღვევის ფაქტები სამართალდამცავი ორგანოების რეაგირებას საჭიროებს და ამ მიზნით თსუ-ის ხელმძღვანელობა პროკურატურას საგანგებოდ მიმართავს.

გასულ ზაფხულს განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად სრულ ლიკვიდაციას დაექვემდებარა თსუ-ის ოზურგეთის, ფოთისა და მარნეულის ფილიალები. მარნეულის ფილიალი სწორედ ამ პროცესში წარმოქმნილი გაუგებრობების გამო გახდა საუნივერსიტეტო კომისიის დაინტერესების საგანი.

23 ოქტომბერს თსუ-ის რექტორმა გიორგი ხუბუამ სპეციალურად გამართულ პრესკონფერენციაზე საუნივერსიტეტო კომისიის მიერ მარნეულის ფილიალში აღმოჩენილი, სავარაუდოდ, კორუფციული კანონდარღვევების არასრული ნუსხა წარმოადგინა და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი მასალა შესასწავლია, რაც უნივერსიტეტის კომპეტენციას სცილდება.

რექტორის ხელთ არსებული დოკუმენტაციის თანახმად, კანონდარღვევის გაუგონარ ფაქტს წარმოადგენს ის, რომ 2006 წლის სექტემბერში თსუ ქვემო ქართლის ფილიალში გადმოყვანის წესით, ერთიანი ეროვნული გამოცდების გვერდის ავლით ჩაირიცხნენ სტუდენტები (კომისიის მიერ მოპოვებული ინფორმაციით, ჯერჯერობით, 7 სტუდენტი), რომლებმაც სკოლა 2005 წელს დაამთავრეს და უმაღლეს სასწავლებელში ჩასარიცხად საჭირო ქულების დაგროვება ვერ შეძლეს. ამის მიუხედავად, ისინი თსუ ქვემო ქართლის ფილიალში მოსკოვის ინფორმატიკისა და ეკონომიკის სახელმწიფო უნივერსიტეტის თბილისის ფილიალიდან გადმოიყვანეს. შესაძლოა, სასწავლებლის სახელწოდება სწორი არც იყოს, რადგან იგი საქართველოში ლიცენზირებული საერთოდ არ არის. ბუნებრივია, ამ სასწავლებლიდან სტუდენტთა გადმოყვანა, მით უფრო, ერთიანი გამოცდების გვერდის ავლით, დაშვებული არ იყო,"— აღნიშნა გიორგი ხუბუამ, რომელიც არ გამორიცხავს, რომ ასეთი კატეგორიის სტუდენტების რაოდენობა, შესაძლოა, იმაზე მეტიც აღმოჩნდეს, ვიდრე ამ ეტაპისთვის კომისიამ დააფიქსირა.

ცინიკურად ჟღერს, მაგრამ ამ სტუდენტების გაურკვეველი სასწავლებლიდან გადმოყვანის შესახებ დოკუმენტაციაში ამ დროისთვის უკვე ლიკვიდირებული ფილიალის ყოფილი დირექტორი ომარ ტაბუცაძე მიუთითებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების იმ ტექსტს, რომელიც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული სტუდენტების მობილობის საკითხს 2005 წლამდე არეგულირებდა.

თსუ ქვემო ქართლის ფილიალში, ასევე, სრული კანონდარღვევით განხორციელდა უცხო ქვეყნის (რუსეთის ფედერაციიდან და აზერბაიჯანიდან) მოქალაქეთა ჩარიცხვა, სადაც ამ საკითხთან დაკავშირებულ ყველა დოკუმენტს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ნაცვლად ხელს აწერს ფილიალის დირექტორიც, რისი უფლებამოსილებაც არც თავად და არც ფილიალის ადმინისტრაციას არ აქვს.

რექტორის განმარტებით, ფილიალის დირექტორის მიერ ხელმოწერილ ბრძანებაში მითითებულია, რომ ჩარიცხვა განხორციელდა მისაღები კონტინგენტის 10%-ის ფარგლებში, რისი უფლებაც უმაღლეს სასწავლებელს აქვს, მაგრამ ეს მხოლოდ მინისტრის შესაბამისი ბრძანების საფუძველზე რეგულირდება.

საუნივერსიტეტო კომისიის მიერ ჩატარებული შემოწმებისას აღმოჩენილია კანონდარღვევები, რომელიც ამავე ფილიალში კვალიფიკაციის მინიჭებასა და შესაბამისი დიპლომების გაცემას ეხება. მაგალითად, 34-მდე სტუდენტს მინიჭებული აქვს იურისტის კვალიფიკაცია, რომელთაგან 24 მათგანზე ფილიალში ჩარიცხვის ბრძანება საერთოდ არ არსებობს. უკანონოდ გაცემული დიპლომების აღნიშნული რაოდენობა ცალკეული სასწავლო წლების მიხედვით აღინუსხა, ხოლო 2002-2003 სასწავლო წელს კვალიფიკაცია მიენიჭა სულ 62 სტუდენტს, რომელთა სასწავლებელში ჩარიცხვის ბრძანებებიც კომისიამ ვერ მოიძია.

აღმოჩენილია ზოგიერთი ისეთი კურიოზული შემთხვევა, რის მიხედვითაც აბიტურიენტი მისაღები გამოცდების საფუძველზე ფილიალში პირველ კურსზე ჩაირიცხა და იმავე წლის ბოლოს უკვე იურისტის კვალიფიკაციაც მიენიჭა.

ფილიალში ჩარიცხვის ბრძანება არ აღმოჩნდა არც კურსიდან კურსზე გადაყვანილ 208 სტუდენტზე. ხელმძღვანელობა კანონდარღვევით იძლეოდა თანხმობას — სახელმწიფო გამოცდა ჩაებარებინათ იმ სტუდენტებს, რომლებმაც სასწავლო კურსი სხვა უმაღლეს სასწავლებელში მოისმინეს.

„ეს საუნივერსიტეტო კომისიის მიერ დაფიქსირებული დარღვევების მცირე ჩამონათვალია. ბუნებრივია, სპეციალური წერილით მივმართავთ როგორც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ისე პროკურატურას, რადგან საკითხები, რომელიც მოითხოვს გარკვევას, საკმაოდ მოცულობითია. სამწუხაროა, რომ ჩვენი აზრით, კორუფციული დარღვევების ასეთი ერთეული შემთხვევები უნივერსიტეტის სისტემაში ჯერ კიდევ არსებობს. ამ კუთხით ყოფილი ფილიალების შემოწმებას საუნივერსიტეტო კომისია გააგრძელებს. დღეისათვის კანონდარღვევის ფაქტები მხოლოდ მარნეულშია დაფიქსირებული," — განაცხადა რექტორმა პრესკონფერენციაზე. გიორგი ხუბუას განმარტებით, მას შემდეგ, რაც გამოძიება დაადგენს, რომ თსუ-ის მარნეულის ფილიალის კურსდამთავრებულებს კვალიფიკაცია უკანონოდ მიეცათ, მათზე გაცემული დიპლომებიც შესაბამისად ანულირებას დაექვემდებარება. ეს ეძლეოდათ, მნიშვნელოვნად გაიზარდა სტუდენტთა ის დაუზუსტებელი რაოდენობაც, რომელიც ფილიალის ხელმძღვანელობამ თსუ-ის ადმინისტრაციას რეორგანიზაციის დაწყებამდე მიაწოდა.

ბა. მოცემული რეალობის ფონზე უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა უცნაურობად აფასებს ერთიანი ეროვნული გამოცდების გვერდის ავლით ჩარიცხული იმ სტუდენტების ქცევას, რომლებიც უნივერსიტეტს პრეტენზიებს თავადვე უყენებენ. გიორგი ხუბუას თქმით, უკვე შემოსულია განცხადებები, სადაც უკანონოდ ჩარიცხული სტუდენტები უმაღლესი სასწავლებლისგან ქონებრივ და მორალურ კომპენსაციას ითხოვენ.

როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში განმარტავენ, თსუ-ის ქვემო ქართლის ფილიალი სპეციალური კომისიის კვლევის ობიექტად რეორგანიზაციის პროცესის დაწყებისთანავე გაჩენილი ეჭვების შედეგად იქცა. როცა ფილიალის რეორგანიზაციის საკითხი დაისვა, თსუ-ის ხელმძღვანელობამ ადგილობრივ სტუდენტურ კონტინგენტს სასწავლო კურსის თბილისში ავტომატურად გაგრძელება შესთავაზა. შემდგომში გადამწმდა ყველა იმ სტუდენტის პირადი საქმე, ვინც თბილისში გადმოსვლა გადაწყვიტა. თავდაპირველად ეჭვის საფუძველს სტუდენტების დაუზუსტებელი რაოდენობა იძლეოდა. მოგვიანებით კი, ანუ მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ ფილიალის სტუდენტებს თბილისში გადმოსვლის შანსი

„ფილიალის რეორგანიზაცია მისი სრული ლიკვიდაციის ფორმით მოხდა. ქონების გადმოცემის პროცესი ახლაც მიმდინარეობს. გვაქვს გარკვეული კითხვის ნიშნები უძრავ ქონებასთან დაკავშირებითაც. ფილიალის უძრავი ქონების პრივატიზაციის საკითხზე, რაც აუქციონის ფორმით განხორციელდა, ვფიქრობ, სამართალდამცავი ორგანოები დაინტერესდებიან. პასუხისმგებლობის ხარისხს უნივერსიტეტი ვერ განსაზღვრავს," — თქვა გიორგი ხუბუამ.

ფილიალების რეორგანიზაციის შედეგად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სულ 1090 სტუდენტია გადმოყვანილი.

სიახლე

როგორ უნდა განხორციელდეს ელექტრონული სწავლება

ხათუნა ხატიაშვილი

სამხრეთ კავკასიაში ელექტრონული საზოგადოების განვითარების სამთვიანი პროექტი გრძელდება.

განათლების სისტემაში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება გულისხმობს მთელი ქვეყნის მასშტაბით ელექტრონული სწავლების განვითარებას, სასწავლო პროგრამების გამდიდრებას ახალი სასწავლო სისტემებით, ელექტრონული უნივერსიტეტების მოდელების დანერგვას საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

როგორც თსუ-ში მდებარე ელექტრონული საზოგადოების განვითარების პროექტის ოფისში 9 ოქტომბერს ჯგუფის ხელმძღვანელმა ჰელმუტ შრამკემ განაცხადა, ევროკავშირის დაფინანსებით მიმდინარე ორწლიანი რეგიონული პროგრამის საქართველოში განხორციელება თითქმის დასრულდა და საჭიროა ცენტრალური სტრუქტურის საბოლოო ჩამოყალიბება, რაც ობიექტური მიზეზების გამო დადგენილ ვადაში ზუსტად ვერ მოესწრო.

პროგრამის ფარგლებში უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლებს საშუალება მიეცათ, გაეცნონ ელექტრონული სწავლების სპეციფიკას, გამოიმუშაონ სათანადო უნარ-ჩვევები და დამოუკიდებლად შეძლონ დისტანციური სწავლების განხორციელება.

ელექტრონული საზოგადოების განვითარების პროექტში მონაწილეობენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საზოგადოებრივ მეცნიერებათა უნივერსიტეტის და საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პროფესორები.

ორწლიანი პროგრამა კონსორციუმში შემავალმა გერმანულმა IMC ჯგუფმა მეგობარი ფირმების დახმარებით განახორციელა და მხოლოდ ადგილობრივი ოფისების ტექნოლოგიურად სათანადო დონეზე აღჭურვაში 700 ათასი ევრო დახარჯა.

ჰელმუტ შრამკეს განცხადებით, ელექტრონული სწავლების სფეროში ცოდნა-გამოცდილების გასავრცელებლად გამოიყენეს სემინარის ფორმა, რომელიც სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანაში ექსპერტებმა ჩაატარეს.

„ელექტრონული სწავლების განხორციელებისთვის საჭიროა სამი კომპონენტი: ტექნიკური დიზაინი, მულტიმედია და სისტემური მხარდაჭერა. შესაბამისად, ჩვენ შევქმენით სამი ჯგუფი, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში ცალკეული კომპონენტის განვითარებაზე მუშაობდა. ამჟამად, უნივერსიტეტს აქვს სამი სისტემა: სტუდენტებისთვის, ადმინისტრაციისთვის და მასწავლებლებისთვის. სამივე ქვეყანაში გვყავს 30-მდე

თანამშრომელი, რომლებმაც უკვე იციან, როგორ უნდა განხორციელდეს ელექტრონული სწავლება და აქვთ ტექნიკით უზრუნველყოფილი ოფისები. ახლა საკითხი სისტემის მდგრადობასა და მის გაგრძელებაზე დგას. უნივერსიტეტის სახით გვყავს სერიოზული პარტნიორი, რომელსაც ამ მიმართულებით საქმიანობის გაგრძელების სურვილი აქვს", — განაცხადა შრამკემ.

პროექტის ხელმძღვანელობა ახლო მომავალში აპირებს პროფესორ-მასწავლებლებისთვის გამოაცხადოს კონკურსი, სადაც განაცხადების სახით დაიწერება გეგმა, თუ რისი გაკეთება სურთ ელექტრონული კურსების განვითარებისთვის და რა სჭირდებათ საამისოდ, რისთვისაც შესაბამისი ბიუჯეტი გამოიყოფა.

ელექტრონული საზოგადოების განვითარების პროექტის შემაჯამებელ და მომავალ საქმიანობასთან დაკავშირებულ ღონისძიებაში თსუ-ის რექტორი გიორგი ხუბუა, განათლების მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დიდებულიძე, ევროკავშირის დელეგაციის ხელმძღვანელი ოლივერ რაისნერი, გრენას აღმასრულებელი დირექტორი რევაზ ქვათაძე მონაწილეობდნენ.

პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების პროგრამა ახალგაზრდა მეცნიერთათვის

12 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო დეპარტამენტისა და საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (სესფ შ) ინიციატივით მოეწყო ერთობლივი საკონსულტაციო სემინარი ახალგაზრდა მეცნიერთათვის. სემინარზე განიხილეს პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების კონკურსის და ახალგაზრდა მეცნიერთათვის ილია ვეკუასა და ივანე ბერიტაშვილის სტიპენდიების მოსაპოვებელი კონკურსების პირობები.

პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების პროგრამა მიზნად ისახავს მეცნიერებაში ახალგაზრდა კადრების მოზიდვას და მათი სამეცნიერო პროექტების განხორციელების ხელშეწყობას საგრანტო დაფინანსების გზით. გრანტები ახალგაზრდა მეცნიერებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და პროგრამის ადმინისტრირებას საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი ახორციელებს.

დამტკიცებული პროექტების დაფინანსება 2008 წლის იანვრიდან დაიწყება და სტუდენტებს სხვადასხვა სამეცნიერო მიმართულებებს შესთავაზებენ. ინდივიდუალური გრანტების პროგრამაში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოში მცხოვრებ 35 წლამდე საქართველოს მოქალაქეებს (მაგისტრს, დოქტორანტს, დოქტორს და მათთან გათანაბრებულ პირებს), რომლებიც სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას ეწევიან.

სტუდენტური Press კლუბი

სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფები ამაოდ ცდილობენ უნივერსიტეტში ვითარების დაძაბვასა და სტუდენტების დაპირისპირებას

აზრის, სიტყვისა და პოზიციის გამოხატვის ფორმები საქართველოში ჩვენთვის მისაბაძი დემოკრატიული ქვეყნების მსგავსად მრავალფეროვანია, არჩევანი კი, გარემოებების გათვალისწინებასთან ერთად, გემოვნების საქმეც არის.

რა თქმა უნდა, საკუთარი აზრი და, მითუმეტეს, თავისი პოზიცია აქვს საზოგადოების ყველაზე ჯანსაღ ნაწილს — ახალგაზრდობას, რომლის წარმატებულ თაობად ჩამოყალიბებაც სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტული ნაწილია და საგანმანათლებლო დანესებულებებში მათ სათანადო დონის განსწავლულობაზეც ზრუნავენ. სტუდენტების ნაწილი ამ პოზიციას ხმამაღლა გამოხატავს, ნაწილს აქვს პოზიცია, მაგრამ მას ხმამაღლა არ გამოხატავს; არიან ისეთებიც, რომლებსაც არ გააჩნიათ პოზიცია და ყველანაირი საზოგადოებრივი მოვლენისადმი ინდიფერენტულნი არიან. სტუდენტს აზროვნებას ვერავინ დაუშლის, მაგრამ თავად მას ზეა დამოკიდებული, რამდენად და რამდენჯერ დაჭირდება თითოეულს საკუთარი პასუხისმგებლობის შეხსენება, რომლის გაცნობიერების ხარისხსაც მნიშვნელობა უპირველესად მისივე მომავლისთვის აქვს.

ხათუნა ხატიაშვილი

ძალაში რჩება ამოცანა, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლებლებში არ არსებობდეს პარტიული გაერთიანებები, არ იყვნენ იქ ემისრებად მივლენილი პოლიტიკოსები, რათა სასწავლო პროცესს ხელი არ შეეშალოს და სტუდენტური არეალი პოლიტიკური ბატალიების ასპარეზად არ იქცეს.

ყველაფრის მიუხედავად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 24 ოქტომბერს უსიამოვნო ინციდენტი მაინც მოხდა და ეს ფაქტია. ახლად ჩამოყალიბებული ორგანიზაცია „ახალგაზრდულის" თავმჯდომარე, იურიდიული ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი გიორგი თოფურია რამდენიმე თანატოლთან ერთად საკუთარი მოსაზრებების გახმოვანების შემდეგ ფიზიკურად შეურაცხყვეს. მათი მხრიდან ამ ინციდენტს სტუდენტური თვითმმართველობის ვადამდელი არჩევნების მოთხოვნაც მოჰყვა.

ორგანიზაცია „ახალგაზრდულის" პრეტენზიები სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობას და მისთვის კანონით დადგენილი 250 ათას ლარიანი ბიუჯეტის არამიზნობრივად ხარჯვას უკავშირდება. ისინი ამტკიცებენ იმასაც, რომ 267 წევრიან თვითმმართველობაში არის ერთი ჯგუფი, რომელიც სახელისუფლებო პარტიის შეკვეთებს ასრულებს და სტუდენტური კონტინგენტის პოლიტიზირებას ცდილობს, რაც თვითმმართველობის სტრუქტურის კომპეტენციას აღემატება.

24 ოქტომბერს თსუ-ის მეორე კორპუსის შენობის წინ მომხდარი სტუდენტების ჩხუბი სტუდენტური თვითმმართველობის სახელით ამავე ორგანიზაციის პრეზიდენტმა გიორგი ავალიანმა დაგმო, რომელიც დაზარალებულმა გიორგი თოფურიამ ფიზიკურ ანგარიშსწორებაში თავის რამდენიმე მეგობართან ერთად დაადანაშაულა.

„უნივერსიტეტში ამტყდარი სკანდალი და ჩვენს წინააღმდეგ ბრალდებები სისტემატურად ისმის. თვითმმართველობის წევრებს მიგვაჩნია, რომ სტუდენტებს შორის უფრო ნორმალური და ცივილური ურთიერთობები უნდა არსებობდეს. უარვყოფ ბრალდებას, რომ ეს ჩხუბი ჩვენი ორგანიზებული იყო. აღმაშფოთებელია, რომ გიორგი თოფურია ურცხვად და უპასუხისმგებლოდ გვდებს ბრალს. სამარცხვინოა, როცა ახალგაზრდა ადამიანი ასეთი უტიფრობით ცდილობს უნივერსიტეტის რეალობაში წარმოჩენას. ცნობილია, რომ ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფები ცდილობენ უნივერსიტეტში ვითარების ხელოვნურად დაძაბვას და სტუდენტების დაპირისპირებას. სტუდენტური თვითმმართველობა არ დაუშვებს სტუდენტური საზოგადოების ფრაგმენტაციას გარკვეულ დაპირისპირებულ ჯგუფებად, რადგან უნივერსიტეტის სტუდენტობა უნდა იყოს აპოლიტიკური. პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის სურვილი არ გვაქვს," — განაცხადა გიორგი ავალიანმა ბრიფინგზე.

სტუდენტური თვითმმართველობის ბიუჯეტთან დაკავშირებული ბრალდებების თაობაზე გიორგი ავალიანმა განმარტა, რომ სტუდენტურ თვითმმართველობას ჩამოყალიბებული აქვს ზოგადი პრიორიტეტები ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილთან დაკავშირებით და ნებისმიერი ფინანსური ოპერაცია თსუ-ის საფინანსო უწყების მიერ ხორციელდება. „ეს ინფორმაცია არის საჯარო და იგი ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. ტელეკამერების მეშვეობით ამ საკითხზე ბრალდებების წამოყენება უსაფუძვლოა", — თქვა მან.

„ახალგაზრდულის" მხრიდან სტუდენტური თვითმმართველობის ნაწილის პოლიტიკურად ანგაჟირების თემაზე გაკეთებულ განცხადებებთან დაკავშირებითაც არსებობს კონტრარგუმენტები, რის თანახმადაც პარლამენტის შენობის წინ მასობრივი საპროტესტო აქციების დაწყებამდე, სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში, მათ შორის თსუ-ში, იქმნებოდა ხუთკაციანი დაჯგუფებები, რომლებიც ადრე არ ჩანდნენ. გიორგი ავალიანის თქმით, მათ აქვთ ერთმანეთის მსგავსი რიტორიკა, მოთხოვნები, მიმიკა, და დაკვირვების შემთხვევაში, საზოგადოება ადვილად მიხვდება, ვინ არის ანგაჟირებული. რაც შეეხება სტუდენტური თვითმმართველობის ხელისუფლებასთან კავშირს, გიორგი ავალიანი ორგანიზაციის საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდობის დეპარტამენტთან თანამშრომლობას არ უარყოფს. ,,თუ ვინმეს ეს დეპარტამენტი „ნაციონალურ მოძრაობაში" ეშლება, ეს მისი პრობლემაა და თანაც ძალიან სერიოზული. ჩვენი აქტიურობა კონფლიქტურ ზონებთან და ტერიტორიული მთლიანობის თემებთან დაკავშირებულ აქციებსა და მიმართვებში გამოიხატება, რასაც ჩვენი მხრიდან სისტემატური ხასიათი აქვს. თუ ვინმე ამას პოლიტიკურად ანგაჟირებულობას მიაწერს, ესეც მათი პრობლემაა", — აღნიშნა სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტმა.

ვიდრე სტუდენტური ორგანიზაცია „ახალგაზრდულის" წევრები საკუთარი პოლიტიკური პოზიციის გამოხატვის მიზნით პარლამენტის შენობის წინ ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების ორგანიზებულ მიტინგზე წავიდოდნენ, გიორგი ავალიანს იმის უარყოფაც მოუხდა, რომ ოქტომბრის თვეში ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის სახლის წინ სტუდენტების მიერ გამართული „ყალბი დოლარების აქცია" თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებული არ ყოფილა. რადგან თავად ბიზნესმენს საკუთარი პოლიტიკური ადგილის შესახებ ღია განაცხადი ჯერ გაკეთებული არ ჰქონდა, სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის მხრიდან წაყენებული ბრალდების არაკორექტულობაზე მას, ალბათ, არავინ შეედავება.

„არ გვაინტერესებს, რომ ვიღაცის სახლებთან მივიდეთ და რაღაცები ვაფრიალოთ. გვარ-სახელების ხსენება ჩემთვის არაფერს ნიშნავს. შეუძლიათ, რაც გაუხარდებათ, ის ილაპარაკონ, მაგრამ ჩვენ გვაქვს კონკრეტული საქმეები, კარგად ჩამოყალიბებული, გრძელვადიანი სტრატეგია და არავის გამოხტომის კომენტირებას არ ვაპირებთ", — თქვა სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტმა.

თვითმმართველობის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ წაყენებული პრეტენზიების პარალელურად „ახალგაზრდულის" წევრები თავის მხრივ ამტკიცებენ, რომ მათ უკან არანაირი პოლიტიკური ძალა არ დგას და შიდა საუნივერსიტეტო დაპირისპირება ხელისუფლების საწინააღმდეგო მიტინგებში მონაწილეობის მიზეზი სულაც არ არის.

„ახალგაზრდულის" საორგანიზაციო დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი ლევან ჩიტაძე დარწმუნებულია, რომ საკუთარი პოლიტიკური მოსაზრებების გამო მისი თანამოაზრე სტუდენტების (რომელთა რაოდენობაც, მისივე თქმით, 300-ზე მეტია) ანგაჟირების მიზნით გამოყენება შეუძლებელია.

პოლიტიკური და საზოგადოებრივი მღელვარების ფონზე, რა თქმა უნდა, ბევრი რამ ითქმება — ვიღაცისთვის გულის მოსაფხანიც, ტყუილიც, მართალიც, მისაღებიც, მიუღებელიც... ყველაზე ხშირად ბარიკადების სხვადასხვა მხრიდან ერთი საგულისხმო და ფასეული ფრაზა ხვდება ყურს: გახდით რეალობის მიმართ ადეკვატურები!

საუნივერსიტეტო ცხოვრება სასწავლო რეჟიმში გრძელდება. სტუდენტური თვითმმართველობის საბიუჯეტო სახსრების განკარგვის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია ასეთია: თსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებულ 2007 წლის თსუ-ის ბიუჯეტში სხვა ხარჯების მუხლში სტუდენტური თვითმმართველობისთვის გათვალისწინებულია 250 ათასი ლარი, რომელსაც სტუდენტური თვითმმართველობა ადმინისტრაციასთან შეთანხმებით თსუ-ის სხვადასხვა სტუდენტური ღონისძიებების ჩასატარებლად განკარგავს.

I, II, III კვარტალში ბიუჯეტით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვადასხვა სტუდენტური ღონისძიებების ორგანიზებისათვის სტუდენტური თვითმმართველობისათვის გამოყოფილი სახსრების (120 ათასი ლარი) ხარჯთაღრიცხვა მიმდინარე წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით შემდეგნაირად გამოიყურება: სტუდენტთა საერთაშორისო კონფერენციებსა და სემინარებში, ასევე სტუდენტთა საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებთან გაცვლით პროგრამებში მონაწილეობისათვის დახარჯულია 47 007 ლარი, სპორტულ ღონისძიებებზე — 22 203 ლარი, კულტურულ-სანახაობრივ ღონისძიებებზე — 19 413 ლარი, წიგნებისა და სასტამბო-საგამომცემლო მომსახურების შესყიდვაზე — 10 847 ლარი, სტუდენტური ექსპედიციებისათვის მომსახურების შესყიდვაზე — 2 260 ლარი, სხვა საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე — 12 141 ლარი. I, II, III კვარტალში სტუდენტური თვითმმართველობის მიერ აღნიშნული ღონისძიებების ორგანიზაციის მიზნით გაწეულმა ხარჯებმა, წინასწარი გათვლებით, სულ 113 871 ლარი შეადგინა, რაც იმავე პერიოდის გათვალისწინებულ ხარჯებზე 6 129 ლარით ნაკლებია.

ნიჭიერ სტუდენტებს ფინანსურად წაახალისებენ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ნიჭიერ სტუდენტთა ფინანსურ წახალისებაზე ზრუნავს. ამ მიზნით 25 ოქტომბერს სპეციალური საუნივერსიტეტო კომისია შეიქმნა, რომელსაც დაევალა ნიჭიერ სტუდენტთა ფინანსური წახალისების ფონდის ფაკულტეტებს შორის გადანაწილების ერთიანი წესების შემუშავება და ფაკულტეტებიდან წარმოდგენილი სიების შესაბამისად თანხის განკარგვის უზრუნველყოფა.

ხათუნა ხატიაშვილი

საუნივერსიტეტო კომისიას თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე შოთა მინდელი თავმჯდომარეობს. კომისიის შემადგენლობაში შედიან ფაკულტეტების დეკანის მოვალეობის შემსრულებლები: ჰუმანიტარული ფაკულტეტიდან დარეჯან თვალთვაძე, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან ნოდარ ბელქანია, ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტიდან რამაზ ბოჭორიშვილი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტიდან ჯამლეტ ჯანჯღავა, იურიდიული ფაკულტეტიდან დავით კერესელიძე, მედიცინის ფაკულტეტიდან ალექსანდრე ცისკარიძე, სასწავლო დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი მერაბ სვანაძე, საფინანსო დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი რომან ხარბედია.

კომისია გადაწყვეტილებას იღებს კოლეგიალურად იგი უფლებამოსილია, თუ კომისიის სხდომას წევრთა სულ მცირე 2/3 დაესწრება. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს უჭერს დამსწრეთა ნახევარზე მეტი. ამავე გადაწყვეტილებით, საერთო განყოფილებას (ნ. ოვსიანიკოვა) დაევალა, უზრუნველყოს ამ ბრძანების გაცნობა უნივერსიტეტის ფაკულტეტებისა და სტრუქტურული ერთეულებისთვის.

ამ დროისთვის საუნივერსიტეტო კომისიამ შოთა მინდელის ხელმძღვანელობით უკვე გადაწყვიტა, რომ 2007-2008 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში თსუ ბაკალავრიატის (ერთსაფეხურიანი სწავლების) ნიჭიერ სტუდენტთა დაფინანსებისთვის გამოყოფილი თანხები გადანაწილდეს შემდეგნაირად: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი - 134 სტუდენტი, ჰუმანიტარული ფაკულტეტი - 124 სტუდენტი, იურიდიული ფაკულტეტი - 98 სტუდენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი - 91 სტუდენტი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 88 სტუდენტი, მედიცინის ფაკულტეტი - 65 სტუდენტი.

კანდიდატთა შერჩევა განხორციელდება შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით: აკადემიური მოსწრება, სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება, სამეცნიერო კონფერენციებში (გამოფენებში, იმიტირებულ პროცესებში და ა.შ) მონაწილეობა.

კანდიდატთა შერჩევა განხორციელდება 100 ქულიანი სისტემით: აკადემიური მოსწრება შეფასდება მაქსიმუმ 50 ქულით, რომელიც გამოითვლება წინა სემესტრში პროგრამით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო საგნის ჩაბარების მიხედვით და თითოეულ საგანში მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულის ნახევრის გამოთვლით. სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება შეფასდება მაქსიმუმ 25 ქულით. რეცენზირებად უცხოურ ჟურნალებში გამოქვეყნებული ყოველი ნაშრომი - 10 ქულით. საქართველოში გამოცემულ რეცენზირებად ჟურნალებში გამოქვეყნებული ყოველი ნაშრომი - 5 ქულით. სამეცნიერო კრებულებში, სალიტერატურო ჟურნალებსა და ქართულ პრესაში გამოქვეყნებული თითოეული ნაშრომი - 2 ქულით.

სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა შეფასდება მაქსიმუმ 25 ქულით. საერთაშორისო კონფერენციაზე წაკითხული ყოველი მოხსენება - 10 ქულით; ეროვნულ სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხული ყოველი მოხსენება - 5 ქულით. სტუდენტურ კონფერენციებში გამარჯვება - 4 ქულით. სტუდენტურ კონფერენციაზე წაკითხული ყოველი მოხსენება - 2 ქულით.

კანდიდატების მიერ სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნებისა და სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის ვადად განისაზღვრა 2007 წლის 9 ნოემბერი.

ფაკულტეტების მიერ კანდიდატთა შერჩევისა და საბოლოო სიების წარმოდგენის ვადაა 16 ნოემბერი.

გერმანიის ბუნდესტაგში თსუ-ის სტუდენტებს საერთაშორისო საპარლამენტო პრაქტიკის მისაღებად იწვევენ

თსუ-ის სტუდენტებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პარლამენტში (ბუნდესტაგი) სტაჟირების გავლისა და დასავლური დემოკრატიის ფასეულობების ახლოს გაცნობის უნიკალური შანსი ეძლევათ.

ბუნდესტაგის დელეგაცია დეპუტატ სიუზანე იაფკეს, პროფესორ ფეტის, საქართველოში გერმანიის ელჩის მოადგილის ტომას ჰენშელის შემადგენლობით იურიდიულ, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა და ჰუმანიტარული ფაკულტეტების გერმანული სასწავლო პროგრამების შემსწავლელ 50-მდე სტუდენტს თსუ-ის ჯავახიშვილის სახელობის დარბაზში 1 ნოემბერს შეხვდა და დეტალურად გააცნო ის საკონკურსო პირობები, რომლის დაკმაყოფილების შემთხვევაშიც ქართველი სტუდენტები გერმანული პოლიტიკის „კულუარებში" შეხედვის უფლებას მოიპოვებენ.

ხათუნა ხატიაშვილი

გერმანიისა და ბერლინის უნივერსიტეტების უნიკალურ პროგრამაში მონაწილეობისა და საერთაშორისო საპარლამენტო სტიპენდიის (IPS) მისაღებად სტუდენტთა ჯგუფი შესაბამისი განაცხადების საფუძველზე შეირჩევა.

მასში მონაწილეობის შესახებ შეთავაზებას ყოველწლიურად იღებს მსოფლიოს მასშტაბით (25 ქვეყნიდან) 115-მდე კვალიფიცირებული ახალგაზრდა. შერჩეული კონტინგენტი პრაქტიკას ბუნდესტაგის ერთერთ წევრთან გადის, ეცნობა გერმანულ პოლიტიკაში გადაწყვეტილებათა მიღების პროცესებს, რითაც საპარლამენტო მუშაობის სფეროში პრაქტიკულ გამოცდილებას აგროვებს.

როგორც შეხვედრაზე ბუნდესტაგის დეპუტატმა სიუზანე იაფკემ გერმანულენოვან ქართველ სტუდენტებს აუხსნა, პროგრამის მიზანია ახალგაზრდებში მეტად გააღვივოს ინტერესი დემოკრატიული საზოგადოებისადმი, წაახალისოს და ენთუზიაზმით განაწყოს ისინი დემოკრატიულ ცხოვრებაში მონაწილეობისთვის. მისი თქმით, საერთაშორისო საპარლამენტო სტიპენდია (IPS) გრძელვადიანი ინვესტიციაა დემოკრატიული ფასეულობებისა და ტოლერანტობის განმტკიცებისა და ევროპაში კულტურული მრავალსახეობისა და მშვიდობიანი თანაცხოვრების ხელშესაწყობად.

დღეისათვის ამ პროგრამაში მონაწილეობენ შემდეგი ქვეყნები: ალბანეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბოსნია-ჰერცოგოვინა, ბულგარეთი, ესტონეთი, საფრანგეთი, საქართველო, ყაზახეთი, ხორვატია, ლატვია, ლიტვა, მაკედონია, მოლდავეთი, პოლონეთი, ბელორუსი, რუმინეთი, რუსეთი, სერბია (და მონტენეგრო), სლოვაკეთი, სლოვენია, ჩეხეთი, უკრაინა, უნგრეთი და ამერიკის შეერთებული შტატები.

საერთაშორისო საპარლამენტო პრაქტიკა 1 მარტს იწყება და ხუთ თვეს გრძელდება. სტიპენდიის ბირთვია სამთვენახევრიანი პრაქტიკა გერმანიის ბუნდესტაგის კონკრეტული დეპუტატის ოფისში (ქართველი სტუდენტები დეპუტატ სიუზანე იაფკესთან) იმუშავებენ. ამასთან, სტუდენტები მონაწილეობას მიიღებენ ხუთი პოლიტიკური ფონდის სემინარებში და შეასრულებენ ბერლინის სამი უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ დამატებით აკადემიურ პროგრამას.

მონაწილეები გერმანიის ბუნდესტაგის ბიუჯეტის სახსრებიდან ყოველთვიურად 450 ევროს ოდენობის სტიპენდიას მიიღებენ. სტიპენდიაში იგულისხმება უფასო საცხოვრებელი სამოთახიან ბინაში, სადაც ორი სტიპენდიანტი მოთავსდება. ასევე, გათვალისწინებულია ხარჯები სტუდენტებისათვის სამედიცინო, უბედური შემთხვევისა და საგარანტიო დაზღვევისთვის. ანაზღაურდება, აგრეთვე, ბერლინში ჩასვლისა და უკან დაბრუნების ხარჯებიც.

ბერლინის ბუნდესტაგის დელეგაციისა და პროექტში მონაწილეობის მსურველთა შორის გამართულ შეხვედრას თსუ-ის ის ორი სტუდენტიც დაესწრო, რომლებმაც ანალოგიურ ფორმატში გერმანული პოლიტიკისა და დემოკრატიულობის პრინციპების გამოცდილება უკვე მიიღეს. მათ დაინტერესებულ სტუდენტებს ყველა კითხვაზე საკუთარი მოსაზრებები გააცნეს და მომავალ საქმიანობაში წარმატებები უსურვეს.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ზაფხულში თურქი სტუდენტები ბანაკ "პატრიოტში" დაისვენებენ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ყოველდღიურად აღრმავებს საერთაშორისო ურთიერთობებს. მიმდინარე წელს მისი პარტნიორების რიცხვს ტრაბზონის შავი ზღვის ტექნიკური უნივერსიტეტიც შეემატა. 2007 წლის ივლისში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტისა და სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით ტრაბზონის უნივერსიტეტის დელეგაციას უმასპინძლა.

სალომე ბენიძე

16-21 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დელეგაცია, 10 სტუდენტისა და 3 პროფესორის შემადგენლობით, საპასუხო ვიზიტით ესტუმრა ტრაბზონის უნივერსიტეტს. ვიზიტის ფარგლებში გაიმართა კონფერენცია, სადაც ქართულ და თურქულ განათლების სისტემაზე, საქართველო-თურქეთის ურთიერთობებზე, რეგიონულ პარტნიორობასა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მათ შორის, ნატო-სთან თანამშრომლობაზე ისაუბრეს როგორც ქართველმა და თურქმა პროფესორებმა და სტუდენტებმა, ასევე ნატო-ს წარმომადგენლებმა.

ქართული დელეგაციისთვის განსაკუთრებით სასიამოვნო სიურპრიზი აღმოჩნდა ლაზ მომღერალთან, ბაიარ შაჰინთან შეხვედრა. სტუმრებმა და მასპინძლებმა ერთად ტრაბზონისა და რიზეს ღირსშესანიშნაობები მოინახულეს.

შეხვედრებზე ერთობლივი ღონისძიებების ჩატარება და გაცვლითი პროგრამების ორგანიზება დაიგეგმა. 2008 წლის აპრილში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ტრაბზონის უნივერსიტეტის დელეგაციას კიდევ ერთხელ უმასპინძლებს. ზაფხულში კი თურქი სტუდენტები ბანაკ "პატრიოტში" დაისვენებენ.

მიკროეკონომიკის სახელმძღვანელო – ლექციების კურსი

მაკა ლდოკონენი

1 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე „მიკროეკონომიკის სახელმძღვანელოს“ (ლექციების კურსი) განხილვა შედგა. სახელმძღვანელოს ავტორები არიან თსუ პროფესორი ე. ხარაიშვილი, თსუ ასოცირებული პროფესორები ი. გაგნიძე, მ. ჩავლეიშვილი, ი. ნაცვლიშვილი და თსუ ასისტენტ პროფესორი მ. ნაცვალაძე; რეცენზენტები — თსუ სრული პროფესორები რ. გველესიანი და ი. ანანიაშვილი, ევროპული მართვის სკოლის (ESM) ეკონომიკის პროფესორი ბ. გელიტაშვილი; რედაქტორი — პროფესორი ე. მექვაბიშვილი.

პროფესორ ემზარ ჯგერენაიას თქმით, „მიკროეკონომიკის სახელმძღვანელოს“ გამოცემით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტმა მაღალი აკადემიური დონე წარმოაჩინა.

„ის ფაქტი, რომ სახელმძღვანელო თანამედროვე მოთხოვნებს პასუხობს, მეტწილად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან სილაბუსის მიმართ კრიტიკული დამოკიდებულების დამსახურებაა“,— განაცხადა სახელმძღვანელოს ერთერთმა ავტორმა, პროფესორმა ეთერ ხარაიშვილმა.

სილაბუსი გარე რეცენზირებისთვის ნებრასკის უნივერსიტეტის (აშშ) პროფესორ ქრეგ მაკფისა და თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალურ მრჩეველს, ბრემენის უნივერსიტეტის პროფესორს იოჰენ ციმერმანს გადაეგზავნათ. სარეცენზიოდ გაგზავნილ სილაბუსს დიდი მოწონება დაუმსახურებია.

„დარწმუნებული ვარ, თქვენს მიერ წარმოდგენილი სახელმძღვანელოს — „მიკროეკონომიკის კურსის“ შინაარსი შესაბამისობაშია აშშ-ის უნივერსიტეტთა უმრავლესობაში შეთავაზებულ ანალოგიურ კურსებთან. ნებრასკის უნივერსიტეტებში არ განიხილება იმდენი თემები, რამდენიც თქვენ გაქვთ წარმოდგენილი“, — წერს პროფესორი ქრეგ მაკფი.

სახელმძღვანელოს „ამბიციური, მაგრამ კარგად დაბალანსებული უწოდა“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ევროპული კვლევების ინსტიტუტის გრენობლის (საფრანგეთი) პიერ მენდეს უნივერსიტეტის (UPMF) ეკონომიკის პროფესორმა ალბან რიშარმა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტთან მომავალი თანამშრომლობისთვის მზადყოფნა გამოთქვა.

ევროპული მართვის სკოლის (ESM) პროფესორს ბადრი გელიტაშვილს მიაჩნია, რომ სახელმძღვანელო სათანადო ცოდნას მისცემს ეკონომიკის პროფილის ბაკალავრებს, ვინაიდან მასში მიკროეკონომიკის თანამედროვე მიმდინარეობებია წარმოდგენილი.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა ჯამლეტ ჯანჯღავამ ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის 30 ცალი წიგნი შეიძინა. ახალი სახელმძღვანელოთი სარგებლობა შესაძლებელია თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში, თსუ-ის ბიბლიოთეკაში და საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

ეთერ ხარაიშვილი

ნატოს დღეები თსუ-ში

საქართველოში მიმდინარე ნატო-ს დღეებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიც ჩაერთო.

30 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დავით სარაჯიშვილის სახელობის აუდიტორიაში გაიმართა საჯარო ლექცია ნატო-ს შესახებ. სტუდენტებს შეხვდნენ: ბულგარეთის ელჩი ნატო-ში ლუბომირ ივანოვი, ბულგარეთის საელჩოს სხვა წარმომადგენლები, საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე ბათუ ქუთელია, საგარეო საქმეთა სამინისტროს თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის დირექტორი ალექსანდრე მაისურაძე და სხვა ოფიციალური პირები.

სტუდენტების შეკითხვები, ძირითადად, საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების პერსპექტივებს, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული გაყინული კონფლიქტებისადმი ნატო-ს დამოკიდებულებას და ნატო-რუსეთის ურთიერთობას შეეხებოდა.

ლუბომირ ივანოვმა ხაზი გაუსვა საქართველოსა და ნატო-ს წარმატებულ თანამშრომლობას და აღნიშნა, რომ ყველა პარტნიორი ქვეყანა ნატო-ს წევრი ვერ გახდება, მაგრამ საქართველოს საკმაოდ კარგი შედეგები აქვს და შეუძლია ურთიერთობის გაღრმავებაზეც იფიქროს.

„ნატოს წარმომადგენლების შეხვედრებს სტუდენტებთან დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ეს არის ის აუდიტორია, რომელმაც უნდა მიიღოს პრინციპული გადაწყვეტილება საქართველოს ნატოში გაწევრიანების შესახებ. ამიტომ ჩვენ ვცდილობთ, მათ მიერ დასმულ ყველა კითხვას პასუხი გავცეთ, რათა სრული ინფორმაცია ჰქონდეთ ნატოს მიზნებსა და ამოცანებზე. ნატოს ალიანსში გაწევრიანება მარტო ხელისუფლების გადასაწყვეტი არ არის, ეს კონსენსუსის საგანია საზოგადოებისა, რომლის ძირითადი ბირთვი ახალგაზრდობაა“, — განაცხადა ჩვენთან საუბარში საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ბათუ ქუთელიამ.

ნატოს დღეებისადმი მიძღვნილი კონცერტი „ლოკომოტივის“ სტადიონზე

სუამ-ის ახალგაზრდული დღეები ბაქოში

სალომე ბენიძე

8-12 ოქტომბერს ბაქომ სუამ-ის ქვეყნების ახალგაზრდულ დღეებს უმასპინძლა. ახალგაზრდული დღეების პროგრამა ითვალისწინებდა როგორც ოფიციალურ შეხვედრებს, ასევე კონცერტებს, სადაც ქართველ, უკრაინელ, აზერბაიჯანელ და მოლდოველ ახალგაზრდებს მშობლიური ქვეყნის ფოლკლორი უნდა წარმოედგინათ.

საქართველოს დელეგაციაში შედიოდნენ: ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლები და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობების ლიდერები.

სუამ-ის ქვეყნების ახალგაზრდებს შორის ურთიერთობის გაღრმავების მიზნით, ოფიციალურ შეხვედრებზე დაიგეგმა ფესტივალების, საზაფხულო ბანაკების და სხვადასხვა ერთობლივი ღონისძიებების მოწყობა.

სუამ-ის ქვეყნების ახალგაზრდობის წინაშე ქართული ფოლკლორი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა წარმოადგინა. მომღერალმა ტატა ხვედელიანმა კი აუდიტორიისთვის კარგად ნაცნობი და საყვარელი „სულიკო“ და „თბილისო“ შეასრულა. მისი ხმითა და შესრულების მანერით მოხიბლულმა მოლდოვის განათლების მინისტრის მოადგილემ ტატა ხვედელიანს მოლდოვური სიმღერის ჩაწერა და კიშინიოვში კონცერტის გამართვა შესთავაზა.

სუამ-ის ახალგაზრდული ორგანიზაცია უახლოეს მომავალში კიდევ უფრო გააქტიურებას გეგმავს. 5 ნოემბერს ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში ეუთო-ს ახალგაზრდულ სამიტზე თსუ სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი გიორგი ავალიანი სუამ-ის ახალგაზრდული ორგანიზაციის სახელით სიტყვით მიმართავს საერთაშორისო საზოგადოებას. 15-18 ნოემბერს კი მოლდოვის დედაქალაქ კიშინიოვში დაგეგმილია სუამ-ის ახალგაზრდული ფორუმი თემაზე: „განათლების, მეცნიერებისა და დასაქმების პრობლემები სუამ-ის ქვეყნებში“.

ხელოვნება

გამოფენა თსუ-ში

მაკა ლდოკონენი

30 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის სააქტო დარბაზში თსუ-ის ჰუმანიტარული ფაკულტეტის ხელოვნებათმცოდნეობის სპეციალობის მხატვრების - პროფესორ-მასწავლებლებისა და მათი მოსწავლეების ნამუშევრების ერთობლივი გამოფენა გაიხსნა. ამ ღონისძიების ორგანიზატორი გახლავთ თსუ-ის სპორტის და კულტურის ცენტრის უფროსი სპეციალისტი, სამწერლო ასოციაცია „მნათობის“ გამგეობის წევრი ქეთევან შენგელია.

„ვეცდებით, საგაზაფხულო და საშემოდგომო გამოფენები ტრადიციად იქცეს. გარდა ამისა, დაგეგმილი გვაქვს, შეძლებისდაგვარად, უნივერსიტეტისა თუ ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით სხვადასხვაგვარი გამოფენები მოვაწყოთ. ვფიქრობთ, ამგვარი ღონისძიებები უფრო ხალისიანსა და საინტერესოს გახდის სტუდენტურ ცხოვრებას, რადგან ყოველივე ეს სასიამოვნო მღელვარებასთან იქნება დაკავშირებული,“ - განაცხადა ქალბატონმა ქეთევანმა. გარდა ამისა, მან მადლობა გადაუხადა თსუ-ის ადმინისტრაციას დაგეგმილი ღონისძიების ხელშეწყობისთვის.

პროფესორ-მასწავლებლებისა და მათი მოსწავლეების ნამუშევრების ერთობლივი გამოფენა შერეული ხასიათის გახლდათ და მასზე წარმოდგენილი იყო ფერწერა, გრაფიკა, გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები, ქანდაკებები, აგრეთვე, ბატიკა და გობელენი. გამოფენაში მონაწილეობდნენ მხატვრები: ლელა გელეიშვილი, ლევან სილაგაძე, ლალი ლომთაძე, მანანა ტაბიძე, თამაზ ხუციშვილი, თამარ ხარაბაძე, მარინა ელიოზიშვილი, ვლადიმერ ასათიანი, მიხეილ ჩხენკელი, ანდრო ამბარცუმიანი და მოქანდაკე გრიგოლ კვატაშიძე.

ქეთევან შენგელია თვლის, რომ მსგავსი ტიპის გამოფენები სტიმულს აძლევს სტუდენტებს. „მათთვის ძალზე სასიამოვნოა, როდესაც ნამუშევრები თავიანთ პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად გამოაქვთ. ამით ისინი საკუთარ თავში უფრო დარწმუნებულნი ხდებიან“. — აღნიშნა მან.

„კოკოითი ფანდარასტ!“-ის შეძახილით გაჩაღებული სტუდენტური ვაშლის კრეფა

თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის კულტურის დეპარტამენტის ინიციატივამ სტუდენტურ კონტინგენტში გულწრფელი მხარდაჭერა მოიპოვა. ქვეყნის რეგიონებში საქველმოქმედო ხასიათის აქციებში მონაწილეობა ახალგაზრდებს შორის კონკურენციის საგანიც კი გახდა.

31 ოქტომბერს სამაჩაბლოში ვაშლის კრეფის აქციაში მონაწილეობა 30-მდე სტუდენტმა მიიღო, რომელთა მცირე ნაწილიც, რთველის შთამბეჭდავი გამოცდილებიდან გამომდინარე, ახალბედა სტუდენტების რიგებში დიდი ძალისხმევის შედეგად მოხვდა.

კონფლიქტურ ზონაში სტუმრობა, რა თქმა უნდა, სტუდენტებში განსაკუთრებით საინტერესო იმის გამო იყო, რომ მათ მოსახლეობის ვაშლის ბაღებში „წამუშავებაზე" მეტად იმ ადგილისა და ვითარების საკუთარი თვალით ნახვა სურდათ, სადაც ტყვიის ხმა ხშირად ისმის, ეთნიკური დაპირისპირების ისტორიისა და ახლა უკვე ქართულ-ოსური ურთიერთობების დათბობაზე კი მხოლოდ განცხადებებს ისმენენ.

პატარა ლიახვის სოფელ ერედვიდან, სადაც სტუდენტებმა რიგითი მაცხოვრებლის ბაღში ვაშლი დაკრიფეს, ცხინვალი 15 კილომეტრში, მის გარშემო კი ქართულ-ოსური სოფლები ერთმანეთის მიჯრით მდებარეობს და ერთი თვალის შევლებით შეუძლებელია გაარკვიო, სად გადის ის ზღვარი, რომლის წაშლაც სახელმწიფოსთვის ასე დაუძლეველ დილემად იქცა.

ამის გარკვევა სამაჩაბლოს მოსახლეობასაც უჭირს, თუმცა იქაურ სიმშვიდეში უკეთესი მომავლის კონტურები იკვეთება. მძიმე გამოცდილების მიუხედავად, დღეს ქართული სუფრის თამადობას ეთნიკურად ოსი ღირსეულად იფერებს და როგორც იქაურები ამბობენ, პირიქითაც ხშირად ხდება.

სამხრეთ ოსეთის ტერიტორიული ერთეულის დროებით ადმინისტრაციაში მოქმედი სპორტის, ახალგაზრდობისა და ტურიზმის დეპარტამენტი ადგილობრივ მოსახლეობაში არც თუ შორეულ წარსულში ჩატეხილი ხიდის აღსადგენად ყველა საინტერესო ინიციატივას გულისხმიერად ეკიდება და სტუდენტური ვაშლის კრეფის აქციაც სწორედ ამ ფორმატში განიხილეს. დეპარტამენტის თავმჯდომარის ია კევლიშვილის განმარტებით, კონფლიქტის ზონაში ჩამოსვლის სურვილი სტუდენტებს თავად ჰქონდათ, თუმცა ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერა ამგვარი ინიციატივის განსახორციელებლად ნამდვილად პირველი პრეცედენტი იყო. „სტუდენტებმა თავად გამოთქვეს სურვილი, სამაჩაბლოში ჩამოსვლით დაენახვებინათ მთელი საქართველოსთვის, რომ აქ არ არის საშიში ზონა, სადაც შეიძლება ნებისმიერ დროს რაღაც მოხდეს. ამგვარი აქციებით ყველას დავანახებთ, რომ ადგილობრივ ახალგაზრდობას და სტუდენტებს ერთობლივად თუნდაც მცირედის გაკეთება შეუძლია. ეს პირველი პროექტია, იგი შემდგომში უფრო ორგანიზებული გახდება და სხვადასხვა სფეროშიც გაგრძელდება", — აღნიშნა მან.

როგორც გაირკვა, წლეულს სამაჩაბლოს მოსახლეობას დაკრეფილი ვაშლის რეალიზებაში სოფლის მეურნეობის სამინისტრო დაეხმარება. რამდენიმე დღეში ვაშლის შესასყიდად მანქანები ჩამოვლენ. ამით მოსახლეობა შეძლებს, ვაშლის მოსავალი ადგილზევე ჩაბაროს.

სტუდენტური რთველის ირონიულ კონტექსტში გაშუქების მიუხედავად, „ფარ-ხმალის" დაყრაზე არ ფიქრობს თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის კულტურის დეპარტამენტის ხელმძღვანელი თეონა ჭალიძე, რომელიც სოციალური ხასიათის აქციების მარშრუტს და მისი განხორციელების გზებს თანატოლებთან ერთად გეგმავს.

„ვინც სტუდენტურ რთველში ჩვენი გულწრფელობის დანახვა არ ისურვა, მათ ჯიბრზე სამაჩაბლოშიც ჩამოვედით. გვინდა, ადამიანებმა გაიგონ, რომ მუშტი-კრივში მონაწილეობის გარდა სასარგებლო საქმის კეთებაც შეიძლება. სტუდენტების ნაწილი მხოლოდ სწავლით არის დაკავებული, ნაწილი — საკუთარი პერსონების სატელევიზიო გაპიარებით, ასევე არის კატეგორია, რომელსაც მხოლოდ მუშტი-კრივში მონაწილეობა ჩვევად ექცა. აქ კი სწავლის მოყვარული, მშრომელი სტუდენტები არიან", — აღნიშნა თეონა ჭალიძემ.

თსუ-ის სტუდენტებს სამაჩაბლოს ადგილობრივ თანატოლებთან დაახლოების სურვილი მაშინ გაუჩნდათ, როცა „კოკოითი ფანდარასტის" ერედვის ოფისი გაიხსნა. ამ ორგანიზაციაში გაწევრიანება ადგილობრივ ახალგაზრდებს შეუძლიათ. მათ ერთი პოზიცია აქვთ: რამენაირად კოკოითი უნდა წავიდეს და ამას ეთნიკური წარმომავლობის განურჩევლად, მოსახლეობამ ხელი უნდა შეუწყოს. თურმე თავად ოსებიც უკვე ასე ხუმრობენ, ოღონდ კოკოითმა თავი დაგვანებოს და ნებისმიერი მიმართულებით გასაფრენად ბილეთებს თავად ვუყიდითო.

თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტის ნატა უზუნაშვილის განცდაც სხვა თანატოლების იდენტურია. მისი თქმით, როცა ადამიანმა არ იცის, სად გადის დიდ და პატარა ლიახვს შორის საზღვარი, როცა თვალით ვერ ხედავს ქართულ და ოსურ სოფლებს შორის აღმართულ ბარიერს და იცის, რომ საკუთარ სამშობლოშია, ძალაუნებურად თევზად გადაქცევაზე ოცნებას იწყებს. „მხოლოდ თევზებს შეუძლიათ ერთ სივრცეში საზღვრების გარეშე ცურვა. გვერდიგვერდ მცხოვრები ქართველები და ოსები ერთი ჰაერით რომ ვსუნთქავთ, ესეც კარგი შეგრძნებაა. მომავალში იმ იმედით ჩამოვალთ, რომ აკრძალულ საზღვრებსაც გადავლახავთ. კონფლიქტის მოგვარების გასაღები მართლა არ დევს რომელიმე მინისტრის და პრეზიდენტის კაბინეტში, ის საზოგადოებაშია და ჩვენ არ გვაქვს უფლება — არ ვაკეთოთ ის, რაც შეგვიძლია. სტუდენტების აქტიურობა და თუნდაც დღევანდელი ჩვენი აქცია შესაძლებლობის მაქსიმუმი არ არის," — თქვა მან.

კონფლიქტურ ზონაში არსებული მდგომარეობა ზომიერად შეაფასა თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტმა აკაკი მიქაბერიძემაც, რომელმაც სამაჩაბლო საკუთარი თვალით პირველად იხილა. ისე როგორც სხვებს, მასაც ყველაზე საინტერესოდ და საიმედოდ ის ფაქტორი მიაჩნია, რომ რეალურად არსებობს ზღვარის გაქრობის პერსპექტივა და რომ, მალე, მოსახლეობას ერთმანეთთან მისასვლელად ვერანაირი ხელოვნური ბარიერი ვეღარ შეაჩერებს.

კოკოითი ფანდარასტ! — ეს ის სტუდენტური შეძახილია, რომელიც კონფლიქტის ამოწურვისკენ მიმართულ მრავალფეროვან კამპანიას 30 ოქტომბრამდე აკლდა.

სპორტი

თსუ-ის საფეხბურთო გუნდი „ნიკუშა" გარდამავალი თასის მფლობელი გახდა

სტუდენტური თვითმმართველობის სპორტისა და ტურიზმის დეპარტამენტის ინიციატივით უნივერსიტეტში სეზონური საფეხბურთო ტურნირი გაიმართა, რომლის ფინალური შეხვედრაც 29 ოქტომბერს შედგა. ფინალში ერთმანეთს უნივერსიტეტის გუნდები: „აიაქსი" და „ნიკუშა" შეხვდნენ. თამაში ამ უკანასკნელის სასარგებლოდ, ანგარიშით: 5:4 დასრულდა და თსუ-ის საფეხბურთო გუნდი „ნიკუშა" გარდამავალი თასის მფლობელი გახდა.

ოლიმპიური სისტემით ჩატარებულ საუნივერსიტეტო-საფეხბურთო ტურნირში 64 სტუდენტური გუნდი მონაწილეობდა. როგორც „ნიკუშას" კაპიტანმა დავით დარჩიაშვილმა აღნიშნა, ტურნირი სეზონურია, ის ყველა სასწავლო სემესტრის განმავლობაში ერთხელ ტარდება, ხოლო გარდამავალი თასი ზედიზედ სამჯერ გამარჯვებულ გუნდს რჩება. „ახლა ჩვენმა გუნდმა პირველად გაიმარჯვა და თასიც პირველად მოიპოვა," – აღნიშნა მან.

ფინალში მონაწილე ორივე გუნდი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებისგან შედგებოდა. მათ შორის მატჩი თანაბარი ანგარიშით დასრულდა, თუმცა „პენალტებში" „ნიკუშამ" „აიაქსს" მოუგო.

გამარჯვებული გუნდი გარდამავალ თასთან ერთად 500 ლარიანი პრემიით, ხოლო თითოეული მოთამაშე სპეციალური მედლებით დააჯილდოვეს. საუკეთესო ფეხბურთელის ჯილდო „ნიკუშას" კაპიტანმა დავით დარჩიაშვილმა მოიპოვა.

ანონსი

თსუ-ის ჩემპიონ-ინტელექტუალთა სტუდენტები სანკტ-პეტერბურგში მიემგზავრებიან

საქართველოს უნივერსიადაში გამარჯვებული სტუდენტური გუნდი „ორადრუინი" ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად ემზადება, რომელიც ინტელექტუალური თამაშის „რა, სად, როდის?" ფორმატში სანკტ-პეტერბურგში 9-11 ნოემბერს გაიმართება.

თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტის ხელმძღვანელის ვახტანგ ლომჯარიას განმარტებით, ზაფხულის პერიოდში საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებს შორის გამართულ ინტელექტუალურ შეჯიბრში ჩემპიონობა სწორედ ამ გუნდს ხვდა წილად, რომელიც მოგვიანებით ევროპული მასშტაბის მარათონზე მიიწვიეს. მისი თქმით, „ორადრუინი" უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტების 8 წევრს აერთიანებს. ისინი ოფიციალურ მიწვევას რუსეთის ფედერაციიდან ამ დღეებში ელოდებიან. რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობებიდან გამომდინარე, სტუდენტური თვითმმართველობის ხელმძღვანელი არ გამორიცხავს, რომ სტუდენტებს ჩემპიონატზე გამგზავრებისას შეიძლება სავიზო პრობლემები შეექმნათ. ამიტომ თსუ-ის თვითმმართველობა აპირებს, აღნიშნულთან დაკავშირებით, წინასწარ საქმის კურსში ჩააყენოს როგორც საქართველოში მოქმედი რუსეთის ფედერაციის საკონსულო, ასევე, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროც.

სანკტ-პეტერბურგში დაგეგმილ ჩემპიონატში რუსეთის, უკრაინის, მოლდოვას, ბელორუსის, ბალტიისპირეთის სამივე ქვეყნის, ფინეთის, ისრაელის, გერმანიისა და კავკასიის სამივე ქვეყნის სახელმწიფო უნივერსიტეტების ინტელექტუალური სტუდენტური გუნდები მიიღებენ მონაწილეობას.

გვერდი მოამზადა ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲮᲐᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ

კავკასიოლოგთა პირველი საერთაშორისო კონგრესი

„მხოლოდ კავკასიის ხალხში აღწევს სული თავის აბსოლუტურ მთლიანობას, ერთიანობას საკუთარ თავთან, აბსოლუტურ დამოუკიდებლობას... აღწევს თვითგამორკვევას, თვითგანვითარებასა და წინ მიჰყავს მსოფლიო ისტორია... მსოფლიო ისტორიაში პროგრესი მხოლოდ კავკასიის რასის წყალობით ხდება“.
ჰეგელი

შურთხია გეროშვილი

22 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში კავკასიოლოგთა პირველი საერთაშორისო კონგრესი გაიხსნა, რომელიც კავკასიური ცივილიზაციის, ისტორიისა და თანამედროვეობის პრობლემური საკითხების განხილვას მიეძღვნა. პირველი საერთაშორისო კონგრესი თსუ-ის ჰუმანიტარული ფაკულტეტის კავკასიოლოგიის ინსტიტუტის და არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის თაოსნობით გაიმართა.

„კავკასიის ძალა — კავკასიის ერთობაშია!... არსად ისე არ იცავენ კეთილ ტრადიციებს, როგორც კავკასიაში, არსად ისე არ იღებენ ესტაფეტას წინაპრებისგან, როგორც ჩვენთან. სიყვარულით წელგამართული მეცნიერება ყვავის და ისხამს კეთილ ნაყოფს. ამის დადასტურებაა დღევანდელი დღეც“, — ასე მიმართა კავკასიოლოგთა პირველი საერთაშორისო კონგრესის მონაწილეებს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა გუჩა კვარაცხელიამ.

საერთაშორისო კონგრესზე მონაწილეობის მისაღებად 50-მდე უცხოელი მეცნიერი და მკვლევარი ჩამოვიდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან: საფრანგეთიდან, იტალიიდან, თურქეთიდან, რუსეთიდან, ინგლისიდან, იაპონიიდან და კავკასიის თითქმის ყველა რეგიონიდან.

კონგრესი გამოფენით გაიხსნა, სადაც წარმოდგენილი იყო უნიკალური წიგნები, რამდენიმე კავკასიურ ენაზე თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“, ბიბლიისა და ყურანის იშვიათი ეგზემპლარები, უნივერსიტეტის ფოიეში მოეწყო კავკასიური ფოლკლორის ეთნოგრაფიული კუთხე, ქართული კავკასიოლოგიური სკოლის ნაშრომები და ფოტოკოლაჟი. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო თანამედროვე ჩერქეზი მხატვრის თეუცვაჟ ყატის ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები.

როგორც საერთაშორისო კონგრესის თავმჯდომარემ, პროფესორმა ცირა ბარამიძემ აღნიშნა, კონგრესის უმთავრესი მიზანი ჩრდილო კავკასიის და უცხოურ სამეცნიერო და სასწავლო წრეებთან კავკასიოლოგიური კვლევების სფეროში შეწყვეტილი ურთიერთობების აღდგენაა. მისი აზრით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი კვლავ დარჩება მსოფლიო კავკასიოლოგიის ცენტრად, რომელიც გააერთიანებს კავკასიოლოგიაში არსებულ აკადემიურ დარგებს: ლინგვისტიკას, ისტორიას, კულტუროლოგიას, ხელოვნების ისტორიას, ლიტერატურას, ფოლკლორს, არქეოლოგიას, ეთნოლოგიას, ეთნოგრაფიას.

კონფერენციაზე წარმოდგენილი მასალების საფუძველზე სამომავლოდ დაგეგმილია სამეცნიერო ჟურნალის გამოცემა, სადაც თავს მოიყრის კავკასიოლოგიის პრობლემატურ საკითხებზე მომზადებული მეცნიერული კვლევის შედეგები.

ცირა ბარამიძის ინფორმაციით, კონგრესისთვის დაიბეჭდა სამეცნიერო მასალების კრებული (480 გვერდიანი), პროგრამა, გზამკვლევი, ბუკლეტი — „კავკასიური ცივილიზაცია“, აფიშები და სხვა თვალსაჩინო მასალა. კონგრესზე წარმოადგინეს 215 თეზისი.

კონფერენცია, როგორც მოსალოდნელი იყო, მრავალფეროვანი თემატიკით გამოირჩეოდა. ტრადიციული საკითხების გვერდით წამოიჭრა ახალი საკითხები. საფუძველი ჩაეყარა ახალ სამეცნიერო კონტაქტებს. ღონისძიებაზე მოწვეულმა სტუმრებმა იმედი გამოთქვეს, რომ კონგრესი ხელს შეუწყობს ამ რეგიონში მშვიდობის დამყარებას და განმტკიცებას.

პირველი საერთაშორისო კონგრესის მონაწილეებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გიორგი ხუბუა მიესალმა. მან ვრცლად ისაუბრა კავკასიის რეგიონში არსებულ ვითარებაზე და აღნიშნა, რომ ხელოვნურად შექმნილ დაძაბულობას კავკასიელმა ხალხმა ერთად უნდა მოუაროს. რექტორმა იმედი გამოთქვა, რომ დიდი კულტურული ტრადიციების მატარებელი კავკასიელები მომავალშიც დიალოგის ფორმით მოაგვარებენ ურთიერთობას და დაიმსხვრევა ის ბარიერი, რომელიც ამ ურთიერთობებს ხელს უშლის.

„სტუმრებით სავსე დარბაზი იმის დასტურია, რომ ერთმანეთი მოგვნატრებია. დიდი კულტურული ტრადიციების მქონე რეგიონში ცხოვრება უმთავრესი წინაპირობაა იმისა, რომ არც თუ ისე მარტივ პრობლემებს ერთად დავძლევთ.

უნივერსიტეტი დღემდე ამაყობს იმ დიდი მეცნიერების სახელებით, ვინც კავკასიოლოგიის განვითარებისთვის ფასდაუდებელი შრომა გასწია. მათ მიერ დაწყებული დიდი საქმე და ტრადიციები აუცილებლად უნდა გაგრძელდეს. ის ფაქტი, რომ კავკასიოლოგიის პირველ კონგრესს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მასპინძლობს, სწორედ ამის დასტურია. მოხარული ვარ, რომ უნივერსიტეტში იმყოფებიან კავკასიოლოგიის საკითხებზე მომუშავე ცნობილი მეცნიერები, კოლეგები. მათთან შეხვედრას ქართველი მეცნიერები დიდხანს ელოდნენ. ინფორმაციის დეფიციტი ნამდვილად არსებობს, მაგრამ ეს ისევ ჩვენ უნდა მოვაგვაროთ. კიდევ ერთხელ ვადასტურებ, რომ ურთიერთობის ტრადიცია თავმოწონების საშუალებას გვაძლევს. პირველ რიგში კი იგი გვავალდებულებს — სამომავლოდ სხვადასხვა მიმართულებით დავიწყოთ ფიქრი,“ — აღნიშნა რექტორმა.

პროფესორმა ცირა ბარამიძემ სტუმრებს უნივერსიტეტში დანერგილი სიახლეები გააცნო და ის დრო გაიხსენა, როდესაც თბილისი ყველა კავკასიელის საყვარელი ქალაქი იყო.

„ამ დარბაზში ათიოდე წლის წინ გაიხსნა კავკასიოლოგთა საერთაშორისო სიმპოზიუმი, მიძღვნილი აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას დაბადებიდან 100 წლისთავისადმი. მას შემდეგ კავკასიოლოგთა ფორუმების ისტორიაში, ცნობილი მიზეზების გამო, დიდი პაუზა იყო. ეს კონგრესი კი დასაბამს დაუდებს ახალ ისტორიას კავკასიისმცოდნეობის უმნიშვნელოვანეს საქმეში.

კავკასიაში ყველა გზა თბილისისაკენ მიემართებოდა. თბილისში კი — ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისკენ, რომელსაც მეოცე საუკუნეში სამართლიანად უწოდებდნენ მსოფლიო კავკასიოლოგიის ცენტრს და იმედი გვაქვს, ასე იქნება ოცდამეერთე საუკუნეშიც.

გეოგრაფიულად, ეთნიკურად, ენობრივად, კონფესიურად და კულტურულად მრავალფეროვანი კავკასია, ხალხთა მუზეუმი — „ენათა მთა“ ყოველთვის ასრულებდა მნიშვნელოვან როლს — ერთმანეთთან აკავშირებდა ევროპასა და აზიას. საუკუნეთა მანძილზე რეგიონი იყო ან ბუფერული ზონა დაპირისპირებულ იმპერიებს შორის, ან იმპერიათა შემადგენელი ნაწილი.

ქართულ-კავკასიური მეგობრობის ბალავარი ათასწლეულების მიღმა ჩაიკირა.ამ ლიბოზე კი 1933 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაარსდა მსოფლიოში პირველი კავკასიურ ენათა კათედრა. ჩვენი ერის ისტორიის ეს უმნიშვნელოვანესი მოვლენა არნოლდ ჩიქობავას სახელთანაა დაკავშირებული.

კათედრის პირველი წევრები იყვნენ: არნოლდ ჩიქობავა, სიმონ ჯანაშია, ვარლამ თოფურია. ივანე ჯავახიშვილი წერდა: რაკი გამოირკვა, რომ კავკასიური ენები ჩვენი წინაპრების მოძმე ტომთა ენები ყოფილა, ყოველი განათლებული ქართველი ვალდებულია ამ ენების და ტომების ისტორია ისევე იცოდეს, როგორც თავისი ერისა და ქვეყნის.

მართალია, იბერიულ-კავკასიურ ენებზე მეტყველი ხალხები ამჟამად სხვადასხვა პოლიტიკურ სივრცეში თანაარსებობენ, მაგრამ ამ ენათა ერთობის ლინგვისტური მოდელი კავკასიელი ხალხების ერთობის ერთერთი მეცნიერული საფუძველია“, — აღნიშნა ცირა ბარამიძემ თავის გამოსვლაში.

კავკასიოლოგია თსუ-ში ამჟამად კომპლექსურ დარგადაა წარმოდგენილი. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების გვერდით არეალური ლინგვისტიკის საფუძველზე ჩამოყალიბდა ახალი პროგრამები. ესენია: აზერბაიჯანმცოდნეობა და ოსმცოდნეობა, სრულად შეისწავლება კავკასიის ხალხთა ისტორია და კულტურა. კავკასიურ ენებს ამ ეროვნებათა წარმომადგენლები ასწავლიან.

კავკასიოლოგიის ინსტიტუტს სწავლების სამი საფეხური აქვს და სამეცნიერო პროგრამაც საკმაოდ დატვირთულია. მისი განხორციელებისთვის საჭირო პირობების შექმნა არა მარტო უნივერსიტეტის, არამედ საქვეყნო საქმეა.

თავისი სტრატეგიულობის გამო, ბუნებრივია, კავკასიოლოგია საჭიროებს სახელმწიფოსგან მზრუნველობასა და თანადგომას. პროფესორ ცირა ბარამიძის თქმით, კავკასიოლოგთა პირველი საერთაშორისო კონგრესი რეგიონალური სესიების ლოგიკური გაგრძელებაა. იგი იმართებოდა კავკასიის სხვადასხვა ქალაქებში ორ წელიწადში ერთხელ და კავკასიურ ენათა კვლევის უმნიშვნელოვანეს პრობლემებს ეძღვნებოდა.

თბილისის ენათმეცნიერების ინსტიტუტი ნახევარ საუკუნეზე მეტია ემსახურება მთის კავკასიური ენების შესწავლის საქმეს. ინსტიტუტის დირექტორის ლალი ეზუგბაიას თქმით, ამ ინსტიტუტს არაერთი აფხაზი, აბაზა, ჩერქეზი, ადიღელი, ჩეჩენი, დაღესტნელი მეცნიერისთვის გაუკვლევია გზა. „უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში განვითარებული მოვლენების ფონზე გაიშვიათებულმა ურთიერთობებმა უფრო დაგვაფიქრა კავკასიური ცივილიზაციის ფასეულობებზე და ანბანური ჭეშმარიტება შეგვახსენა: ცივილიზაციათა დიალოგი უპირველესად ემყარება კონკრეტულ ცივილიზაციათა შორის დიალოგს. ვფიქრობთ, რომ ეს კონგრესი კავკასიოლოგთა დიალოგია. ლინგვისტები, ლიტერატორები, ისტორიკოსები, ეთნოლოგები, არქეოლოგები, კულტუროლოგები შევიკრიბეთ, რათა ვისაუბროთ იმაზე, რაც გვაკავშირებს და გვაერთიანებს. შემთხვევითი არ იყო, რომ კავკასიოლოგიის, როგორც ფუნდამენტური მეცნიერების პირველი გზამკვლევები კავკასიის ხალხების ისტორიის, ენის ყოფისა და კულტურის შესწავლისას უპირველესად საერთო ტენდენციებზე, მსგავს თავისებურებებზე ამახვილებენ ყურადღებას. გეორგ როზენის, ჰუგო შუხარდტის, ფრიდრიხ მიულერის, რიხარდ ერკერტის, პეტრე უსლარის, დეეტერსისა და სხვათა ნაშრომები იქცა იმ ბალავრად, რომელზეც დაშენდა კავკასიოლოგია. ევროპისა და ამერიკის თანამედროვე კავკასიოლოგიური ცენტრები დღემდე ღირსეულად აგრძელებენ ამ ტრადიციას. მადლობა ყველა იმ უცხოელ კოლეგას, ვინც ძალ-ღონეს არ იშურებს კავკასიური ენების კულტურის პოპულარიზაციისთვის, კავკასიოლოგიური კვლევების მხარდაჭერისთვის.

ჩვენ ვამაყობთ ამ ტრადიციით. არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის კარები კვლავაც ღიაა ყველასთვის, ვინც იკვლევს იბერიულ-კავკასიურ ენებს, ვისაც აინტერესებს და უყვარს კავკასიური ცივილიზაცია, ვისაც სწამს და სჯერა კავკასიელების ერთიანობის“, — აღნიშნა ლალი ეზუგბაიამ.

ბიბლიური ნოეს შთამომავლები

კონფერენციის მონაწილეებმა მრავალი საინტერესო მოხსენებები მოისმინეს. სტუმრების დიდი ინტერესი გამოიწვია ია ბაგრატიონ-მუხრანელის მოხსენებამ — „კავკასია ჩვენი საერთო სახლია“.

მე-12 გვერდზე

ახალი ეროვნული უნივერსიტეტი

კავკასიოლოგთა პირველი საერთაშორისო კონგრესი

მე-11 გვერდიდან

მრავალი საუკუნის წინ ძველმა ქართულმა ისტორიოგრაფიამ ჩამოაყალიბა დასაბუთებული კონცეფცია ქართველთა და კავკასიის ყველა ძირძველი ერის დედასამშობლოს შესახებ. ლეონტი მროველი „ქართლის ცხოვრებაში“ აღნიშნავს, რომ მთელი კაცობრიობა ბიბლიური ნოეს შთამომავალია. ქართველები, კავკასიელ ძმებთან ერთად, ნოეს შთამომავლობის მეხუთე თაობიდან ჩნდებიან ქვეყანაზე. „პირველ ვახსენოთ ესე, რამეთუ სომეხთა და ქართველთა, რანთა და მოვაკნელთა, ჰერთა და ლეკთა, მეგრელთა და კავკასიანთა — ამათ თვისთა იყო ერთი მამა, სახელად თარგამოს. ესე თარგამოს იყო ძე თარშისი, ძმისწული იაფეთისი, ძისა ნოესი“, — გვაუწყებს ლეონტი მროველი. მისი წილხვედრი ქვეყანა იყო მთელი კავკასია და იგი თავის რვა შვილს, ღვიძლ ძმებს: ჰაოსს, ქართლოსს, ბარდოსს, მოვაკანს, ლეკს, ჰეროსს, კავკასს, ეგროსს დაუნაწილა.

კავკასია პირველად მოხსენიებულია ძვ. წ. IV ს. ესქილეს ტრაგედიაში „მიჯაჭვული პრომეთე“. V საუკუნეში ვახტანგ გორგასალმა ხელთ იგდო კავკასიონზე ყველა გადმოსასვლელი, რომლებიც მანამდე ირანელებს ეკავათ. ძალიან მნიშვნელოვანი იყო საქართველოს როლი კავკასიის გაერთიანებაში, რაშიც დიდი წვლილი შეიტანა ბაგრატიონების პოლიტიკამ. საქართველოს ძლევამოსილების ამსახველია ცნობილი ფორმულა: „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“. დავით აღმაშენებლის ანდერძშია ჩამოყალიბებული: „ნიკოფსიიდან დარუბანდისა საზღვრამდე და ოვსთაგან სპერად და არაგაწამდე“. აქ ჩამოთვლილია დავითის დროინდელი საქართველოს უკიდურესი საზღვრები. ეს ფორმულა უცვლელი იყო XV საუკუნემდე.

1801 წლიდან საქართველოში რუსეთი შემოიჭრა და განახორციელა ანექსია-ოკუპაციის მზაკვრული გეგმა — ბაგრატიონთა სამეფოს მოსპობისა და უძველესი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებისა. საქართველო ყოველთვის კავკასიის ღერძს წარმოადგენდა. საქართველოს სახელმწიფოებრიობის მოსპობის შემდეგ რუსეთმა მთელი კავკასია დაიპყრო. ცარიზმის კოლონიზატორული პოლიტიკის შედეგებზე ნათლად მეტყველებს კავკასიელების დემოგრაფიული სურათის შეცვლა.

„ჩერქეზის საქართველო“

საქართველოს მონატრებულმა ჩერქეზმა თურმე ქართველი მებაჟეები გააოცა, როდესაც ჩაიმუხლა და ქართულ მიწას აკოცა: „ჩვენი ადათ-წესების მიხედვით, მამაკაცს ცრემლის გამოჩენის უფლება არა აქვს, მხოლოდ დედის გარდაცვალების დროს შეგვიძლია ტირილი. მაგრამ როდესაც საზღვარი გადმოვკვეთე, თავი ვეღარ შევიკავე და ავტირდი. საქართველოში ხომ ჩემი ცხოვრების უბედნიერესი წლები მაქვს გატარებული“.

ცნობილი ადიღელი (ჩერქეზი) მხატვარი, მწერალი და ჟურნალისტი თეუცვაჟ ყატი წიგნში — „ჩერქეზის საქართველო“ მკითხველს თავის გულწრფელ და დაუვიწყარ შთაბეჭდილებებს უზიარებს, რაც მას საქართველოში გატარებული წლების განმავლობაში დაუგროვდა. მან თბილისში დაამთავრა სამხატვრო აკადემია, აქვე დაოსტატდა ცნობილი ქართველი მხატვრის სერგო ქობულაძის შემოქმედებით სახელოსნოში. ბოლო ათი წლის განმავლობაში ქართველი კლასიკოსი მწერლების: ვაჟა-ფშაველას, ალექსანდრე ყაზბეგის, აკაკი წერეთლის ნაწარმოებებისთვის ილუსტრაციები შექმნა. როგორც თვითონ აღნიშნავს, ამით კიდევ ერთხელ გამოხატა სიყვარული თავისი მეორე სამშობლოს მიმართ.

2002 წელს მაიკოპში გამოიცა მისი წიგნი, რომელიც მთლიანად საქართველოს ეხება. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ჰუმანიტარული ფაკულტეტის კავკასიოლოგიის ინსტიტუტის ხელშეწყობით წიგნი ქართულ ენაზე ითარგმნა. მხატვრის მოგონებები რეალურად ასახავს იმდროინდელი თბილისის ყოფას, სადაც ჰარმონიულად თანაცხოვრობდნენ სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული კავკასიელები:

„აკადემიაში ვმეგობრობდი ცხინვალელ პეტრე გუმაზაჩოვთან, რომელსაც ხშირად ვეხუმრებოდით ოსური აქცენტის გამო. არც ის გვრჩებოდა ვალში. აი, სერიოზული იუნისილაუ, დაღესტნიდან, ეს ყუმიხი, აუღელვებლად და ჩუმად ხვდებოდა ჩვენს ხუმრობებს. აზერბაიჯანელი ჰასანი, მთელი დროის მანძილზე ჩუმად რომ ჭრიდა ლინოგრავიურას, წითელ ლოყება გოლიათი ხაბზი კოკოევი — მშვენიერი აკვარელისტი, მუდამ ასე ამაყად რომ დაატარებდა უშველებელ პორტფელს, თითქოს ნართი უარიზმაგი ყოფილიყო. თოლიკ რასტორგუევი სულ მეზღვაურებს რომ ხატავდა, ის ხომ შორეული ნაოსნობის ყოფილი ზღვაოსანი იყო. ხოლო მზეთუნახავ ვალიას, დიდ ხავერდოვანთვალება თბილისელ სომეხ გოგონას ესენინის ზეპირად კითხვა უყვარდა.

გადის წლები და თვალწინ ცხადად იხატება თბილისური ცხოვრების სურათები, ჩემი მეგობრები, ჩემი პედაგოგები. რაც უფრო მეტ დღეს მაძლევს შემოქმედი, რაც უფრო ვიტვირთები ცხოვრებისეული გამოცდილებით, მით უფრო მკაფიოდ ვაცნობიერებ და ვაფასებ საქართველოში გატარებული წლების მომხიბვლელობასა და განუმეორებლობას.

როდესაც საქართველოზე ვფიქრობ, ასეთი ბიბლიური მოტივი მახსენდება: მოსე წინასწარმეტყველმა თავისი ხალხი აღთქმული ქვეყნის საძებნელად წაიყვანა, გზა აღმოჩნდა მძიმე და მტანჯველი, საშინელი შიმშილის დროს, ხალხი რომ დაღუპვას გადაერჩინა, ღმერთმა ციური მანანა გამოგზავნა. ზოგს ბევრი შეხვდა, ზოგს ნაკლები, მაგრამ ყველას კი ეყო.

ასეა აქაც, თბილისში. თავის კუთვნილს ყველა იღებდა: ერთნი ნაკლებს, მეორენი — მეტს. მაგრამ ყველას ყოფნიდა ზღაპრული ძღვენი — სიკეთე, სილამაზე, სიყვარული ნებისმიერი ეროვნების ადამიანისადმი, მისი ენის, კულტურის, ტრადიციების მიმართ პატივისცემა“.

* * *

კონგრესს მრავალი საპატიო მეცნიერი სტუმრობდა. მათ შორის: რუსეთის ფედერაციის დამსახურებული მოღვაწე, არნოლდ ჩიქობავას სახელობის საერთაშორისო პრემიის ლაურეატი, პროფესორი ტამერლან გურიევი, პროფესორი აჩერდან აბრეგოვი, რომელიც სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობდა, ქალბატონი დიანა ფორკერი დიდი ბრიტანეთიდან, მუჰაჯირების შთამომავალი ხუნა ახმადი ისრაელიდან, ტოკიოდან იასუჰირო კოჯიმა, რომელიც თავისუფლად საუბრობს ჩეჩნურ, ქართულ და აფხაზურ ენებზე. ასევე მეცნიერები მაიკოპიდან, ვლადიკავკაზიდან, მოსკოვიდან, ლაიფციგიდან, ერევნიდან, ბაქოდან, იტალიიდან, თურქეთიდან. მათ შორის იყო ცნობილი მხატვარი მანაბა მაგომედოვა, რომელსაც ქართული ანბანი და ბარათაშვილის „მერანი“ ვერცხლში აქვს ამოტვიფრული.

კონფერენციის მონაწილეები შეხვდნენ პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარეს კოტე გაბაშვილს, რომელმაც კონგრესის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

„კავკასიოლოგია ერთერთი სერიოზული სამეცნიერო მიმართულებაა საერთაშორისო მასშტაბით. ის ფაქტი, რომ კონგრესი საქართველოში გაიმართა, იმის მანიშნებელია, რომ ჩვენ ნაბიჯი გადავდგით ურთიერთობის გასაუმჯობესებლად. მსოფლიო დაინტერესებულია, რომ ამ რეგიონში მშვიდობამ დაისადგუროს. თუმცა ამ ეტაპზე მთელ კავკასიაში ვითარებას რუსეთი აკონტროლებს. ინფორმაციის დეფიციტი ნამდვილად არსებობს. როდესაც რუსეთის რომელიმე საინფორმაციო არხი ჩამოდის

მასალის გადასაღებად, ისინი ითხოვენ, კედელთან დავდგეთ, რომ არ გამოჩნდეს, რა ხდება ჩვენს ზურგს უკან. მათი მიზანია, არავინ დაინახოს, რომ საქართველოში ცხოვრების პირობები გაუმჯობესდა. რუსეთი კვლავ ირწმუნება, რომ აქ კვლავ ეკონომიკური კრიზისია, არ არის დენი, გაზი... რუს ჟურნალისტებს მხოლოდ 1992 წლის კადრების გამოყენების უფლება აქვთ. როდესაც ინტერვიუს ვაძლევთ, მხოლოდ ერთ ფრაზას ტოვებენ. რუსეთის ხელისუფლება ყოველთვის იმას აღნიშნავს, რომ ქართველები კარგი ხალხია, მაგრამ უბედური. ალბათ ჩვენი სტუმრები დარწმუნდნენ, რომ ეს ასე არ არის. ჩვენმა ქვეყანამ გასცა ვიზები, რათა აქ ჩამობრძანებულიყავით და მონაწილეობა მიგეღოთ ასეთ მნიშვნელოვან ღონისძიებაში. საქართველოს ხელისუფლების სახელით მე ყველაზე რთულ კითხვებზე შემიძლია გაგცეთ პასუხი. თქვენ ჩვენი საპატიო სტუმრები ხართ კავკასიიდან და იმედი მაქვს სამეცნიერო კონფერენციაზე ბევრ სასიკეთო იდეას ჩაეყარა საფუძველი“, — აღნიშნა კოტე გაბაშვილმა.

* * *

ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე მიიჩნევს, რომ რეგიონალური თანამშრომლობა — კავკასიელებთან ურთიერთობა საქართველოს ხელისუფლების პრიორიტეტი უნდა გახდეს. მისი აზრით, ეს კონფლიქტების მოგვარების აუცილებელი პირობაა. „კონგრესი ერთერთი საშუალებაა კავკასიელ ხალხს ველაპარაკოთ და ავუხსნათ ჩვენი მდგომარეობა. ისინი საინფორმაციო ვაკუუმშიც არიან და კარგი იქნება, თუ ჩვენს მოსაზრებებს გავუზიარებთ.

კონგრესში მონაწილე პროფესორ-მასწავლებლები აქაურ განწყობას და მიღებულ ინფორმაციას უთუოდ გაუზიარებენ თავიანთ სტუდენტებს. ამით მოხდება გაცვლა იმ ახალი მასალებისა, რაც კავკასიოლოგიაში წლების განმავლობაში დაგროვდა“.

როგორც სტუმრები, ისე მასპინძლები აღნიშნავდნენ, რომ საქართველოში დაუვიწყარი დღეები გაატარეს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მართლაც კავკასიური სტუმართმოყვარეობით უმასპინძლა ყველას. როგორც კონგრესის ერთერთმა მონაწილემ აღნიშნა, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ და არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტმა კიდევ ერთხელ შეკრიბა და გააერთიანა „სამეცნიერო კავკასია“.

ლექციები

მსოფლიოში ცნობილი მეცნიერის ლორენც კინგის ლექციები

6-დან 20 ოქტომბრამდე გერმანიის გისენის უნივერსიტეტის პროფესორმა ლორენც კინგმა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის მიმართულების სტუდენტებისთვის ლექციები წაიკითხა. მისი ვიზიტი გერმანიის აკადემიური გაცვლითი სამსახურის (DAAD) მიერ დაფინანსდა. პროფესორი კინგი თბილისში თსუ-ის სამეცნიერო საზოგადოებამ და ნიადაგების გეოგრაფიის და ნიადაგმცოდნეობის ლაბორატორიის გამგემ, პროფესორმა თენგიზ ურუშაძემ მოიწვია.

მაია ტორაძე

ლორენც კინგი მსოფლიოში ცნობილი მეცნიერია. იგი წლების განმავლობაში მუშაობდა მონრეალის (კანადა) და ჰაიდელბერგის (გერმანია) უნივერსიტეტებში, იყო გისენის უნივერსიტეტის გეომეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი, ხელმძღვანელობდა ექსპედიციებს კანადაში, ალიასკაზე, ნორვეგიაში, ანტარქტიდაში, კავკასიაში. ამჟამად პროფესორი კინგი ფართო კვლევებს აწარმოებს ჩინეთში, მუშაობს გლობალური კლიმატის შეცვლის პრობლემატიკაზე.

ლორენც კინგის თბილისში მოწვევის საკითხი დაისვა გასულ წელს, გისენის უნივერსიტეტის 400 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო ღონისძიებაზე, რომელშიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, როგორც პარტნიორი უნივერსიტეტი, მონაწილეობდა. იქვე გაჩნდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის საქართველოში ჩატარების იდეაც.

ამჟამად ბატონი კინგი, გარდა სალექციო დატვირთვისა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოლაპარაკებებს აწარმოებდა კონფერენციის საორგანიზაციო საკითხებზეც. მისი თქმით, ასეთი ვიზიტები და სტუდენტთა და მეცნიერთა გაცვლითი პროგრამები ხელს შეუწყობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და გისენის უნივერსიტეტს შორის მჭიდრო კავშირების დამყარებას. „სამეცნიერო კონფერენციაზე, რომელიც გისენის უნივერსიტეტის 400 წლისთავს მიეძღვნა, ჩვენ მოვიწვიეთ პარტნიორები აღმოსავლეთ ევროპიდან, მათ შორის, საქართველოდან. ამჯერად ვცდილობთ მოვიპოვოთ დაფინანსება და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად, რომელსაც ძალიან დიდ პატივს ვცემთ, მოვაწყოთ ანალოგიური კონფერენცია. განზრახული გვაქვს, დაახლოებით, 25 უცხოელი პარტნიორის და 25 უცხოური ორგანიზაციის წარმომადგენლის ჩამოყვანა. გვსურს ავამუშავოთ პროგრამა, რომლის ფარგლებშიც მოხდება არა მხოლოდ სტუდენტების, არამედ პროფესორ-მასწავლებლების გაცვლაც,“ — განაცხადა პროფესორმა ლორენც კინგმა.

მიუხედავად იმისა, რომ ბატონი კინგი კმაყოფილია ქართველი სტუდენტების ცოდნის დონით, მიაჩნია, რომ ისინი ლექციებზე უფრო მეტად უნდა აქტიურობდნენ: „გაზაფხულზე კვლავ ჩამოვალ ორი კვირით. მინდა ისე გავაკეთო, რომ მეტი დრო მქონდეს სტუდენტებთან დისკუსიებისთვის. ვატყობ, რომ რასაც ვკითხულობ, ესმით, მაგრამ კითხვების დასმა ერიდებათ. ამ ბარიერის გადასალახად, შეიძლება, ერთად ბუნებაშიც გავიდეთ. სტუდენტებმა უნდა იცოდნენ, რომ ენის ცოდნის გარეშე შეუძლებელია საერთაშორისო ურთიერთობების დამყარება. არ გვინდა, რომ სწორედ ეს გახდეს ქართველ სტუდენტებთან ურთიერთობის დაბრკოლების მიზეზი“, - განაცხადა მან.

ლორენც კინგი შეხვდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ გიორგი ხუბუას. გადაწყდა, გამოიცეს საერთაშორისო კრებული, რომლის სავარაუდო სათაურია „საქართველო გარდამავალ ეტაპზე — გამოცდილება და პერსპექტივები“. კრებულის რედაქტორები იქნებიან უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა და პროფესორი ლორენც კინგი. „მასში შევა პუბლიკაციები როგორც გეოგრაფიის, ასევე ეკონომიკის, სოციოლოგიის, სამართლის, პოლიტიკის თემაზე. ამ საკითხზე შეიქმნება საორგანიზაციო ჯგუფი 10 ქართველი და 10 გერმანელი მეცნიერისგან, რომლებიც თავს მოუყრიან ძირითად მონაცემებს და მოიზიდავენ ავტორებს. ჩემი აზრით, კრებული ყოვლისმომცველი და საინტერესო იქნება“, - აღნიშნა პროფესორმა ლორენც კინგმა.

ქვევრიდან დანახული სამყაროს უსასრულობა

კონფერენცია – „ფიზიკა მომავალ კოლაიდერებზე"

CERN

ირაკლი მინაშვილი კონფერენციაზე თსუ-ში

პირველი გვერდიდან

ალექსანდრე შერმაზანაშვილი, CATIA-ს პროექტის მენეჯერი, ქართული საინჟინრო ცენტრის დირექტორი:

— ჩვენ ვკურირებთ CERN-ის საინჟინრო ნაწილს, რომელიც მოიცავს იმ დანადგარის კომპიუტერულ მოდელირებას, რომელიც CERN-ში იგება. ეს ურთულესი დანადგარია და კომპიუტერული მოდელისა და მოდელირების გარეშე წარმოუდგენელია მისი აგება. ATLAS –ის ექსპერიმენტებში 35 ქვეყნის 140-ზე მეტი ინსტიტუტი იღებს მონაწილეობას. ისინი ამზადებენ ცალკეულ ნაწილებს და სანამ ეს მოწყობილობა CERN-ში მოვა, ვამოწმებთ, ხომ არ აქვთ კონფლიქტები სივრცეში სხვა დეტექტორებთან. თუ აღმოვაჩინეთ კონფლიქტები, ვუგზავნით ანგარიშს და კალკულაციებს, რომ გასწორდეს, თუ — არა, მოწყობილობა მონტაჟდება. ასეთი რთული სამუშაო აქვს დავალებული ქართველ მეცნიერთა მცირერიცხოვან ჯგუფს, რომელიც პასუხისმგებელია კომპიუტერულ მოდელზე.

გარდა იმ მეცნიერებისა, რომლებიც CERN-ში მუშაობენ, ამ საქმეში ჩართული ე. წ. CATIA ინჟინრებისთვის (მათთვის, ვინც ამ კომპიუტერულ მოდელს აგებს) 10 სამუშაო ადგილი გვაქვს შექმნილი საქართველოშიც.

ეს კონფერენცია მართლაც მაღალი მეცნიერული მნიშვნელობისაა. გარდა იმისა, რომ განიხილება სამეცნიერო კვლევების ანალიზი, სასიხარულოა, ამდენი ახალგაზრდისა და ახალი სახის დანახვაც. ჩემი აზრით, მნიშვნელოვანია, რომ მომავალი თაობა დაინტერესდეს ფიზიკის იმ დარგით, რომელიც არ მოიცავს მარტო ბირთვულ და ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკას, არამედ ეს არის სხვადასხვა მეცნიერებისა და საინჟინრო სამუშაოების ძალიან ფართო სპექტრი. ახალგაზრდა მეცნიერების ამ საერთაშორისო კოლაბორაციაში გაერთიანება შესანიშნავი საშუალება იქნება იმისა, რომ თავიანთ ნიჭს განვითარების შესაძლებლობა მისცენ.

მიხეილ ნიორაძე, თსუ-ის მაღალი ენერგიების ფიზიკისა და ინფორმატიზაციის ინსტიტუტის დირექტორი:

— ეს უკვე მეოთხე კონფერენციაა, რომელიც ამ ეგიდით ეწყობა. თავად CERN-ის ექსპერიმენტები დღევანდელ დღეს, ფაქტობრივად, მსოფლიოში მეცნიერების უმაღლესი მიღწევების დადასტურებაა. აქ ჩართულია არა მარტო ფიზიკა, არამედ ახალი ტექნოლოგიები, რომელსაც ჩვენი ახალგაზრდობა ეზიარება. მომავალ წელს ვგეგმავთ, ჩამოვიყვანოთ მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერები, რომლებიც უფრო პოპულარულ ენაზე წაიკითხავენ ლექციებს. ვფიქრობ, ამით სტუდენტობას დავაინტერესებთ.

ირაკლი მინაშვილი, თსუ-ის მაღალი ენერგიებისა და ინფორმატიზაციის ინსტიტუტი**:**

— ATLAS-ი მსოფლიო მასშტაბის ექსპერიმენტია და მასში მონაწილეობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ამაში თავისი წვლილი შეაქვთ იმ ქართველ მეცნიერებს, რომლებიც ჩართული არიან ექსპერიმენტში. მოგეხსენებათ, ისეთ ქვეყანას, როგორიც საქართველოა, არ აქვს ძვირად ღირებული ექსპერიმენტების დამოუკიდებლად ჩატარების ფინანსები. ამიტომ მასში ინტელექტუალური მონაწილეობაც დიდი ფუფუნებაა.

ჩვენი კონფერენცია სამეცნიერო საზოგადოებას კიდევ ერთხელ დაანახებს საქართველოს წვლილს. ეს იქნება სტიმული იმისა, რომ მაღალი დონის მეცნიერები თბილისში ჩამოვიდნენ, ქართველებთან ერთად კონფერენციები ჩაატარონ და კვლევების შედეგებზე ილაპარაკონ.

მე ვხედავ, რომ კონფერენციის მუშაობაში ახალგაზრდებიც იღებენ მონაწილეობას და ეს ძალიან კარგია, რადგან ის ტრადიციები, რომელიც უნივერსიტეტში არსებობდა, უნდა გაგრძელდეს.

ელენა ტიხონონკო, რუსეთი, დუბნა:

— კონფერენცია ბრწყინვალედ არის ორგანიზებული. დიდი ინტერესი ჩანს კონფერენციის მონაწილეთა მხრიდან, რაც მომხსენებლებისადმი კონკრეტული კითხვების დასმასა და დისკუსიებში გამოიხატება.

საერთოდ, ნებისმიერი სამეცნიერო კონფერენცია უშუალო კონტაქტების დამყარების, ინფორმაციის გაცვლისა და თანამშრომლობის გაღრმავების საუკეთესო საშუალება არის. კარგად ვიცნობ სპეციალისტთა იმ ნაწილს, რომელსაც ბატონი ჯემალ ხუბუა ხელმძღვანელობს. მათ დიდი წვლილი შეიტანეს ადრონული დეტექტორის მშენებლობაში. ამჯერად ეს მშენებლობა ბოლო ფაზაშია შესული და ვიმედოვნებთ, რომ კოლაიდერი მალე გაიხსნება და მასზე ექსპერიმენტები დაიწყება.

ამჯერად დღის წესრიგში დგას ფიზიკური პროგრამების განხორციელება. ამიტომაც ჰქვია კონფერენციას „ფიზიკა მომავალ კოლაიდერებზე". მათ შორის იგულისხმება ATLAS-ი.

დიდი ხანია კონტაქტები მაქვს ქართველ მეცნიერებთან და მიუხედავად იმისა, რომ თბილისში პირველად ვარ, საქართველო ჩემთვის ყოველთვის ახლობელი ქვეყანა იყო. ჩემი და ჩემი მეგობრების ჩამოსვლა ამ კონფერენციაზე იმის დასტურია, რომ ჩვენ მზად ვართ თანამშრომლობისთვის.

ვიქტორ ივანოვი, რუსეთი, ბირთვული კვლევების ცენტრის ინფორმაციული ტექნოლოგიების ლაბორატორიის დირექტორი, პროფესორი**:**

— თბილისში დავიბადე. დავამთავრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი და ამის შემდეგ წავედი რუსეთში სამუშაოდ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოდან შორს ვიმყოფებოდი და ყოველთვის ვცდილობდი არ გამეწყვიტა კავშირები ჩემს სამშობლოსთან, ისე მოხდა, რომ ოცი წელი აქ არ ვყოფილვარ. ორი წლის წინ ბატონ ჯემალ ხუბუას თხოვნით ჩამოვედი ასეთივე კონფერენციაზე, რომელიც შედარებით ზოგადი ხასიათის იყო. ამჯერად კონფერენცია გაცილებით კონკრეტულ საკითხებზეა ორიენტირებული და მოიცავს ქართველი ფიზიკოსების მიერ პარტნიორ საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად ჩატარებული სამუშაოების მიმოხილვას.

მე წარმოვადგენ ბირთვული კვლევების გაერთიანებულ ცენტრს, რომლის წევრიც არის საქართველო. ჩემი მიზანია, ქართველ კოლეგებთან ერთად განვიხილო საინფორმაციო გამომთვლელი ინფრასტრუქტურა (GRID სეგმენტი). საქმე ისაა, რომ დღეისათვის შემუშავებულია საქართველო-სომხეთის GRID სეგმენტის ერთობლივი პროექტი. კონფერენციაზე შეიძლება დაზუსტდეს ამ ერთობლივი პროექტის რომელ ნაწილში შეიძლება იყოს ჩართული ბირთვული კვლევების ცენტრი. ჩვენი ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ ალექსი სისაკიანის დავალებით, უნდა გადავჭრათ პოლიტიკაზე უფრო მნიშვნელოვანი პრობლემა — ამიერკავკასიის რესპუბლიკებსა და მოსკოვს შორის საინფორმაციო კავშირის საკითხი, რაშიც ჩაერთვება ჩვენი ინსტიტუტიც.

ეს კონფერენცია არის მხარდაჭერა ქართველი ფიზიკოსებისთვის, განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის, რომლებიც ფიზიკის ამ დარგით თითქმის აღარ ინტერესდებიან. არადა, ამის გარეშე, ნებისმიერი სახელმწიფო მომავალს კარგავს. მე მოგიყვანთ რუსეთის მაგალითს — 15 წლის წინ, მეცნიერების განვითარების თვალსაზრისით, გაცილებით ცუდი მდგომარეობა იყო. დღეს ჩანს, რომ ნელ-ნელა გამოვდივართ ამ მდგომარეობიდან, რაშიც დასავლეთის სამეცნიერო წრეები დაგვეხმარნენ — ისინი ახალგაზრდა მეცნიერებს იწვევდნენ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე, რამაც საბოლოო ჯამში მეცნიერების სტაგნაციიდან გამოყვანა გამოიწვია.

ფრიდრიხ დიდაკი, ავსტრია, პროფესორი:

— ჩემდა სამარცხვინოდ, მე არ ვიცოდი, რომ არსებობს ქვეყანა — საქართველო, რომელსაც შეუძლია წარმატებას მოკლე დროში მიაღწიოს და დინამიურად განვითარდეს.

რაც შეეხება კონფერენციის შედეგებს — ფიზიკა, როგორც მეცნიერება, მოითხოვს საერთაშორისო თანამშრომლობას და სხვადასხვა ქვეყნებში გავრცელებას. მეცნიერება ისეთი რამაა, რომ შენს ოთახში კი არ უნდა იჯდე და მუშაობდე, არამედ უნდა მოძრაობდე, კონტაქტებს აღრმავებდე და იცოდე, სხვა რას აკეთებს. ეს კონფერენცია იმის დადასტურებაა, რომ საქართველოს დიდი წვლილი შეაქვს სამეცნიერო ურთიერთობების გაღრმავებაში.

რაც შეეხება CERN-ს – ეს უნიკალური პროექტია. ამ ადრონული კოლაიდერის მსგავსი აქამდე მსოფლიოში არაფერი შექმნილა და 15-20 წელიწადში მის გარშემო მთელი ფიზიკის მეცნიერება შემოიკრიბება.

რა შედეგები ექნება ცერნის ექსპერიმენტებს და რამდენად დაუდებს სათავეს ახალ ფიზიკას? ძნელია მომავალი იწინასწარმეტყველო. ჩვენ ახლა ენერგიის სრულიად ახალ განზომილებებში შევდივართ. ამიტომ უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან ტექნიკური და მეცნიერული თვალთახედვები. ერთი რამ ნათელია — ცერნის ადრონული კოლაიდერი არის მომავლის პროექტი და მომავლის ტექნოლოგია.

ბობ სტანეკი, აშშ, ექსპერიმეტ ატლასის Tile-კალორიმეტრის დეპატრამენტის უფროსი:

— ჩემი შეხედულებით, ამ კონფერენციას ორი შედეგი მოყვა: პირველი — ინფორმაციის გაცვლა მაღალი ენერგიების ფიზიკაში — რა მიღწევებია, რაზე მუშაობენ ჩვენი კოლეგები და მეცნიერთა ჯგუფები; მეორე — გადახედეთ დარბაზს და ნახავთ, რომ უმეტესობა, ვინც კი დარბაზში ზის, ან ჭაღარაა, ან თმები სულ არ აქვს, იმიტომ, რომ მეცნიერება ბერდება და ახალგაზრდობა ნაკლებად მოდის. ასეთი კონფერენცია საჭიროა იმისთვის, რომ დაინტერესოს ახალგაზრდობა მეცნიერებით, მით უფრო, მაღალი ენერგიების ფიზიკით.

რამდენად დაუდებს სათავეს CERN-ის ექსპერიმენტები ახალ ფიზიკას? დავიწყოთ იქიდან, რომ როცა ახალ გამოგონებაზე, დანადგარის, ან აპარატის შექმნაზეა საუბარი, მას აუცილებლად მოყვება ახალი ინფორმაციის მიღება, ისეთი რაღაცის აღმოჩენა, რასაც არ ელოდებოდი. ასეთი რამ ხდება ახლაც — ღამით ფანჯრიდან დანახული ვარსკვლავებით მოჭედილი ცა მხოლოდ 10 პროცენტია იმ ენერგიისა, რომელიც არსებობს. ამ კვლევებით ჩვენ ვცდილობთ დანარჩენი 90 პროცენტის აღმოჩენას.

ბუნებრივია, იბადება კითხვა — რას მოგვიტანს ეს კოლაიდერი და სამეცნიერო კვლევები ფიზიკაში? ამაზე პასუხი ძალიან მარტივია — ეს კვლევები გააუმჯობესებს კომპიუტერების მუშაობას, დააჩქარებს მედიცინის განვითარებასა და ახალი ტექნოლოგიების შექმნას.

ჯემალ ხუბუა, დუბნის გაერთიანებული ბითვული კვლევების ინსტიტუტის განყოფილების გამგე, პროფესორი:

— ეს არის მეოთხე საერთაშორისო კონფერენცია მაღალი ენერგიების ფიზიკაში, რომელიც თბილისში ტარდება. წინა კონფერენციები ჩატარდა იუნესკოს ეგიდით. ამჯერად სპონსორის ძებნა არც დაგვჭირვებია — ის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა დააფინანსა, რაშიც დიდი მხარდაჭერა გაგვიწია თსუ-ის რექტორმა, ბატონმა გიორგი ხუბუამ. მასში მონაწილეობდნენ მეცნიერები მსოფლიოს 12 ქვეყნიდან, მათ შორის ქართველები, რომლებიც საზღვარგარეთ მოღვაწეობენ.

ჩვენ ხშირად გვესმის, რომ საქართველოში მეცნიერების განვითარება გარკვეულწილად ფერხდება. ამ საერთაშორისო კონფერენციის საორგანიზაციო საკითხების მოგვარებისას ცხადად დავინახე, რომ საქმისადმი მიდგომაში ფანტასტიკური ცვლილებაა ახალი თაობის სასარგებლოდ.

თავისთავად ფიზიკა, კონკრეტულად, მაღალი ენერგიების ფიზიკა, არის მოწინავე დარგი, რომელიც მეცნიერების თითქმის ყველა დარგის მიღწევებს აერთიანებს. ამ ექსპერიმენტებში თავმოყრილია ყველაფერი, რასაც დღემდე მიაღწია კაცობრიობამ ფიზიკაში, კიბერნეტიკაში, მათემატიკაში, ქიმიაში, გამოთვლით ტექნიკაში, ახალი ტექნოლოგიების დანერგვაში. ფიზიკა თავისი განვითარების გზაზე მოითხოვს სხვა დარგების განვითარებასაც. გუშინდელი დღე მას აღარ აინტერესებს. ის ლიდერია და ავითარებს მეცნიერებების სხვა დარგებსაც.

ჩვენი სამეცნიერო კონფერენციის პროგრამა ძალზე მაღალი დონის იყო. აქ დისკუსია ისეთ საკითხებზე წარიმართა, ქართველმა ფიზიკოსებმა ისეთი სამეცნიერო მომზადება აჩვენეს, რომ განცვიფრებული დარჩა მაქს პლანკის ფიზიკის ერთერთი ინსტიტუტის ყოფილი დირექტორი და ექპერიმენტ ატლასის ყოფილი ხელმძღვანელი, მსოფლიოში ცნობილი მეცნიერი ფრიდრიხ დიდაკი.

ვფქრობ, ასეთი კონფერენციები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს კიდევ უფრო სწრაფად გაათანასწორებს მსოფლიოს სახელგანთქმულ უნივერსიტეტებთან.

„მე — ტალახი — ვიქეც ღმერთად, მე სამყაროს შვილად ვიქეც!“

ჯალალ ად-დინ რუმის იუბილისადმი მიძღვნილი ღონისძიება თსუ-ში

2007 წელი იუნესკომ გამოჩენილი ირანელი პოეტის ჯალალ ად-დინ რუმის წლად გამოაცხადა. აღმოსავლური პოეზიის კორიფეს დაბადებიდან 800 წლისთავს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში აღნიშნავენ.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის და აზიისა და აფრიკის ინსტიტუტის ინიციატივით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჯალალ ად-დინ რუმის იუბილისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა, რომელსაც ირანის ისლამური რესპუბლიკის ელჩი მოჯთაბა დამირჩილუც დაესწრო.

ШУРТЫХИА ГЕРОШВИЛИ

ცნობილმა ირანისტმა ჯემშიდ გიუნაშვილმა სტუდენტებს და მოწვეულ სტუმრებს კიდევ ერთხელ შეახსენა გენიალური შემოქმედის ცხოვრების და მოღვაწეობის მნიშვნელოვანი მომენტები.

ჯალალ ად-დინ რუმი 1207 წელს დაიბადა ქალაქ ბალხში, რომელიც ავღანეთში დიდ კულტურულ ცენტრად ითვლებოდა. ორმოცი წლის ასაკში იგი მთელი აღმოსავლეთის საყვარელ და ცნობილ პოეტად ითვლებოდა. მისი ღრმად ფილოსოფიური პოეზია მიმზიდველი იყო სხვადასხვა ხალხისთვისაც. აღსანიშნავია, რომ მის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია იესო ქრისტეს და მარიამ ღვთისმშობლის სახეებს. ცნობილია, რომ ჯალალ ად-დინ რუმი კარგად იცნობდა თამარ მეფის შვილიშვილს, რომელიც აღმოსავლეთში გურჯი ხათუნის სახელითაა ცნობილი.

რუმის შემოქმედებას ყოველთვის აფასებდნენ საქართველოში. მისი პოეზია ჯერ კიდევ 300 წლის წინ თარგმნა სულხან-საბა ორბელიანმა. მას შემდეგ არაერთი მონოგრაფია დაიწერა პოეტის მოღვაწეობის შესახებ, ითარგმნა ლექსები.

ჯემშიდ გიუნაშვილის თქმით, თსუ-ში დიდი ხანია არსებობს აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულება, სადაც სტუდენტები სწავლობენ სპარსული კლასიკური ლიტერატურის ისტორიას, მათ შორის, რუმის შემოქმედებასაც.

თსუ-ის რექტორმა გიორგი ხუბუამ განაცხადა, რომ უნივერსიტეტში სტუდენტების მხრიდან ირანისტიკის მიმართულებით ყოველთვის დიდი დაინტერესება შეიმჩნეოდა. ,,რუმის პოეტური მემკვიდრეობა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ჭეშმარიტ ღირებულებებს საზღვრები არ აქვს. იმ თემატიკას და იდეებს, რომელსაც თავის შემოქმედებაში პოეტი ეხებოდა და რომლითაც იგი სხვებისგან გამოირჩეოდა, აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავს. კაცობრიობამ ჯერ კიდევ ვერ მიაღწია იმ სიმაღლეს, რომელსაც იგი ქადაგებდა.

რუმი მსოფლიო კლასიკოსია. მიხარია, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტი ირანელ სტუმრებთან ერთად აღნიშნავს მისი დაბადებიდან 800 წლისთავს," — აღნიშნა რექტორმა.

უნივერსიტეტის სტუდენტებმა პოეტის ლექსები სპარსულ და ქართულ ენაზე წაიკითხეს. თარგმანების უმეტესობა ცნობილ ირანისტს და მთარგმნელ გიორგი ლობჟანიძეს ეკუთვნის.

,,ჯალალ ად-დინ რუმი ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი პოეტია. იგი ითვლება სუფიზმის უკანასკნელ მოჰიკანად. მან დააარსა ,,მავლავიეს ორდენი" და ეს ტრადიცია ირანსა და თურქეთში დღესაც ცოცხალია. მაგრამ რუმი პირველ რიგში პოეტია და სპარსული ლიტერატურის განვითარებაში მისი წვლილი განუზომელია. პოეტის შემოქმედებიდან შემორჩენილია ლირიკული ლექსების სრული კრებული და, ასევე, ვრცელი პოემა — ,,ზნეობრივი მესნევი". ამ ნაწარმოებს სუფიზმის ენციკლოპედიასაც კი უწოდებენ. ქართულ ენაზე თარგმნილია მისი შემოქმედების მნიშვნელოვანი ნაწილი. განსაკუთრებით გამოვარჩევდი ,,ყაზილებს" და ლირიკულ ლექსებს. რუმის შემოქმედების მიმართ ინტერესი რომ არ განელებულა, ამას დღევანდელი ღონისძიებაც მოწმობს", — აღნიშნა გიორგი ლობჟანიძემ.

ირანის ისლამური რესპუბლიკის ელჩი მოჯთაბა დამირჩილუმ განაცხადა, რომ 1001 მიზეზი არსებობს იმისა, რომ იუნესკოს რუმის 800 წლისთავი განსაკუთრებულად აღენიშნა. ,,ერთერთი მიზეზი პოეტის მსოფლმხედველობა და მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებაა. საუკუნეების მანძილზე მან მილიონობით ადამიანის გულისკენ გაიკვალა გზა. მისი უძვირფასესი მემკვიდრეობა არა მარტო ჩემს ერს, არამედ ყველას ეკუთვნის. დღევანდელი შეხვედრა ადასტურებს საქართველოს ინტერესს ირანული კულტურის მიმართ".

მოჯთაბა დამირჩილუმ უნივერსიტეტის რექტორს მადლობა გადაუხადა მასპინძლობისთვის და აღნიშნა, რომ ამგვარი შეხვედრები გაამყარებს ირანელი და ქართველი ხალხის მეგობრობას. მან გიორგი ხუბუას ირანში გამოცემული ჯალალ ად-დინ რუმის ექვსტომეული გადასცა, რომელსაც ინგლისური თარგმანიც ერთვის.

შეხვედრის ფარგლებში მოეწყო გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო ჯალალ ად-დინ რუმის სხვადასხვა დროს გამოცემული წიგნები. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მართლაც გამორჩეულად უყვართ აღმოსავლური პოეზია. მათთვის დიდი ხანია ახლობელია ჰაფეზის, საადის, რუდაქის, ომარ ხაიამის, ჯალალ ად-დინ რუმის ნაწარმოებები. ისინი გატაცებით კითხულობდნენ დიდი პოეტის სტრიქონებს: ,,მე — ტალახი — ვიქეც ღმერთად, მე სამყაროს შვილად ვიქეც!"

ღონისძიება

ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების ადგილზე მისი სახელობის აუდიტორია გაიხსნება

ХАТУНА ХАТИАШВИЛИ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვაჟა-ფშაველას მემორიალური აუდიტორია და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის განახლებული ბიბლიოთეკა დაიწყებს ფუნქციონირებას, რომელთაგან ეს უკანასკნელი ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 170 წლის იუბილის აღსანიშნავ ღონისძიებაზე, 9 ნოემბერს საზეიმოდ გაიხსნება. ბიბლიოთეკას თავად ილია ჭავჭავაძის სახელი მიენიჭება, ხოლო ვაჟა-ფშაველას აუდიტორია ზუსტად იმ ადგილას ამოქმედდება, სადაც მგოსანმა 1915 წლის 27 ივლისს სიცოცხლე დაასრულა.

თსუ-ში ილიას სახელის განსაკუთრებული პატივით მოხსენიება, რა თქმა უნდა, არავის გააკვირვებს, მაგრამ განსაკუთრებულ სიახლედ „ვაჟას ისტორიული გარემოში დაბრუნებას“ მიიჩნევენ, რომლის მცდელობაც სასწავლებლის არსებობის განმავლობაში არაერთხელ უშედეგოდ დასრულებულა.

ამჟამად, პირველი ადმინისტრაციული კორპუსის მეორე და მესამე სართულებზე, იქ, სადაც წლების განმავლობაში გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტების კათედრები ფუნქციონირებდა, სარემონტო სამუშაოები დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს და დანიშნულ თარიღამდე ყველაფერი უნდა დასრულდეს. ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელ მაია კვატაშაძის განმარტებით, ილია ჭავჭავაძის სახელობის ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბიბლიოთეკა გააერთიანებს ყოფილი 6 ფაკულტეტის ბიბლიოთეკას, რომელიც ფილოლოგიის, ისტორიის, ფილოსოფიის, დასავლეთ ევროპის, აღმოსავლეთმცოდნეობის, არმენოლოგიისა და კლასიკური ფილოლოგიის მიმართულებებს მოიცავს (სულ დაახლოებით 10-12 ათასი წიგნი).

ვაჟა-ფშაველას მემორიალური აუდიტორიის გახსნის ამაო მცდელობის ქრონოლოგია კონკრეტული მიზეზების ნუსხას მოიცავს. როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმის სპეციალისტი მამუკა ჭანტურაია განმარტავს, უმაღლესი სასწავლებლის არსებობის განმავლობაში მხოლოდ 2006 წელს გახდა შესაძლებელი, რომ ამგვარი გადაწყვეტილების შესახებ ოფიციალური ბრძანება დაწერილიყო, ამას კი, უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი ხუბუამ ხელი თავად შეუწყო.

ცნობილია, რომ თბილისში ვაჟა-ფშაველას მემორიალური მუზეუმი არ არსებობს, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მას დედაქალაქში სახლი არ გააჩნდა. 1915 წლის ზაფხულში, ჯანმრთელობაშერყეული მგოსანი, თანამედროვე უნივერსიტეტის შენობაში იმ დროისთვის მოქმედ თბილისის თავადაზნაურთა კერძო გიმნაზიაში მოათავსეს, სადაც დროებითი ლაზარეთი ფუნქციონირებდა. მან სიცოცხლის უკანასკნელი დღეები სწორედ აქ გაატარა. ვაჟა-ფშაველას ძმის, სანდრო რაზიკაშვილის მლეთის ქუჩაზე (ახლანდელი ხორავას ქუჩა) მდებარე საცხოვრებელი ბინიდან დღეს, სამწუხაროდ, ამ სახლის მხოლოდ აივანიღაა შემორჩენილი და იქ მუზეუმი დიდი ხანია აღარ ფუნქციონირებს.

როგორც მამუკა ჭანტურაიამ განმარტა, დიდი მგოსნის გარდაცვალების ადგილას მისი მემორიალური აუდიტორიის გახსნის პირველი მცდელობა ჯერ კიდევ 1962 წელს, უნივერსიტეტში მოქმედ ვაჟა-ფშაველას სახელობის კაბინეტის პირველ ხელმძღვანელს, პროფესორ გრიგოლ კიკნაძეს ჰქონია. პროფესორს სურდა, საკუთარი იდეა ვაჟას დაბადებიდან მე-100 წლისთავზე განეხორციელებინა, მაგრამ სასწავლებლის იმდრინდელ ხელმძღვანელობას მისთვის უარი იმ უბრალო მიზეზის გამო უთქვამს, რომ ამ ისტორიული მნიშვნელობის ადგილზე გეოლოგიის ფაკულტეტის კუთვნილი აუდიტორია უკვე ფუნქციონირებდა. მოგვიანებით, ანალოგიური მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა ამავე კაბინეტის მომდევნო ხელმძღვანელის ჯუმბერ ჭუმბურიძისთვისაც.

21-ე საუკუნის საუნივერსიტეტო რეფორმა იღბლიანი აღმოჩნდა წინამორბედი თაობის წარმომადგენლების ინიციატივების რეალიზებისთვის. წლების განმავლობაში, გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის განკარგულებაში მყოფი ფართი ილია ჭავჭავაძისა და ვაჟა-ფშაველას სახელების „აჩრდილებში" დაგროვილი საგანძურის დასაბინავებლად გათავისუფლდა.

ვაჟა-ფშაველას მემორიალური აუდიტორია იმ პროექტის საფუძველზე მოეწყობა, რომელიც სამხატვრო აკადემიის პროფესორმა, დიზაინის არქიტექტორმა გია ჩლაიძემ უნივერსიტეტისთვის უსასყიდლოდ მოამზადა. ახალი აუდიტორია ორსართულიანი ანტრესოლის ფორმას მიიღებს და შემუშავებული ექსპოზიციის მიხედვით მოეწყობა. გათვალისწინებულია, მასში განთავსდეს ცნობილი მხატვრების მიერ შესრულებული და უნივერსიტეტში დღემდე დაცული (არა მარტო უნივერსიტეტში) ვაჟა-ფშაველას პორტრეტები, მისი შემოქმედების ამსახველი ფერწერული ტილოები, როგორც შემოქმედებითი, ისე პირადი ფოტოარქივი, მათ შორის, ლაზარეთის პალატაში გადაღებული უკანასკნელი ფოტო, სადაც სარეცელს მიჯაჭვული ვაჟა სამედიცინო პერსონალის რამდენიმე წევრთან ერთად არის აღბეჭდილი, სხვა მემორიალური ნივთები, მგოსნის სიცოცხლეში და მისი გარდაცვალების შემდგომ გამოცემული საავტორო წიგნები, მის შემოქმედებასთან დაკავშირებული სამეცნიერო ნაშრომები, უნივერსიტეტში მოქმედი მისივე სახელობის კაბინეტის მესვეურთა მიერ მომზადებული ნაშრომის „ვაჟას კრებულის" ყველა ტომი.

ეს ორი მნიშვნელოვანი მოვლენა, სავარაუდოდ, შეამცირებს იმ კრიტიკოსთა საარგუმენტაციო ნუსხას, რომლებიც პირველი ქართული უნივერსიტეტის თანამედროვე ცხოვრების წარმმართველებს ისტორიული, კულტურული თუ სხვა ფასეულობების მატარებელი ტრადიციების უგულვებელყოფასა და იგნორირებაში ადანაშაულებენ.

„RECTO-VERSO" კიდევ ერთი მცდელობაა იმისა, რომ სამეცნიერო ლიტერატურამ მეტი მკითხველი მიიზიდოს

26-27 ოქტომბერს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკისა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის ორგანიზებით წიგნის გამოფენა-გაყიდვა „RECTO-VERSO – 2007" გაიმართა. გამომცემლობებმა, წიგნის გამავრცელებლებმა და ბიბლიოთეკებმა სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურის უახლესი გამოცემები წარმოადგინეს. გაიმართა სემინარი დევიზით — „განათლებული საზოგადოება განათებული მომავალი", რომლის ფარგლებშიც საქართველოს ბიბლიოთეკების თანამედროვე მდგომარეობაზე, მათი გაერთიანების პერსპექტივებზე და ქსელის ოპტიმიზაციაზე ისაუბრეს.

RECTO-VERSO ბიბლიოთეკური ტერმინია, რაც ნაბეჭდი ფურცლის მარჯვენა და მარცხენა მხარეებს ნიშნავს. ამგვარი სახელწოდება დამთვალიერებელს აინტრიგებს და გამოფენის მიმართ მეტ ინტერესს უჩენს. ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი ირაკლი ღარიბაშვილი მიიჩნევს, რომ ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის მდიდარი ფონდის შესახებ სათანადო ინფორმაცია საზოგადოებას სწორედ წიგნის გამოფენების საშუალებით უნდა მიაწოდონ, რაც ხელს შეუწყობს მკითხველის მოზიდვასა და მეცნიერების განვითარებას.

„მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში წიგნის ფესტივალი ყოველ კვირას იმართება, საქართველოში კი მხოლოდ ერთხელ - გაზაფხულზე ტარდება. გადავწყვიტეთ, სამეცნიერო ლიტერატურაზე გაგვეკეთებინა აქცენტი და კიდევ ერთი გამოფენისთვის ჩაგვეყარა საფუძველი. ამიერიდან „RECTO-VERSO" რეგულარულ ხასიათს შეიძენს და ოქტომბერში ჩატარდება", — განაცხადა ბატონმა ირაკლიმ.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორმა ბუბა კუდავამ განაცხადა, რომ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში მეცნიერების სფეროში, მართალია, მრავალი მიღწევა აღინიშნა, მაგრამ მეცნიერება იმდენად დაშორდა საზოგადოებას და სასწავლო დაწესებულებებს, რომ სამეცნიერო გამოცემები სათანადო აუდიტორიამდე ვერ აღწევდა. „RECTO-VERSO"-ს მსგავსი ღონისძიებები კი ხელს შეუწყობს სამეცნიერო წიგნების პოპულარიზაციას.

წიგნების საშემოდგომო გამოფენა-გაყიდვა დადებითად შეაფასეს გამომცემლობებისა და სხვადასხვა სააგენტოების წარმომადგენლებმა. მათი აზრით, ამგვარი შეხვედრები მნიშვნელოვანია როგორც კომერციული თვალსაზრისით, ასევე, ახალი ურთიერთობებისა თუ ერთობლივი პროექტების დასახვის მიზნით.

„წიგნი ადამიანებს აერთიანებს. გამოფენები და ფესტივალები კი უფრო თვალსაჩინოს ხდის ამ ერთობას. „RECTO-VERSO" კიდევ ერთი მცდელობაა იმისა, რომ სამეცნიერო ლიტერატურამ რაც შეიძლება მეტი მკითხველი მიიზიდოს", — განაცხადა ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა თამუნა კეკელიძემ.

ლიტერატურული პრემია „ბიბლიოთეკარის რჩეული 2007" ორ ნომინაციაში გაიცემა

გამოფენა-გაყიდვაზე „RECTO-VERSO – 2007" ლიტერატურული პრემიის — „ბიბლიოთეკარის რჩეული 2007" შესახებ ინფორმაცია საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის გამგეობის წევრმა თამარ ხოსრუაშვილმა გაავრცელა. ლიტერატურული პრემია „ბიბლიოთეკარის რჩეული 2007" ორ ნომინაციაში გაიცემა: „ბიბლიოთეკარის რჩეული ორიგინალური ნაწარმოები" და „ბიბილიოთეკარის რჩეული თარგმანი", რომლებიც შეიძლება იყოს როგორც პროზაული, ასევე პოეტური ნაწარმოებები. ორივე ნომინაციაში პრემია 500 ლარს შეადგენს. კონკურსში მონაწილეობის მსურველმა გამომცემლობებმა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციაში 2007 წლის 1-დან 15 ნოემბრამდე უნდა წარადგინონ 2006 წლის 1 ოქტომბრიდან 2007 წლის 1 ოქტომბრამდე გამოცემული საკონკურსო წიგნების სია. სიები იმ ბიბლიოთეკებს დაეგზავნება, რომლებიც ჟიურის წევრობის სურვილს გამოთქამენ. ჟიურის წევრი ბიბლიოთეკების თანამშრომლები ერთმანეთში შეათანხმებენ თავიანთ კანდიდატურებს და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციას თითოეული ნომინაციისთვის სამ-სამ კანდიდატურას მიაწვდიან. მიღებული მონაცემების შეჯამების შემდეგ ლაურეატების სიას დაადგენენ. დაჯილდოვება საქართველოს სამეცნიერო ბიბლიოთეკის დარბაზში, სავარაუდოდ, 21 დეკემბერს მოხდება.

ლიტერატურული პრემია „ბიბლიოთეკარის რჩეული" საახალწლო საჩუქარია, რომელსაც საქართველოს ბიბლიოთეკარები ყოველწლიურად ქართველ ლიტერატორებს უძღვნიან.



სასაჩუქრე წიგნები

ზოგჯერ გსურს საყვარელ ადამიანს, ახლობელს, მეგობარს თუ ნაცნობს რაღაც განსაკუთრებული უსახსოვრო. მხოლოდ საჩუქრის ჩუქებით კი ვერ გადმოსცემ მის მიმართ შენს განსაკუთრებულ დამოკიდებულებას და გრძნობებს. ასეთ შემთხვევაში თქვენ „ჰელენ ექსლის სასაჩუქრე წიგნები" დაგეხმარებათ.

„კეთილი და ჭკვიანი ქალი ამერიკიდან" - ასე ახასიათებენ ჰელენ ექსლის ნაცნობ-მეგობრები და კოლეგები. მისი სასაჩუქრე წიგნები ახლობელი ადამიანების მიმართ უდიდესი სიყვარულის გამოა შექმნილი და მსოფლიოს 50 ქვეყანაშია გამოცემული. ნელს ამ მინიატურულმა „საჩუქრებმა" გამომცემლობა „ლოგოს პრესის" წყალობით ქართველი მკითხველიც გაახარა. ჯერჯერობით „სასაჩუქრე წიგნების" სერიიდან ქართულ ენაზე რვა წიგნი ითარგმნა და გამოიცა. ზოგიერთ მათგანში დამატების სახით ქართველი მწერლებისა და პოეტების ცნობილი ფრაზებიც შევიდა.

„ჰელენ ექსლის სასაჩუქრე წიგნებმა" გამოსვლისთანავე დაიპყრო ქართველი მკითხველის გული, ვინაიდან მასში ჭეშმარიტ ადამიანურ გრძნობებს სადად და ორიგინალურად გადმოგვცემენ.

„ბურჯი ეროვნებისა"

27 ოქტომბერს, იაკობ გოგებაშვილის დაბადების დღეზე, ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გორის გიმნაზიაში როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანის „ბურჯი ეროვნებისა" პრეზენტაცია გაიმართა. წიგნი ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების თაოსნობით გამოიცა. მასში ლიტერატურული, ისტორიული და ფსიქოლოგიური სიღრმითაა გახსნილი „დედა ენის" შემოქმედის ხასიათი, ცხოვრების შინაგანი დრამატიზაცია და იმჟამინდელი ეპოქის სული.

იაკობ გოგებაშვილის ცხოვრების ყაიდა თვალნათლივი და საუკეთესო ნიმუშია, თუ როგორ შეიძლება ერთმა პიროვნებამ ორთაბრძოლაში გამოიწვიოს იმპერია და ეს უთანასწორო შერკინება სასწაულებრივი გამარჯვებით დაასრულოს. მის მიერ ქართული სკოლის შექმნა უკიდურესად მკაცრი და მიზანდასახული რუსიფიკატორული რეჟიმის პირობებში ჰეროიკული ღვაწლის ტოლფასი იყო. იაკობ გოგებაშვილის ცხოვრება ნამდვილად იმსახურებდა შესაფერის აღწერას - „ბურჯი ეროვნებისა" კი ამის შესანიშნავი დასტურია.

ანბანი და საკითხავი წიგნი

„ახლის ძიებისას, თითქოს, მივივიწყეთ და მივჩქმალეთ უკვე მიღწეული, ჯანსაღი, ქართული სულიერებით გამსჭვალული დიდებული სახელმძღვანელო. ქართველი ერის უძვირფასესი განძი, ქართველი პედაგოგიური აზროვნების ფასდაუდებელი ძეგლი", - ვკითხულობთ „დედა ენის" ახალ გამოცემაში, რომელსაც საფუძვლად 1900 წელს გოგებაშვილის მიერ შედგენილი „ანბანი და საკითხავი წიგნი" დაედო. წიგნი სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II ლოცვა-კურთხევით და გამომცემლობა „დედა ენის" ხელმძღვანელის, მამა კონსტანტინეს ინიციატივით დაიბეჭდა.

ახალ გამოცემაში ერთად არის თავმოყრილი I, II და III კლასის „დედა ენა", თუმცა, მამა კონსტანტინემ წიგნში სიახლეც შეიტანა და პირველ ნაწილში თითოეულ ასო-ნიშანს მრგვლოვანი და ნუსხური შესატყვისები დაურთო. გარდა ამისა, ას წელზე მეტი ხნის წინ გამოცემულმა სახელმძღვანელომ საგანგებო დამუშავება მოითხოვა, ტექსტები ჩასწორდა ორთოგრაფიული, გრამატიკულ-სტილისტური, ტექსტობრივი თუ აზრობრივი თვალსაზრისით, მასალის მეტისმეტად მოძველებული ნაწილი კი შემცირდა. გატარებული მეთოდოლოგიური პრინციპებით „დედა ენის" სახელმძღვანელო ამიერიდან თანამედროვე მოთხოვნებს უპასუხებს და ამავდროულად იაკობ გოგებაშვილის სულისკვეთებასა და სწავლების მაგისტრალურ მიმართულებასაც უცვლელად შეინარჩუნებს. იაკობ გოგებაშვილს თურმე თავად დაუბარებია ანდერძში: „ჩემი „დედა ენა" პერიოდულად უნდა განახლდეს, თორემ კვდომას დაიწყებსო".

სამხედრო დოქტრინები ათ წიგნად

საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის ინიციატივით „ბაკურ სულაკაურის" გამომცემლობამ ქართველ მკითხველს „სამხედრო ბიბლიოთეკის სერია" შესთავაზა. ათ ტომში ომის თეორიასთან დაკავშირებული ყველა საბაზისო დოქტრინა გაერთიანდა. სერიაში წარმოდგენილია ომის თემატიკაზე მომუშავე ავტორები ანტიკური ხანიდან დღემდე: 1906 წლის მოვლენებზე კარლ ფონ კლაუზევიცი, ისრაელ-არაბების ომების შესახებ ხაიმ ჰერცოგი, ომის ხელოვნებაზე სუნ-ძი, სამხედრო მეთაურების შესახებ იუენ კონელი, პარტიზანულ ომებზე მაო ძედუნი, იომ-ქიფურის ომზე ისრაელის ყველაზე ცნობილი სამხედრო მიმომხილველი და იტორიკოსი აბრაამ რაბინოვიჩი, მშვიდობის ლოგიკაზე კი ედვარდ ლუტვოკი მოგვითხრობს. აქვე შევხვდებით სამხედრო დოქტრინის შემქმნელის თუკიდიდესა და ჰეროდოტეს „ისტორიას". ფართო მკითხველზე გათვლილი ანალოგიური სერია საქართველოში პირველად გამოიცა.

გამოცემის იდეის ავტორს, პარლამენტარ ნიკოლოზ რურუას 28 ოქტომბერს, საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის ეროვნულ მუზეუმში გამართულ ლიტერატურულ პრემია „გალას" დაჯილდოვების ცერემონიალზე წლის საუკეთესო ლიტერატურული პროექტისათვი ჟიურის სპეციალური პრიზი გადაეცა.

საბავშვო წიგნის დღე

27 ოქტომბერს სამების ტაძართან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის საგამოფენო დარბაზში სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის უწმიდესის და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით „საბავშვო წიგნის დღე" გაიმართა. 2006 წელს საბავშვო ლიტერატურის განვითარების ფონდ „ლიბოს" თაოსნობით გადაწყდა, რომ ყოველ 27 ოქტომბერს, იაკობ გოგებაშვილის დაბადების დღეს, რეგულარულად აღინიშნოს ეს დღესასწაული, რომელიც მიზნად ისახავს თანამედროვე ქართული საბავშვო მწერლობის პოპულარიზაციას, ქართველ და უცხოელ ავტორთა შორის შემოქმედებითი კავშირების ჩამოყალიბებასა და ხელშეწყობას.

გამოფენაზე საბავშვო წიგნები წარმოადგინეს გამომცემლობებმა: „ელფი", „დიოგენე" „დილა", "პალიტრა", „ანბანი", „ხარება", „ჯეჯილი", „ნაკადული", „ქართული ბიოგრაფიული ცენტრი" და წიგნის სააგენტომ "Booking". გაიმართა „საბავშვო ლიტერატურული ალმანახის" მესამე ნომრის პრეზენტაცია. ალმანახი განსაკუთრებულია იმ თვალსაზრისით, რომ მასში არა მხოლოდ საბავშვო პროზა და პოეზია, არამედ დრამატურგია, მუსიკა და ყველა ის ჟანრია წარმოდგენილი, რომელიც აუცილებელია მოზარდის ჰარმონიული განვითარებისთვის. გამოფენაში ქალთა ფოლკლორული ანსამბლები „ნანინა" და „ძველი უბანი" მონაწილეობდნენ. საბავშვო სტუდიამ „მზე შინა" კი ბავშვებს ქართული ხალხური თამაშობები შესთავაზა.

„საბავშვო ლიტერატურის განვითარება უწყვეტ პროცესს უნდა წარმოადგენდეს ისეთი ლიტერატურული ტრადიციების მქონე ქვეყანაში, როგორიც საქართველოა. „საბავშვო წიგნის დღის" დაარსებით ფონდი „ლიბო" შეეცადა, კიდევ ერთხელ მიეპყრო ქართველი საზოგადოების ყურადღება საბავშვო წიგნებისა და მწერლებისკენ. გვსურდა შეგვეხსენებინა მშობლებისა და მასწავლებლებისთვის, რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოზარდის აღზრდის საკითხში მშობლიურ ენაზე შექმნილი მხატვრული ლიტერატურის მიწოდებას", — განაცხადა საბავშვო ლიტერატურის განვითარების ფონდის ხელმძღვანელმა ირმა მალაციძემ.

საბავშვო ლიტერატურის პრობლემებზე ისაუბრეს „საბავშვო ლიტერატურის ალმანახის" მთავარმა რედაქტორმა მარიამ წიკლაურმა, საბავშვო მწერალმა დოდო ხიმშიაშვილმა და გამომცემლობა „დილას" ხელმძღვანელმა დოდო წივწივაძემ. „იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების" თანათავმჯდომარემ გიორგი გოგოლაშვილმა სტუმრებს ახლად ჩამოყალიბებული საზოგადოების შესახებ აუწყა და მის სამომავლო გეგმებზეც ისაუბრა.

ცაგერისა და ლენტეხის ეპისკოპოსმა, საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის თავმჯდომარემ, მეუფე სტეფანემ საბავშვო ლიტერატურის განვითარების ფონდთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა და მომავალი წლისთვის საბავშვო ლიტერატურული კონკურსის ჩატარების იდეა წამოაყენა.

გვერდი მოამზადა მაკა ლდოკონენმა

მნიშვნელოვანი თარიღები

■ 1 ნოემბერი ქართველი ისტორიკოსის, ფილოლოგისა და საზოგადო მოღვაწის — პავლე ინგოროყვას დღეა;

■ 5 ნოემბერი სამხედრო მზვერავის დღეა;

■ 10 ნოემბერი ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეა. ეს თარიღი მას შემდეგ აღინიშნება, რაც 1945 წელს დემოკრატიული ახალგაზრდობის საერთაშორისო ფედერაცია შეიქმნა;

■ 13 ნოემბერი უსინათლოთა საერთაშორისო დღეა. 1745 წლის 13 ნოემბერს პარიზსა და პეტერბურგში უსინათლოთა სკოლების დამაარსებელი ცნობილი ფრანგი პედაგოგი ვალენტინ გაიუ დაიბადა;

■ 16 ნოემბერი ტოლერანტობის საერთაშორისო დღეა, რომლის აღნიშვნაც 1995 წლის ნოემბერში „იუნესკოს“ 50-ე საიუბილეო ღონისძიებაზე გადაწყდა. 2000 წელს კი ინდოელი მხატვრის, მწერლისა და დიპლომატის მადანიეთ სინგჰას ინიციატივით „ტოლერანტობის იდეის გავრცელებისთვის“ სპეციალური პრემია დაწესდა;

■ 17 ნოემბერი სტუდენტთა სოლიდარობის საერთაშორისო დღეა. ამ თარიღის აღნიშვნა, 1941 წელს, ლონდონში, ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლი სტუდენტების საერთაშორისო კონგრესზე გადაწყდა იმ ჩეხი სტუდენტების ხსოვნის უკვდავსაყოფად, რომლებიც ფაშისტმა ოკუპანტებმა 1939 წლის 17 ნოემბერს დახვრიტეს.

■ 21 ნოემბერი ტელემაუწყებლობის საერთაშორისო დღე და „მისალმების მსოფლიო დღეა“. მისალმების დღე 1973 წელს ორმა ამერიკელმა ძმამ ციგ ომთან დაკავშირებით წარმოქმნილი საერთაშორისო დაძაბულობის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად გამოიგონა.

■ 25 ნოემბერი ძალადობის ლიკვიდაციისთვის ბრძოლის საერთაშორისო დღეა. 1961 წლის 25 ნოემბერს დომინიკანურ რესპუბლიკაში დომინიკანელი მმართველის რაფაელ ტრუხილიოს ბრძანებით წამებით მოკლეს პოლიტიკოსი დები მირაბალები. ეს თარიღი სწორედ მათი ხსოვნის აღსანიშნავად დაწესდა.

■ 28 ნოემბერს მრავალი გამოჩენილი ადამიანი დაიბადა, მათ შორის: ფრანგი მწერალი პროსპერ მერიმე; სოციალიზმის ერთერთი ფუძემდებელი ფრიდრიხ ენგელსი; კომპოზიტორი, პიანისტი, დირიჟორი, რუსეთის პირველი კონსერვატორიის დამაარსებელი ანტონ რუბინშტეინი; რუსი პოეტი ალექსანდრე ბლოკი და ავსტრიელი მწერალი შტეფან ცვაიგი.

■ 30 ნოემბერს დაიბადა ინგლისელი მწერალი ჯონათან სვიფტი, რომელმაც დაამკვიდრა ტრადიცია თავის დაბადების დღეზე ხმამაღლა ეკითხათ „იობის წიგნი“. ერთადერთი ჰონორარი, რომელიც ჯონათან სვიფტმა თავის ლიტერატურულ ნაწარმოებებში მიიღო, გახლდათ 200 ფუნტი „გულივერის მოგზაურობისთვის“.

შემოდგომაა...

ექიმებმა დაამტკიცეს, რომ ცივი და მშრალი ამინდი ვირუსის გავრცელებას უწყობს ხელს

მედიკოსები, მართალია, ტემპერატურული ფაქტორის ზეგავლენას გრიპის ვირუსის გავრცელებაზე ათეულობით წლების განმავლობაში სწავლობდნენ, მაგრამ მეცნიერულად მხოლოდ ახლახან დასაბუთდა, რომ ვირუსი ყველაზე კარგად დაბალ ტემპერატურასა და ნაკლები ტენიანობის პირობებში ცოცხლობს.

გრიპის განვითარების შესწავლა ცხოველებზე დაკვირვებით რთულია, ვინაიდან მათში ვირუსი განსხვავებული სახით ვლინდება და მხოლოდ ერთი სახეობის ფარგლებშია გადამდები. ლაბორატორიული კვლევისთვის ცხოველის სწორად შერჩევა მხოლოდ 1919 წელს გამოცემული სამედიცინო ჟურნალების შესწავლის შედეგად მოხერხდა. აღმოჩნდა, რომ იმჟამინდელი სწავლულები ზღვის გოჭებზე დაკვირვებით ეფექტურ შედეგებს აღწევდნენ. ნიუ იორკელმა მედიკოსებმა ზღვის გოჭები ცალ-ცალკე გალიებში განათავსეს, რათა მათ შორის კონტაქტი გამოერიცხათ. ამრიგად, ვირუსი მხოლოდ ჰაერის საშუალებით ვრცელდებოდა, ტემპერატურას და ტენიანობას კი ფართო დიაპაზონის ფარგლებში ცვლიდნენ. აღმოჩნდა, რომ ოთახის ტემპერატურის პირობებში ვირუსი მხოლოდ იმ შემთხვევაში ვრცელდებოდა, როდესაც ფარდობითი ტენიანობა 20-35% იყო.

50%-იანი ტენიანობის დროს ვირუსის გადაცემის ალბათობა იკლებდა, 80%-იან ტენიანობაზე კი ვირუსი საერთოდ არ ვრცელდებოდა. გარდა ამისა, ხუთ გრადუს ცელსიუს ტემპერატურაზე ცხოველები გრიპით გაცილებით ადვილად ავადდებოდნენ ტენიანობის იმ მაჩვენებელზეც კი, რომელიც ოთახის ტემპერატურის პირობებში ვირუსის გავრცელების საშუალებას არ იძლეოდა. მკვლევარებმა ამგვარი ეფექტი იმით ახსნეს, რომ მთელ რესპირატორულ სისტემაში, განსაკუთრებით კი ცხვირში, ლორწოვანი გარსის სიბლანტის დაქვეითების შედეგად ორგანიზმი უუნარო ხდება — გაანადგუროს ცხვირ-ხახაში მოხვედრილი ვირუსი.

მთავარი რედაქტორი ნინო კაკულია

მთავარი სპეციალისტი მაია ტორაძე

ტექნიკური რედაქტორი მანანა ჯურხაძე

კომპიუტ. უზრუნველყოფა თამარ ქავჟარაძე

რედკოლეგიის წევრები:
გია მაჩაბელი, ზაზა ფირალიშვილი, ვახტანგ გურული, ნინო ჩიხლაძე, ნოდარ ხადური, თემურ ნადარეიშვილი

მისამართი: ილია ქავქავაძის გამზ.1

✆ 22 10 34

როკ-ჯგუფი U2 და ლორდი ფოსტერი დუბლინში ყველაზე მაღალ ცათამბჯენს აგებენ

როკ-ჯგუფი **U2** ირლანდიის ყველაზე მაღალი ცათამბჯენის აგებაში საკუთარი წვლილის შეტანას აპირებს. არქიტექტორ ნორმან ფოსტერთან ერთად **U2**–მ კონსორციუმი **Geranger** ჩამოაყალიბა და საკუთარი „**U2**/ ფოსტერის“ პროექტი წარმოადგინა. პროექტის მიხედვით, 183 კმ სიმაღლის შენობაში 34 ბინა და მაღალი დონის აპარტამენტი განლაგდება. კოშკის გვერდით ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო აღიმართება. შენობის მთავარი შტრიხი ცაში გამოკიდებული კვერცხის ფორმის მქონე **U2**–ს ხმის ჩამწერი სტუდია იქნება, რომლის ქვეშაც ქალაქის დასათვალიერებლად განკუთვნილი მოედანი მოეწყობა. **U2 Tower**–ის მშენებლობა 2011 წელს დასრულდება და 286 მილიონი დოლარი დაჯდება.

ევროპელი მეცნიერები თვლიან, რომ ნეანდერტალელ ადამიანებს მეტყველების უნარი გააჩნდათ

მეცნიერებს აქამდე მიაჩნდათ, რომ მხოლოდ ადამიანს აქვს FOX P2 გენის განსაკუთრებული ფორმა, რომელმაც იგი მეტყველების უნარით დააჯილდოვა. მაქს პლანკის სახელობის ევოლუციური ანთროპოლოგიის ინსტიტუტში ევროპელი მეცნიერების ჯგუფი ნეანდერტალელისა და ჰომო საპიენსის გენების შედარებით ანალიზს აწარმოებდა. კვლევის უახლესი შედეგების მიხედვით „მეტყველების გენი“ 400-300 ათასი წლის წინ მცხოვრებ ჰაიდელბერგელ ადამიანსაც აღმოაჩნდა.

FOX P2 მეტყველების უნართან დაკავშირებული დღემდე ცნობილი ერთადერთი გენია. მისი დეფექტის შემთხვევაში ადამიანებში მეტყველების უნარის მოშლა აღინიშნება. „მეტყველების გენის“ განსხვავებულ ვარიანტებს ვხვდებით შიმპანზეებსა და თაგვებში. ნეანდერტალელსა და თანამედროვე ადამიანს კი ეს გენი აბსოლუტურად იდენტური აქვთ!

უნდა აღინიშნოს, რომ ანთროპოლოგებისთვის ამგვარი აღმოჩენა სენსაციად არ ქცეულა - არქეოლოგიური მასალები ისედაც თვალნათლივ ამტკიცებს, რომ ნეანდერტალელი ადამიანი საკმაოდ გონიერი ქმნილება იყო: შესანიშნავ შრომის იარაღებს ამზადებდა, დაჭრილ თანატომელებზე ზრუნავდა... იმჟამინდელი სამარხები იმაზეც მიანიშნებს, რომ რელიგიური შეხედულებები პირველად სწორედ მათში ჩაისახა.

იაპონელებმა მრგვალი კომპიუტერული ეკრანი გამოიგონეს

კომპანიამ **Toshiba Matsushita Display Technology** უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით კომპიუტერებისთვის მრგვალი ფორმის ჰიდროკრისტალური ეკრანები შექმნა. ჰიდროკრისტალური მატრიცების დამამზადებელი მოწყობილობა აქამდე მხოლოდ „სწორკუთხა“ ეკრანების გამოშვებაზე იყო გათვლილი და მზა დისპლეიდან საჭირო ფორმის ეკრანის „გამოჭრა“ არც თუ იოლი საქმე გახლდათ. ახალი ტექნოლოგია **Toshiba Matsushita** კი საშუალებას იძლევა ნებისმიერი ფორმის ჰიდროკრისტალური დისპლეი აწარმოოს.

იოკოჰამაში 24-26 ოქტომბერს გამართულ ბრტყელმონიტორიანი ეკრანების საერთაშორისო გამოფენაზე პირველი მრგვალი დისპლეი ავტომობილების პანელზე დასამონტაჟებელი მცირე ზომის მრგვალი ეკრანის სახით წარმოადგინეს. ახალი დისპლეი 11 მილიმეტრი სისქის **TFT** ტიპის 240/240 პიქსელი დიამეტრის მქონე მატრიცაა, რომლის ფერთა რიცხვი 260 ათასი, სიკაშკაშე – ერთ კვადრატულ მეტრზე 500 სანთელი, კონტრასტულობა კი – 600:1 გახლავთ.

ციფრები და ფაქტები

■ პირველი ოთხი ქვეყანა, სადაც ტელემაუწყებლობა გაჩნდა, დიდი ბრიტანეთი, აშშ, სსრკ და ბრაზილია გახლდათ;

■ დისნეის სტუდიამ 1933 წელს მიკი-მაუსის თაყვანისმცემლებისგან 800 000 წერილი მიიღო;

■ მსოფლიოში ყველაზე მრავალფერიანი დროშა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის დროშაა - მასზე 6 ფერია გამოყენებული.

■ იაპონიაში 7 000 სახეობის გაზიან სასმელს ამზადებენ.

■ ავსტრიელ კომპოზიტორს ფრანც შუბერტს საკუთარი როიალი არ ჰქონდა. ინსტრუმენტი მან სიკვდილამდე მხოლოდ რამდენიმე წლით ადრე იქირავა;

■ ო'გენრის პირველი მოთხრობა ციხეში შეიქმნა, მაშინ, როდესაც იგი გაფლანგვის მუხლით სასჯელს იხდიდა. მომავალ მწერალს საკუთარი ქალიშვილისთვის საშობაო საჩუქრის ყიდვა სურდა, სწორედ ამ მიზნით დაწერა მოთხრობა და დასაბეჭდად ლიტერატურულ ჟურნალში გაგზავნა, რისთვისაც ჰონორარიც მიიღო და პოპულარობაც მოიპოვა;

■ მოსალოდნელი გლობალური დათბობა ახალ „სიურპრიზებს“ გვთავაზობს: უახლოესი 100 წლის განმავლობაში საფრანგეთის ტერიტორიაზე ქარის ინტენსიურობა 10%-ით შემცირდება, რაც არასახარბიელოდ აისახება იმ ქვეყნებზე, რომლებიც ქარის ენერგიას იყენებენ;

■ უკანასკნელი 40 წლის განმავლობაში აფრიკული ტბა ჩადის ფართობი 10-ჯერ შემცირდა, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ შესაძლოა 20 წელიწადში ეს ტბა სრულიად გაქრეს;

■ ქალაქ ტიდიკელტში (საჰარა) 10 წლის განმავლობაში წვიმის წვეთი არ ჩამოვარდნილა, ხოლო დედამიწის ყველაზე წვიმიან ადგილას - მთა ბაი-ალე-ალეაზე წელიწადში 350 დღის განმავლობაში წვიმს;

■ წლევანდელ ზაფხულს დიდ ბრიტანეთში მოსული წვიმები გინესის წიგნში შევიდა: მაისიდან ივლისის ჩათვლით 382,4 მმ ნალექი მოვიდა. აღსანიშნავია, რომ ყველაზე ძლიერი თავსხმა 1952 წლის 15 მარტს კუნძულ რეიუნიონზე (ინდოეთის ოკეანე) ყოფილა - 24 საათში 1870 მმ ნალექი.

გვერდი მოამზადა **მაკა ლდოკონენმა**